ISSN 0132-5981

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა სამართალი

178/1986/2

1986

53/178/92

4

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი!
ლერი თალაკვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ლევან ალექსიძე
ანგი არსენაშვილი
(მეცნიერ-რედაქტორი)
გელა გერძენიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
ანზორ გაგიანი
შოთა გორგოძე
აკაკი კარანაძე
დურმიშხან ლორია
ვახტანგ რაზმაძე
გრიგოლ როინიშვილი
თამაზ შავგულიძე
ალექსანდრე შუშანაშვილი
ირაკლი ჩიქოვანი
ლერგო ჯორგენაძე

Главный редактор
Талаквадзе Л. Г.

Редакционная коллегия:

Алексидзе Л. А.
Арсенашвили А. Г.
(научный редактор)
Бердзенишвили Г. Д.
(ответственный секретарь)
Габиани А. А.
Горгодзе Ш. В.
Джорбенадзе С. М.
Каранадзе А. Г.
Лория Д. А.
Размадзе В. А.
Роинишвили Г. В.
Чиковани И. П.
Шавгулидзе Т. Г.
Шушанашвили А. А.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

172
1986

საბჭოთა სამართალი

№ 4

ივლისი
აგვისტო

1986 წელი

ჟურნალი გამოდის 1926 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს მეცნიერულ-პრაქტიკული ჟურნალი

შ ი ნ ა ა რ ს ი

დიდი და გადაუდებელი ამოცანები 3

სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებები ცხოვრებაში

ვ. რაზმაძე — საპროკურორო ზედამხედველობის როლის ამაღლებისათვის . . . 5
ა. შუშანაშვილი — სკკპ XXVII ყრილობა და იუსტიციის ორგანოების და სასამართლოების ამოცანები 14
შ. გორგოძე — მართლწესრიგის განმტკიცების მთავარი და საიმედო გარანტია . . 22

ჩვენი სტუმარია გაზეთი „იზვესტია“

საუბარი პატიოსანი და უპატიოსნო მანეთების შესახებ 28

ნიურნბერგის პროცესის 40 წელი

ა. კარანაძე — ნიურნბერგის დავიწყება არ შეიძლება 35
გ. ერემოვი — პირველი საბჭოთა კონსტიტუცია 42

საბჭოთა აჭარას 65 წელი შეუსრულდა

დ. თამაზაშვილი — აჭარის პროკურატურის კარგი ტრადიციები 47

სახელმწიფო პენსიების კანონის 30-ე წლისთავი

კ. გარდაფხაძე — სოციალური უზრუნველყოფის გზები და ამოცანები 50

სასამართლო ექსპერტიზა: სიახლენი და პრაქტიკა

თ. ანდრიაშვილი — ხელწერის სასამართლო ექსპერტიზა მართლმსაჯულების სამსახურში 55

დანაშაული განაჩენითაა დადგენილი

ა. არსენაშვილი — დაისაჯნენ კანონის შესაბამისად 60

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

მ. ლეკვეიშვილი — სახალხო მსაჯულთა სამაგიდო წიგნი 62

ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავის აღსანიშნავად

ვ. უვანია — ილია — ელისაბედ ჭავჭავაძის მეურვე 65
ე. ყიფიანი, თ. შავგულიძე — „ქმნა მართლისა სამართლისა“ 68
ინფორმაცია 76
იუმორესკა 80

ეროვნული ბიბლიოთეკა

СОДЕРЖАНИЕ

Большие и неотложные задачи 3

Решения XXVII съезда КПСС — в жизнь

В. Размадзе — За повышение роли прокурорского надзора . . . 5
А. Шушанашвили — XXVII съезд КПСС и задачи органов юстиции и судов 14
Ш. Горгодзе — Главная и надежная гарантия укрепления правопорядка 22

Наш гость — газета «Известия»

Беседа о честном и нечестном рубле 28

40-летие Нюрнбергского процесса

А. Каранадзе — Нюрнберг забывать нельзя 35
Г. Еремов — Первая советская конституция 42

Советской Аджарии 65 лет

Д. Тамазашвили — Хорошие традиции прокуратуры Аджарии . . . 47

30-летие Закона о государственных пенсиях

К. Гардабхадзе — Пути и задачи социального обеспечения . . . 50

Судебная экспертиза: новшества и практика

Т. Андриашвили — Экспертиза рукописи на службе правосудия . . 55

Преступление установлено приговором

А. Арсенашвили — Наказаны в соответствии с законом 60

Критика и библиография

М. Леквеншвили — Настольная книга народных заседателей . . . 62

К 150-летию со дня рождения Ильи Чавчавадзе

В. Жвания — Илья — попечитель Елизаветы Чавчавадзе 65
Э. Кипиани, Т. Шавгулидзе — Право для всех 68
Информация 76
Юмореска 80

© „საბჭოთა სამართალი“, 1986 წ.

რედაქციის მისამართი. 380110, თბილისი, კლეხანოვის პრ. 108, ტ. 95-88-49, 95-58-87.

გადაეცა წარმოებას 18.07.86 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 11.08.86 წ.,
ფორმატი 70×108 1/16. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი
ფურცელი 7. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5.
შეკვ. № 1749 ტირაჟი 28.000 უე 05130

**საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი და გადაუდებელი ამოცანები

1986 წლის 1 ივლისიდან ძალაში შევიდა და მოქმედებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „უშრომელი შემოსავლის მიღების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“.

ახალმა კანონმა პრინციპული და შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა იმ მანკიერებას, რაც ჯერ კიდევ მკვეთრად აფერხებს ჩვენი ქვეყნის თანამიმდევრულ და დაჩქარებულ წინსვლას, სოციალისტური სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრებას, სულიერად მდიდარი და იდეურად მტკიცე ადამიანების აღზრდას. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ იგი საეტაპო მნიშვნელობის აქტია და უდაოდ უნდა შეუწყოს ხელი იმ ამოცანების წარმატებით განხორციელებას, რომლებიც სკკპ XXVII ყრილობამ დაგვისახა.

უშრომელი შემოსავლის მიღების წინააღმდეგ ბრძოლის კანონი საყოველთაო-სახალხო განხილვის შემდეგ იქნა მიღებული. ამიტომ მასში ნათლად აისახა საბჭოთა ადამიანების უპირველესი ნება-სურვილი, რომ მართლაც უმკაცრესი და უშეღავათო ბრძოლა გამოეცხადოს იმ ნეგატიური მოვლენებს, რომლებიც დიდ სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ზიანს აყენებენ საზოგადოებას.

უშრომელი შემოსავლის მიღების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ საგანგებო დადგენილებები მიიღეს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ. ამ დადგენილებებში ნათქვამია, რომ კანონებისა და საზოგადოებრივი აზრის მთელი ძალა მიმართული უნდა იყოს იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც უშრომელი შემოსავლით ცხოვრობენ. მექრთამეების, ქურდების, ხელმრუდეთა და საზოგადოების ხარჯზე გამდიდრების სხვა მოყვარულთა მიმართ მხოლოდ საყოველთაო ზიზღის ატმოსფერო უნდა სუფევდეს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებები და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ, ჩვენი ქვეყნის ორგანიზაციული, სამართლებრივი, ეკონომიკური და აღმზრდელობითი ღონისძიებების კომპლექსური პროგრამაა, რომლის მთავარ და უპირველეს მიზანს წარმოადგენს საზოგადოების შემდგომი გაჯანსაღება. ეს უდიდესი ამოცანა გამომდინარეობს აგრეთვე სკკპ XXVII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებიდან, რაც ცხადია, განსაზღვრავს კიდეც ჩვენი ქვეყნის მომავალს, საბჭოთა ადამიანების ხვალინდელ დღეს.

„ჩვენთვის სულაც არ არის სულ ერთი — თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა პარტიის XXVII ყრილობაზე — რა გზებითა და საშუალებებით უმჯობესდება მატერიალური და სულიერი ცხოვრება, რა სოციალური შედეგები მოსდევს ამას. თუ თავს იჩენს კერძომესაკუთრული, სხვისი მოიმედობის განწყობილებანი, გათანაბრების ტენდენციები — მაშასადამე, რაღაც შეგვშლია ჩვენს მუშაობაში გზებისა და საშუალებების არჩევის დროს და შეცდომა უნდა გამოვასწოროთ. საკრილობო დოკუმენტების განხილვისას კომუნისტები და უპარტიოები შეშფოთებით ლაპარაკობდნენ შრომისა და მოხმარების ოდენობისადმი კონტროლის შესუსტებაზე, სოციალისტური სამართლიანობის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტებზე, იმაზე, რომ უნდა გაძლიერდეს ბრძოლა უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ. არ შეიძლება არ ვხედავდეთ თუ რა სერიოზული და მნიშვნელოვანია ეს საკითხი“[1].

კანონი, უშრომელი შემოსავლის მიღების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ, ახალი და გადაუდებელი ამოცანების წინაშე აყენებს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ორგანოებს. თუ არა მათ, სხვამ ვინ უნდა განუმარტოს მოსახლეობას კანონმდებლის ჭეშმარიტი აზრი და მიზანი, თუ არა მათ, სხვამ ვინ უნდა განახორციელოს პრაქტიკულად იგი, რომ მთელი სიმკაცრით აგებინოს პასუხი გზასაცდენილ, გამოუსწორებელ ელემენტებს, არაფრად რომ

---

1 მ. ს. გორბაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობას, თბ., 1986 წ., გვ. 75.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგვიდევენ საზოგადოებრივ აზრს და მხოლოდ საკუთარი, ჩარჩული ინტერესებით ცხოვრობენ.

ახალ კანონს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი ჩვენი ქვეყნისათვის, სოციალისტური წყობილების განმტკიცებისა და გაძლიერებისათვის, წლების მანძილზე სამარცხვინოდ ფეხმოკიდებული უდარდელობისა და უპასუხისმგებლობის აღმოსაფხვრელად, მომავალი თაობის პატიოსან მოქალაქეებად აღზრდისათვის. პარტიამ ამ ბრძოლის საუკეთესო საშუალება მოგვცა, კანონის ძალა მიანიჭა მას და არავის აქვს უფლება გადაუხვიოს ამ გზიდან.

კანონმა თითქმის ამომწურავად განსაზღვრა უშრომელი შემოსავლის წყაროები. ეს წყაროებია: დატაცება, მექრთამეობა, სპეკულაცია, კერძო მეწარმეობა, კომერციული შუამავლობა, მყიდველისა და დამკვეთის მოტყუება, ქურდობა, გამორჩენის მიზნით სახელმწიფოს კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების, ნედლეულისა და მასალების გამოყენება, მოქალაქეთა მიერ ბინების უკანონო გაქირავება და სხვა. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამგვარი ქმედობები ყოველთვის ითვლებოდა დანაშაულად, მაგრამ ასეთი გააზრებული და მიზანმიმართული ბრძოლა, როგორიც დღეს შეიმჩნევა, მაინც არ ყოფილა. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რესპუბლიკის პროკურატურამ და უმაღლესმა სასამართლომ აქედანვე ისე უნდა წარმართონ თავიანთი მუშაობა, როგორც ამას ზემდგომი ორგანოები მოითხოვენ. საჭიროა შემუშავდეს ისეთი კომპლექსური ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს საბჭოთა კანონების განუხრელ დაცვას ცხოვრების ყველა სფეროში, დაამკვიდრებს სოციალისტურ სამართლიანობას, მტკიცედ ამოუჭოლავს საძრომებს სახელმწიფოსა და მოქალაქეთა ხარჯზე უკანონო გამდიდრების მაძიებლებს.

პარტიის ამ მიზანს მხურვალედ იწონებენ მთელი ქვეყნის მშრომელები და თავიანთ პარტიულ ორგანიზაციებში, შრომით კოლექტივებში, საცხოვრებელ ადგილებზე გამართულ კრებებზე ისინი ერთსულოვნად მოითხოვენ წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცებას, კეთილსინდისიერი შრომის ავტორიტეტის ამაღლებას, წამგლეჯელობისა და მომხვეჭელობის აღმოფხვრას. პასიური დამოკიდებულება და შემრიგებლური პოზიციის დაკავება ამ საქმეში, თითქმის დანაშაულს უთანაბრდება.

როგორც ცნობილია, უშრომელმა შემოსავალმა ბევრი ადამიანი დაამახინჯა ზნეობრივად და სულიერად. ბევრ საწარმოში, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში წესად იყო ქცეული წვრილმანი დატაცებებისადმი თვალის არიდება, ფაბრიკა-ქარხნებიდან ნაწარმის აშკარა გატანა, სახელმწიფო სახსრების უდიერად ფლანგვა და სხვ. ასეთი დატაცებები ხდებოდა ყველას თვალწინ, კონტროლის მოდუნებისა და დაწესებულების ხელმძღვანელთა უპასუხისმგებლობის შედეგად. ამან კი არა მარტო უდიდესი მატერიალური ზარალი მიაყენა სახელმწიფოს, არამედ მორალურიც.

მსგავსი რამ ჩვენთან უკვე აღარასოდეს განმეორდება. სამარცხვინო გამოვლინებებს, მომხვეჭელობასა და გამოძალვას თვითონ სახელმწიფომ გამოუცხადა უკომპრომისო ბრძოლა და მას კანონის ძალა მიანიჭა. ადამიანები, რომლებიც არაფრად ჩააგდებენ ამ მოთხოვნილებებს, ძველებურად გააგრძელებენ ცხოვრებას და ყურად არ იღებენ კეთილ სიტყვას, მკაცრად, მაგრამ სამართლიანად, დაისჯებიან.

სწორედ ამ საკითხებზე იყო მსჯელობა რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრებაზე, რომელიც 1986 წლის 26 ივლისს გაიმართა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ამოცანებს მიეძღვნა. აქ პირუთვნელად, დაუფარავად ითქვა იმ სირთულეებზე, რაც უშრომელ შემოსავალთან ბრძოლას ახლავს თან, მაგრამ ყველას გამოსვლაში მაინც იგრძნობოდა ერთი ძირითადი აზრი: რესპუბლიკის მშრომელები ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, რათა ყველა შრომით კოლექტივში შექმნან ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, აღმოფხვრან ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო მოვლენები, მიაღწიონ წარმატებებს ცხოვრების ყველა სფეროში, განუხრელად განამტკიცონ საბჭოთა კანონების, სოციალისტური სამართლიანობის მოთხოვნები.

ცხადია, ეს დიდი, გადაუდებელი სადღეისო ამოცანები უპირველესად სამართალდაცვითმა ორგანოებმა უნდა განახორციელონ. მართლაც, იურისტთა აქტიური მონაწილეობისა და თანდგომის გარეშე ალბათ არც შეიძლება ისეთი პრობლემების მოგვარება, როგორიცაა უშრომელი შემოსავლის მიღების მიზეზების საბოლოო აღმოფხვრა. სწორედ ამ მოთხოვნილებათა სულისკვეთებით უნდა იმუშაონ საქართველოს სსრ იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების, რესპუბლიკის პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს მუშაკებმა, რომ კვლავაც ამაღლდეს და განმტკიცდეს მართლწესრიგი, სოციალისტური სამართალი, კანონიერება.

საპროკურორო ზედამხედველობის როლის ამაღლებისათვის

ვახტანგ რაზმაძე,
საქართველოს სსრ პროკურორი

კომუნისტური პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი ახლა უდიდესი ენერგიითა და თანამიმდევრობით ახორციელებენ დიად აღმშენებლობითს პროგრამას, რომელიც სკკპ XXVII ყრილობამ დასახა. ყრილობის გადაწყვეტილებანი ღრმა და სულ უფრო მზარდ ზემოქმედებას ახდენენ ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ყველა მხარეზე. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პლენუმებზე, პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებებზე მხურვალედ და დაინტერესებით განიხილავენ იმ საკითხებს, თუ როგორ ამრავლონ წვლილი პარტიის მიერ დასახული რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების პროგრამის შესრულებაში.

საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანოებშიც ეს პრობლემებია ყურადღების ცენტრში. ბევრი რამ უნდა გადავსინჯოთ, ახლებურად შევხედოთ ჩვენს საპროკურორო პრაქტიკას.

სსრ კავშირის გენერალურმა პროკურორმა ა. მ. რეკუნკოვმა თავის შინაარსიან, რეალისტურ და მეცნიერულად დასაბუთებულ სტატიაში „სკკპ XXVII ყრილობა და პროკურატურის ორგანოთა ამოცანები“, რომელიც ჟურნალ „სოციალისტიჩესკაია ზაკონნოსტში“ გამოქვეყნდა, დამაჯერებლად გვიჩვენა, თუ რას ნიშნავს საპროკურორო ზედამხედველობის როლის გადაჭრით ამაღლება[1]. პროკურატურის წინაშე მის მიერ დასახული ამოცანები განუხრელად განხორციელდება.

საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანოებს შეგნებული აქვთ თავიანთი პასუხისმგებლობა საბჭოთა მართლწესრიგის განმტკიცებისათვის, ჩვენი პარტიის XXVII ყრილობის მითითებათა შესრულებისათვის, იმისათვის, რომ სამართალდაცვითი ორგანოების მუშაკთა პროფესიული ცოდნა ეხამებოდეს მოქალაქეობრივ სიმამაცეს, მოუსყიდაობასა და სამართლიანობას, რომ თითოეული დანაშაულის გამოძიება ჯეროვნად წარმოებდეს და დამნაშავენი საკადრისად ისჯებოდნენ.

ეს ავალებს მათ გადაჭრით ებრძოდნენ დამნაშავეობას, საიმედოდ იცავდ-

[1] ა. რეკუნკოვი. სკკპ XXVII ყრილობა და პროკურატურის ორგანოთა როლი. „სოციალისტიჩესკაია ზაკონნოსტ“, 1986, № 4, გვ. 3-10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნენ საბჭოთა ადამიანების სიცოცხლეს, სახელსა და ღირსებას, განამტკიცებდნენ კავშირს შრომითს კოლექტივებთან, მთელი თავიანთი საქმიანობით ხელს უწყობდნენ სამართალდარღვევათა თავიდან აცილებას, მოქალაქეებისათვის სამართლისა და კომუნისტური მორალის ნორმებისადმი პატივისცემის გრძნობის ჩანერგვას. მოქმედების საბრძოლო პროგრამად არის მიჩნეული პარტიის მოწოდება უფრო ენერგიულად გარდავქმნათ მუშაობა დღევანდელობის მოთხოვნათა შესაბამისად, პრაქტიკულ საქმეებად ვაქციოთ პარტიის მითითებანი.

პროკურორებისა და გამომძიებელთა უმრავლესობის მუშაობის ანალიზი ცხადყოფს, თუ რა ბევრის გაკეთება შეიძლება კანონიერების განმტკიცების მიზნით, კონკრეტული შედეგების მისაღწევად, თუ იმუშავებ მიზანსწრაფულად, ოპტიმისტურად, გულიანად. თავდაუზოგავად შრომობენ ქ. თბილისის საქარხნო და პირველი მაისის რაიონების პროკურორები ა. კალმახელიძე და ნ. გაბრიჩიძე, ქ. ზუგდიდის — დ. კუხალაშვილი, სოხუმის — ზ. ბარციცი, აბაშის, ახალქალაქის, სამტრედიის რაიონების — კ. შონია, ი. აბრამიანი, დ. იმნაიშვილი, ბათუმის ტრანსპორტის პროკურორი ვ. კლიუკოვსკი და სხვები.

საქართველოს სსრ პროკურატურის მრავალეროვან კოლექტივში შრომობენ გამოცდილი იურისტები: დ. ვაშაკიძე, ი. დავარაშვილი, ლ. ჩერქეზია, გ. ხუგაევი, ნ. შაშკინი, დ. ჩიტლოვი, ს. ნანიტაშვილი, ე. შონია, რომლებმაც ათეული წლები შესწირეს დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეს. მათ გვერდს უმშვენებენ ახალგაზრდა პერსპექტიული სპეციალისტები: ე. სვანიძე, ა. მირიანაშვილი, ვ. ხიონიდი, ლ. გზირიშვილი, ზ. ტოპჩიევი, დ. ტარნიშვილი, ს. ჩობანიანი.

დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა რესპუბლიკაში უფრო შემტევი და უკეთ ორგანიზებული გახდა, უწინარეს ყოვლისა, იმის შედეგად, რომ გაძლიერდა ამ საქმეში პროკურატურის, სასამართლოს, შინაგან საქმეთა, იუსტიციის ორგანოთა ურთიერთმოქმედება და მეცადინეობის კოორდინაცია. სამართალდარღვევათა პროფილაქტიკაში ამაღლდა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების, სახალხო კონტროლის კომიტეტების, შრომითი კოლექტივების როლი. პროკურატურის საქმიანობა მუდამ უკავშირდება პარტიული და საბჭოთა ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ღონისძიებებს.

ამ ღონისძიებათა განხორციელებისას რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოებს ფართოდ უჭერს მხარს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი. ბოლო ხანს საპროკურორო ზედამხედველობისა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის ორგანიზაციაში დადებითი ტენდენციები დაისახა. მაგრამ დამნაშავეობის ყველაზე ეფექტიანი პროფილაქტიკაა დამნაშავის მხილება და მისი სამართლიანი დასჯა, საპროკურორო ზედამხედველობის როლის გადაჭრით ამაღლება, ყოველი ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის აუცდენლობის ლენინური პრინციპის განხორციელება.

განსაკუთრებით მწვავედ დაისვა ეს საკითხები სკკპ XXVII ყრილობაზე. „საჭიროდ ვცანით, — აღნიშნა პოლიტიკურ მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა, — უკვე უახლოეს დროში განვახორციელოთ მუქთახორების, სოციალისტური საკუთრების დამტაცებლების, მექრთამეების, ყველა იმათ წინააღმდეგ მიმართული დამატებითი

ღონისძიებანი, ვინც დაადგა ჩვენი წყობილების შრომითი ბუნებისათვის უცხო გზას"[2].

სწორედ ამ პრინციპს ემსახურება საქართველოს სსრ პროკურატურის ახლანდელი კურსი, რომლის შედეგად მხილებული არიან მთელი რიგი თანამდებობის პირნი, რომელთაც პასუხსაგები პოსტები ეკავათ რესპუბლიკაში. კანონსაწინააღმდეგო ქმედობისა და მექრთამეობისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული არიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი მდივანი ს. ხაბეიშვილი, პარტიის სიღნაღის, მახარაძის რაიკომების ყოფილი პირველი მდივნები ნ. ბუჩუკური, ო. თენეიშვილი, მსჯავრი დაედოთ ყოფილ კულტურის მინისტრს თ. ბადურაშვილს და ზოგიერთ სხვა პირს. ყველა ისინი ახლა „ყოფილი" არიან, მაგრამ რა საგრძნობი ზიანი მიაყენეს ჩვენი რესპუბლიკის პრესტიჟს.

1986 წლის მაისში მიღებული სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი „უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ", აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „უშრომელი შემოსავლის მიღების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ" პროკურორებს ხელთ აძლევენ ბასრ იარაღს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების, მექრთამეობის, სპეკულაციისა და სხვა ანგარებითი დანაშაულობების წინააღმდეგ ბრძოლაში. მათ უნდა გამოიყენონ საბჭოთა კანონებისა და საზოგადოებრივი აზრის მთელი ძალა იმ პირთა წინააღმდეგ ბრძოლაში, ვინც უშრომელი შემოსავლით ცხოვრობს, ურეაგირებოდ არ დატოვონ უშრომელი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული არც ერთი ფაქტი; საქმე ისე წარმართონ, რომ მექრთამეების, ხაზინის ქურდების, ხელმრუდეთა და საზოგადოების ხარჯზე გამდიდრების სხვა მოყვარულთა მიმართ შექმნან საყოველთაო ზიზღის ატმოსფერო, რომ მათ იცოდნენ: არ ასცდებათ სასჯელი თავიანთი ქმედობისათვის[3].

ამ საქმეში რესპუბლიკის სამართალდაცვითი ორგანოების წარმატება პირდაპირ არის დამოკიდებული მათი საქმიანობის ორგანიზაციის და კოორდინაციის სრულყოფაზე, საპროკურორო ზედამხედველობის გარდაქმნის, პრაქტიკული მოქმედების რელსებზე მათი გადაყვანის დაჩქარების სტრატეგიის თანამიმდევრულ განხორციელებაზე. ეს კურსი ითვალისწინებს იმას, რომ გავატაროთ აქტიური სოციალური პოლიტიკა, თანამიმდევრულად დავამკვიდროთ სოციალური სამართლიანობის პრინციპი, სრულვყოთ საზოგადოებრივი ურთიერთობა, განვაახლოთ პოლიტიკური და იდეოლოგიური ინსტიტუტების მუშაობის ფორმები და მეთოდები, გავაღრმაოთ სოციალისტური დემოკრატია, გადაჭრით დავძლიოთ ინერცია, უძრაობა და კონსერვატიზმი.

პროკურატურის ორგანოების საქმიანობასთან მისადაგებით დაჩქარების სტრატეგიად უნდა გვესმოდეს ის, რომ უარი ვთქვათ ფორმალიზმზე, ქაღალდთმთხზველობაზე, ერთი ადგილის ტკეპნაზე. ზოგიერთი პროკურატურის მუშაობაში არსებული ბიუროკრატიზმის მიზეზებია, უწინარეს ყოვლისა, უკონტროლობა, საქმიანობის შედეგებისათვის მომთხოვნელობის შენელება, ზო-

---

[2] გაზეთი „კომუნისტი", 1986 წლის 26 თებერვალი.
[3] გაზეთი „კომუნისტი", 1986 წლის 28 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიერთი მისი ხელმძღვანელის უპასუხისმგებლობა. სწორედ პროკურორთა უმოქმედობამ შეუწყო ხელი დატაცებებისა და მექრთამეობის გავრცელებას მახარაძის, სიღნაღის, წალკის, თიანეთისა და მთელ რიგ სხვა რაიონებში. ამ რაიონების პროკურორები მოხსნილი არიან თანამდებობიდან.

თიანეთის რაიონში ასკილის შესყიდვის ფიქციური გაფორმების გზით დაიტაცეს 170 ათას მანეთზე მეტი, ხაშურის რაიონში — 100 ათას მანეთზე მეტი. წალკის რაიონში ათ დღეში ფიქციურად გააფორმეს ხუთი ათასი ტონა კარტოფილის დამზადება და 700 ათასი მანეთი მიითვისეს. ახალციხის რაიონში ასეთივე ხერხით დაიტაცეს 400 ათასი მანეთი.

მუშაობის ძირეული გარდაქმნის ორიენტირს რომ ვსახავთ, ამავე დროს ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ გარდაქმნა თავისთავად არ მოხდება. მასში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროკურორის პირადი მაგალითის როლი. დასახული რეალობად რომ იქცეს, იგი მაქსიმალური სიმტკიცით უნდა განვახორციელოთ. ყველა მუშაკის ორგანიზებულობა და დისციპლინა, სრული უკუგებით მუშაობა, ინიციატივა და დიდი პასუხისმგებლობა — აი მთავარი პირობა იმისა, რომ განხორციელდეს პარტიის გეგმები, ყრილობის გადაწყვეტილებანი. პრაქტიკული საქმეები, შეუპოვარი მუშაობა დღევანდელობის ძირითადი მოთხოვნაა. გარდაქმნა უნდა ხდებოდეს ყოველ სამუშაო ადგილას, ყოველ შრომითს კოლექტივში, პროკურატურის ორგნოების ყოველ რგოლში.

სსრ კავშირის გენერალური პროკურორი ა. მ. რეკუნკოვი აღნიშნავს, რომ „გარდაქმნა მიმდინარეობს, მაგრამ ზოგჯერ მხოლოდ „ღონისძიებათა“ გაძლიერებისა და გაფორმების თვალსაზრისით. გარდაქმნა კი უწინარეს ყოვლისა უნდა მოხდეს მუშაობის სტილში, საქმისადმი თითოეული პროკურორისა და გამომძიებლის დამოკიდებულებაში. მხოლოდ ასე შევასრულებთ პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებს, რომელმაც ხანგრძლივი ვადით განსაზღვრა ჩვენი ამოცანები“[4].

ყრილობის მოთხოვნები ავალდებულებს პროკურატურის ორგანოებს თვითკრიტიკულად, პარტიული მომთხოვნელობით აფასებდნენ გაკეთებულს, მაქსიმალურად წარმართავდნენ მთელ მუშაობას საბოლოო შედეგების მისაღწევად. საჭიროა აქტიურად განვაგრძოთ მუშაობა საპროკურორო პრაქტიკის სრულყოფისათვის, ავითვისოთ მუშაობის ინტენსიური ხერხები, ძირეულად გავაუმჯობესოთ საპროკურორო შემოწმებისა და რეაგირების სისტემა და მეთოდები.

ვერც ერთი თათბირი, ვერც ერთი კარგი და გააზრებული მითითება ვერ შეედრება თავისი ზემოქმედების ძალით პროფესიულად უნარიან პრაქტიკულ საქმეებს, რომლებიც გვაძლევენ რეალურ შედეგს, მას კი მაშინ ვაღწევთ, როცა მიზანმიმართულად და თანამიმდევრულად ვმოქმედებთ, როცა პრობლემის გადაჭრისას კერძო, სანახევრო ღონისძიებებს კი არ ვჯერდებით, არამედ მტკიცედ და ენერგიულად მიგვყავს ბოლომდე საქმე.

სწორედ ასე მოქმედებდა რესპუბლიკის პროკურატურა, როცა ხელი მოჰკიდა დაუდგმელი მოწყობილობის პრობლემას. შარშან რესპუბლიკის საწარმოებში დაგროვდა 60 მილიონი მანეთის დაუდგმელი მოწყობილობა, მკვდარ ტვირთად იდო უძვირფასესი ჩარხები, ხელსაწყოები, დანადგარები. დიდი შრომის გაწევა დაგვჭირდა, შევათანხმეთ რაიონული პროკურორების

---

4 გაზეთი „იზვესტია“, 1986 წლის 2 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედება, გავაძლიერეთ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა, ზოგიერთი საკითხი გადავწყვიტეთ სსრ კავშირის პროკურატურისა და საკავშირო სამინისტროებისა და უწყებების დონეზე. ამჟამად ამ პრობლემის სიმწვავე რამდენადმე შენელებულია.

საბჭოთა კავშირში გავრცელდა ამიერკავკასიის სატრანსპორტო პროკურატურის გამოცდილება, რომლის ინიციატივიანმა მოქმედებამ ხელი შეუწყო სახალხო-სამეურნეო ტვირთის დაუცველობის შემცირებას გადაზიდვის დროს. მუშაობა ამ მიმართულებით გრძელდება. ამიერკავკასიის რკინიგზაზე სრულიად საკავშირო ინსტიტუტისა და პროკურატურის დახმარებით პირველად ქვეყანაში დაინერგა ტვირთის დატაცების მასალების განხილვისადმი კონტროლის ავტომატიზებული სისტემა. ამის შედეგად თითქმის ერთისამად და მეტად შემცირდა დანაკარგები.

არის სხვა მნიშვნელოვანი შედეგებიც. მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის პროკურატურა ითვალისწინებს, რომ ჯერ კიდევ წინ არის ძირითადი მუშაობა ნეგატიური მოვლენების დაძლევისათვის, მართლწესრიგის, დისციპლინისა და ორგანიზებულობის გადაჭრით განმტკიცებისათვის. რა გვაწუხებს განსაკუთრებით?

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას უდიდეს ზიანს აყენებს უყაირათობა, დატაცებები, ბოროტმოქმედება, სახელმწიფო დისციპლინის მრავალი დარღვევა. მაგრამ კვლავინდებურად არადამაკმაყოფილებელია კონკრეტულ დამნაშავეთა ხარჯზე დანაკარგების ანაზღაურების საქმე. ცოტა ვინმეს თუ ეკისრება პასუხისმგებლობა სახალხო მოხმარების გაუსავლიანი საქონლისათვის, რომლითაც ავსებულია საწყობები, ბაზები, მაღაზიები.

ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელი ნაცვლად იმისა, რომ განახორციელოს ღონისძიებანი, რათა აზღვევინოს მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისით, გაფლანგვით, დატაცებით და გაფუჭებით მიყენებული ზარალი, ცდილობს მნიშვნელოვანი თანხები ჩამოწეროს წარმოების დანაკარგების ხარჯზე ისე, რომ საფუძვლიანად არ ამოწმებს ამ დანაკარგების წარმოქმნის მიზეზებს, ყოველთვის არ გადასცემს შესაბამის მასალებს სასამართლო და საგამოძიებო ორგანოებს. რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები, ცალკეული პროკურორები არ ახდენენ ამაზე რეაგირებას როგორც საჭიროა, არ არკვევენ ასეთი მოვლენების წარმომშობ მიზეზებს, არ ავლენენ პირებს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით ამაში, იშვიათად აძლევენ მათ პასუხისგებაში.

საკვანძო ამოცანად კვლავ რჩება საპროკურორო ზედამხედველობის შემტევობისა და ქმედითობის გაძლიერება ეკონომიკის სფეროში, კანონიერების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლაში. სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ეფექტიანობის გადიდებისათვის გამიზნული ყრილობის კურსი მოითხოვს, რომ ჯეროვანი წესრიგი დავამყაროთ წარმოებაში, კიდევ უფრო განვამტკიცოთ შრომისა და სახელმწიფო დისციპლინა, გადაჭრით აღმოვფხვრათ უყაირათობა, მფლანგველობა, უხარისხო პროდუქციის გამოშვება, სახელმწიფოს მოტყუების ყოველგვარი ფორმა და სოციალისტური საკუთრების ხელყოფა. მაგრამ ამ საქმეში კვლავინდებურად იჩენენ პასიურობას ქალაქ მარნეულის, დმანისის, ლენტეხისა და სხვა რაიონების პროკურორები, ზოგიერთი პროკურორი სუსტად ასრულებს თავის მოვალეობებს კანონიერების დარღვევების დროული და გადამჭრელი აღკვეთის და მათი მიზეზების აღმოფხვრის დარგში, ყოველთვის არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახდენს რეაგირებას სამეურნეო მართვის, უწყებრივი კონტროლის ორგანოების, სოციალისტური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურების უმოქმედობაზე, არ იჩენს პარტიულ პრინციპულობას, როცა ხედავს კუთხურობისა და კანონიერების დამრღვევთა ნებაზე მიშვების ფაქტებს, არ ითვალისწინებს საზოგადოებრივ აზრს, არ აყალიბებს საბჭოთა კანონებისადმი პატივისცემის და სამართლებრივი ნორმების ყოველი დარღვევის შეუწყნარებლობის სულისკვეთებას.

ამოცანა ის არის, რომ თითოეულ ქალაქსა და რაიონში კანონიერების მდგომარეობის ღრმა ანალიზის საფუძველზე ვქმნიდეთ დანაშაულის თავიდან აცილების საიმედო და ეფექტიან სისტემას, რომ ერთობლივად შემუშავებული პროფილაქტიკური ღონისძიებები ფართო საჯაროობის პირობებში ხორციელდებოდეს პრაქტიკულად და საშუალებას გვაძლევდეს არა უბრალოდ მივსდიოთ უკვე მომხდარი ამბის კვალს, არამედ თავიდან ავიცილოთ მძიმე დანაშაულად გადაცდომის გადაზრდა.

დამნაშავეობის შემცირების რეალურ რეზერვებს შეიცავს მისი მასაზრდოებელი ანტისაზოგადოებრივი მოვლენების და უწინარეს ყოვლისა, ლოთობისა და მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება. საჭიროა უმოკლეს ვადაში მივაღწიოთ გარდატეხას მუქთახორობის ამოძირკვაში, მთელი მეცადინეობა მოვახმაროთ იმ პირთა დროულ გამოვლენას, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, ვეწეოდეთ მათთან გულმოდგინე აღმზრდელობით მუშაობას, ვუწევდეთ შეუნელებელ კონტროლს, შრომის გზას აცდენილ პირებს უნდა დავეხმაროთ დამკვიდრდნენ შრომით კოლექტივებში, ხოლო ყველაზე გამოუსწორებელი მუქთახორების მიმართ, რომლებსაც ჯიუტად არ სურთ ეზიარონ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, სრულად უნდა გამოვიყენოთ კანონის ძალა.

ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკანონმდებლო და სხვა ზომების მიღების შემდეგ რესპუბლიკაში მიღწეულია ერთგვარი დადებითი ძვრები. ლოთობა განიდევნა წარმოებიდან, ნაკლებად არის იგი საზოგადოებრივ ადგილებში, ჯანსაღდება ვითარება ოჯახებში, შემცირდა საწარმოო ტრავმატიზმი, განმტკიცდა წესრიგი, მაგრამ კვლავაც გვჭირდება დიდი, გულმოდგინე, მრავალფეროვანი მუშაობა. აქ არავითარი შეწყნარება არ უნდა იყოს. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებით — ბუნების დაცვისა და მისი რესურსების რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფაში გვჭირდება უფრო გადამჭრელი ზომები, მათ შორის — სამართლებრივი ხასიათისა. აქ ჯერჯერობით სათანადო ეფექტს არ იძლევა კანონმდებლობა და განსაკუთრებით მისი გამოყენების პრაქტიკა.

მუშაობის უმნიშვნელოვანესი მიმართულება ყველგან უნდა იყოს კოორდინირებული, რომელთა განხორციელება საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ ნარკომანია, რეციდივული დამნაშავეობა, მძიმე დანაშაულობანი საოჯახო-საყოფაცხოვრებო ნიადაგზე, აგრეთვე სამართალდარღვევები არასრულწლოვანთა შორის. მიუხედავად იმისა, რომ შემცირდა არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულობათა რიცხვი, გამაფრთხილებელ მუშაობაში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი მთელი რიგი სერიოზული ხარვეზები. ბევრი ძნელადაღსაზრდელი მოზარდი რჩება სკოლებისა და სხვა სასწავლებლების

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლექტივების, შრომითი კოლექტივებისა და სამართალდაცვითი ორგანოების კონტროლის გარეშე. მთელ რიგ ადგილებში მათთან დროულად არ ეწევიან ინდივიდუალურ აღმზრდელობითს მუშაობას, რომელიც თავიდან აგვაცილებდა უხეშ ანტისაზოგადოებრივ საქციელს.

დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდმნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება პროკურატურისა და შინაგან საქმეთა ორგანოების საგამოძიებო აპარატს. საგამოძიებო აპარატის ზუსტი და მიზანდასახული მუშაობა ცალკეულ კარგად მომუშავე გამომძიებელთა ძალების უბრალო შეკრება როდია. აქ გვმართებს სწორად მოვაწყოთ მმართველობითი რგოლების — საქართველოს სსრ პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო სამმართველოების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის პროკურორების მუშაობა. უწინარეს ყოვლისა ეს საჭიროა საქალაქო და რაიონულ რგოლში, რადგან სწორედ აქ წყდება დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის წარმატება.

ყურადსაღებია ქალაქ რუსთავისა და თბილისის საქარხნო რაიონის პროკურატურების მუშაობის გამოცდილება. აქ სისტემატურად აანალიზებენ მძიმე დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობას, გამოძიების ხარისხს, რაც საშუალებას იძლევა დროულად შენიშნონ და გამოასწორონ შეცდომები და ნაკლოვანებანი. ამ პროკურატურებში კარგად არის ორგანიზებული გამომძიებელთა და მილიციის მუშაკთა ურთიერთმოქმედება დანაშაულობათა გახსნის დროს, უნარიანად იყენებენ მეცნიერულ-ტექნიკურ საშუალებებს. ამის შედეგად მეტი წილი დანაშაულობანი დროულად იხსნება.

რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო სამმართველო ნიადაგ ეწევა მუშაობას იმ პირთა გამოვლენისა და პასუხისგებაში მიცემისათვის, რომლებსაც ბრალი მიუძღვით დანაშაულობათა ჩადენაში. ამის შედეგად, გასულ წელთან შედარებით, შემცირდა გაუხსნელ დანაშაულობათა რიცხვი.

გაუმჯობესდა წინა წლებში ჩადენილ დანაშაულობათა გახსნა. ამას მნიშვნელოვანწილად ხელი შეუწყო იმან, რომ რესპუბლიკის პროკურატურასა და მსხვილი ქალაქების პროკურატურებში შეიქმნა სპეციალიზებული საგამოძიებო-ოპერატიული ჯგუფები, რომლებსაც სათავეში უდგანან ყველაზე გამოცდილი გამომძიებლები. მათ შორის მრავლად არიან ნამდვილი ოსტატები, რომლებმაც უნარიანად გამოიკვლეს რამდენიმე წლის მანძილზე გაუხსნელად დარჩენილი მთელი რიგი განზრახ ჩადენილი მკვლელობანი.

მაგრამ ყველგან როდია დადებითი ძვრები გამოძიებისა და მოკვლევის მუშაობაში. როგორც ჩანს, საჭიროა სწრაფად და გადაჭრით აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი გამოძიების ორგანიზაციაში. აშაში დადებითი როლი უნდა შეასრულოს გამოძიებისა და მოკვლევისადმი საპროკურორო ზედამხედველობამ. საჭიროა არა მარტო გავაუმჯობესოთ ხელმძღვანელობა გამოძიებისადმი, რათა უზრუნველვყოთ დანაშაულობათა დროული გახსნა და გამოძიების მაღალი ხარისხი, არამედ გავამკაცროთ კიდეც მომთხოვნელობა მისი არაკეთილსინდისიერი და დაუდევარი წარმოებისათვის, საქმის გაჭიანურებისათვის, უინიციატივობისათვის, სამსახურებრივი მოვალეობის არასათანადო შესრულებისათვის.

თავისი ნაყოფი გამოიღო გულმოდგინე მუშაობამ, რომლის მიზანია ჩადენილ დანაშაულობათა შესახებ განცხადებებისა და შეტყობინებების განხილვის დროს კანონიერების დაცვისადმი ქმედითი ზედამხედველობის უზრუნველყოფა, დანაშაულობათა დაფარვის მანკიერი პრაქტიკის აღმოფხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვრა. ამის შედეგად დამნაშავეობის სტატისტიკა ახლა უფრო ობიექტურად ასახავს ნამდვილ ვითარებას. მაგრამ ყველგან გადაჭრით როდი მოუღეს ბოლო ამ ბოროტებას. აფხაზეთის, აჭარის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებში, თბილისსა და მთელ რიგ სხვა ადგილებში გამოვლინდა არაერთი ამგვარი ფაქტი, მძიმე დანაშაულობათა დაფარვის შემთხვევებიც კი. ეს მოწმობს რომ ზოგან ჯეროვნად ვერ შეაფასეს დანაშაულობათა აღრიცხვასა და რეგისტრაციაში წესრიგის მტკიცედ დამყარების მთელი მნიშვნელობა, შესაბამისი ღონისძიებანი დროებით კამპანიად აღიქვეს.

დანაშაულობათა ზერელე და არასრული გამოძიება ბევრ უარყოფით შედეგს იწვევს. მაგრამ არნაკლებ ზიანს გვაყენებს საპროცესო ნორმების დარღვევები, რომლებზეც რეაგირება მწვავე და უკომპრომისო უნდა იყოს. ეს ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის დაუსაბუთებელი აღძვრის, პასუხისგებაში მოქალაქეთა უსაფუძვლო მიცემის, უკანონო დაკავებისა და დაპატიმრების არც ერთი ფაქტი არ უნდა დარჩეს დაუსჯელი, რადგან მოქალაქეების კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა ყველა სახელმწიფო ორგანოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციის, თანამდებობის პირისა და უწინარეს ყოვლისა პროკურატურის ორგანოების მოვალეობაა.

პროკურატურისა და შინაგან საქმეთა ორგანოებში გამოძიებისა და მოკვლევის წარმოების დროს კანონის დარღვევათა გადაჭრით აღკვეთა, ბუნებრივია, ბევრად არის დამოკიდებული საპროკურორო ზედამხედველობის ქმედითობაზე. იგი უნდა იყოს მუდმივი და შეიცავდეს ორგანიზაციული, მეთოდიკური და სხვა ღონისძიებების კომპლექსს. მაგრამ ეს ღონისძიებები არ უნდა ლახავდეს გამომძიებლის პროცესუალურ დამოუკიდებლობას, რომელიც დიდ და პასუხსაგებ ამოცანებს წყვეტს. მას ეკისრება უწინარეს ყოვლისა, პასუხისმგებლობა საგამოძიებო მოქმედების დასაბუთებისათვის. წარმატებით რომ ატარებდეს გამოძიებას, იგი მოვალეა იჩენდეს ინიციატივას, ოპერატიულობას, ეწეოდეს მტკიცებულებათა მიზანმიმართულ ძიებას. სწორედ ამიტომ არის, რომ საპროკურორო ზედამხედველობა არ უნდა გადაიქცეს წვრილმან მეურვეობად, შიშველ ადმინისტრირებად. პროკურორების უპირველესი მოვალეობაა უზრუნველყონ ამ დებულების რეალიზაცია.

მაგრამ განხორციელებული საორგანიზაციო ღონისძიებანი, მათ შორის ცხელ კვალზე მძიმე დანაშაულობათა გახსნისათვის საძიებო-ოპერატიული ჯგუფების შექმნა ჯერ კიდევ არ იძლევა სათანადო უკუგებას. აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, ქ. წყალტუბოში, ზოგიერთ სხვა ქალაქში, გარდაბნის, თეთრი წყაროს და მთელ რიგ სხვა რაიონებში ჯერ კიდევ ბევრია გაუხსნელი მძიმე დანაშაულები. ამის ძირითადი მიზეზებია სერიოზული ხარვეზები, ზოგჯერ გამომძიებელთა დაბალი პროფესიული მომზადება, არაოპერატიულობა და ნაკლოვანებანი თავდაპირველი საგამოძიებო მოქმედების განხორციელებაში, სუსტი ურთიერთმოქმედება მოკვლევის ორგანოებთან, მეცნიერულ-ტექნიკურ საშუალებათა არასაკმარისი გამოყენება.

შეუწყნარებელია შემთხვევები, როცა გამომძიებელი და პროკურორი თვითონ არ მიდიან მკვლელობის ადგილას, შემთხვევის ადგილის დათვალიერებას და გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებას კი მოკვლევის ორგანოები ეწევიან არაკვალიფიციურად, რის შედეგადაც დანაშაულობანი გაუხსნელი რჩება. ამის გამო რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიამ შეუძლებლად ცნო თანამდე-

ბობებზე დაეტოვებინა ქ. წყალტუბოს ზონისა და ჩოხატაურის რაიონის პროკურორები ზ. მაჩიტიძე და ვ. ნიკოლაიშვილი.

უნდა მივიღოთ ზომები, რათა თითოეული გამომძიებელი ზედმიწევნით ფლობდეს დანაშაულობათა გახსნის თანამედროვე საშუალებებსა და ხერხებს და ამავე დროს მეტი მოვკითხოთ დანაშაულობათა გახსნისათვის პასუხისმგებელ თითოეულ მუშაკს, ავამაღლოთ რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს როლი და უზრუნველვყოთ ხელმძღვანელთა შეუნელებელი ყურადღება ამ საკითხებისადმი.

თანამედროვე პირობებში უპირველეს გამაფრთხილებელ მნიშვნელობას იძენს დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ ზემოქმედების ზომის არჩევა. საჭიროა სასჯელის ზომის დანიშვნისადმი დიფერენცირებული მიდგომა და 1982-1985 წლებში მიღებული ახალი ნორმების მაქსმალურად გამოყენება ყოველდღურ პრაქტიკაში. საშიშ დამნაშავეთა მიმართ კანონის სიმკაცრე შეხამებული უნდა იყოს იმ ადამიანისადმი რწმენასთან, რომელსაც შემთხვევით დაუცდა ფეხი ცხოვრებაში.

სწორედ ასეთი მიდგომა ქმნის პირობებს, რათა გაძლიერდეს სასჯელის აღმზრდელობითი ზემოქმედება. უნდა ვხელმძღვანელობდეთ იმით, რომ პირველად ნაკლებსაშიში დანაშაულის ჩადენისათვის პირებს, რომლებიც საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას ეწევიან, და მთლიანად დადებითად ხასიათდებიან სამუშაო და საცხოვრებელ ადგილას, არასრულწლოვანებს, ხანდაზმულებს, ბავშვიან ქალებს თავისუფლების აღკვეთა, როგორც წესი, არ შეეფარდოთ.

სკკპ XXVII ყრილობის მიერ სამართალდაცვითი ორგანოების წინაშე დასახული ამოცანები მასშტაბურია. მათი შესრულება მოითხოვს პროკურატურის, სასამართლოების, იუსტიციის, შინაგან საქმეთა ორგანოების, სახარბიტრაჟის, სხვა იურიდიული დაწესებულებების მუშაკთა მაქსიმალურ ძალისხმევას, სიმტკიცეს, მიზანმიმართულ და ეფექტიან საქმიანობას. პროკურატურის ორგანოებს მართებთ რეგულარულად, ღრმად და ყოველმხრივ აანალიზებდნენ კანონიერების მდგომარეობას, დამნაშავეობის დინამიკასა და სტრუქტურაში მომხდარ ცვლილებებს და ამის საფუძველზე ახორციელებდნენ საპროკურორო-საგამოძიებო პრაქტიკის სრულყოფის ღონისძიებებს. შეუნელებელი ყურადღება უნდა ეთმობოდეს მოწინავეთა გამოცდილებას, პრაქტიკაში გამომდგარი ფორმებისა და მეთოდების გამოვლენასა და გავრცელებას.

მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფა უნდა გამოიხატებოდეს უწინარეს ყოვლისა კადრებთან გულმოდგინე და დაკვირვებული მუშაობით. საჭიროა პასუხსაგებ პოსტებზე, განსაკუთრებით საქალაქო, რაიონულ და საოლქო რგოლში, ვაწინაურებდეთ მხოლოდ პრინციპულ, ენერგიულ ადამიანებს, რომლებსაც აქვთ ახლის გრძნობა და შესწევთ უნარი მიაღწიონ დადებით შედეგებს.

ამ და სხვა ღონისძიებათა განხორციელება ხელს შეუწყობს კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებას საქართველოს სს რესპუბლიკაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ XXVII ყრილობა და იუსტიციის ორგანოების და სასამართლოების ამოცანები

ალექსანდრე ფუშანაშვილი,
საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი

სკკპ XXVII ყრილობამ ლენინური სიბრძნითა და სიღრმით გააანალიზა ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობა, განსაზღვრა პარტიის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი, შეაჯამა პარტიის პროგრამის ახალი რედაქციისა და წესდების-ცვლილებათა განხილვის შედეგები და დაამტკიცა ეს უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტები.

ყრილობაზე დიდი ყურადღება დაეთმო საბჭოთა სახელმწიფოს სამართლებრივი საფუძვლების სრულყოფის, სოციალისტური კანონიერების განმტკიცების, სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხს.

ყრილობის პოლიტიკურ მოხსენებაში ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა მაღალი შეფასება მისცა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მართლწესრიგის განმტკიცებისათვის გაწეულ მუშაობას და მიუთითა, რომ მეცადინეობა ამ მიმართებით არ უნდა შევანელოთ, რომ „უცვლელ ამოცანად რჩება საბჭოთა კანონების მთელი ძალის გამოყენება დამნაშავეობისა და სხვა სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში, რომ ადამიანები ყოველ დასახლებულ პუნქტში გრძნობდნენ სახელმწიფოს ზრუნვას მათი სიმშვიდისა და ხელშეუხებლობისათვის, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ვერც ერთი სამართალდამრღვევი ვერ წაუვა საკადრის სასჯელს“[1].

ყველასათვის კარგადაა ცნობილი, თუ რა დიდი და პრინციპული ბრძოლა მიმდინარეობს რესპუბლიკაში მართლწესრიგის განმტკიცებისათვის, ცხოვრებისა და საქმიანობის ლენინური ნორმების აღდგენისა და დამკვიდრებისათვის, რომ „ჯერ კიდევ 1972 წელს დაწყებული რევოლუციური განწმენდის პროცესი დღესაც ძლიერდება. ეს ბრძოლა მტკიცდება, და მისი განვითარების კვალობაზე გაძლიერდება უცხო იდეოლოგიისა და მორალის გამოვლინებების, ნეგატიური მოვლენების, უწინარესად, მექრთამეობის შეუწყნარებლობა. ეს კამპანია კი არა, რთული, ხანგრძლივი და თანმიმდევრული პროცესია“[2].

ამ ბრძოლაში დიდია იუსტიციის ორგანოებისა და სასამართლოების როლი, მაგრამ მათი საქმიანობა ყოველთვის როდი პასუხობს დროის მოთხოვნებს. ამხანაგმა ჯ. ი. პატიაშვილმა სამართლიანად გაუსვა ხაზი, რომ იუსტიციის სამინისტროს მართებს კვლავაც გააძლიეროს მომთხოვნელობა სახალხო სასამართლოებისა და იუსტიციის სხვა ორგანოების მუშაობისადმი.

სკკპ XXVII ყრილობაზე დიდი ადგილი დაეთმო საკანონმდებლო საქმია-

---

1 მ. ს. გორბაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობას, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1986, გვ. 104.

2 ჯ. ი. პატიაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობას, გაზეთი „კომუნისტი“, 25 იანვარი, 1986 წელი.

ნობის საკითხებს, აღინიშნა, რომ კვლავაც უნდა გაუმჯობესდეს საბჭოთა კანონების ხარისხი, კანონმდებლობამ კიდევ უფრო აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი მართვის ეკონომიკური მეთოდების დანერგვას, შრომისა და მოხმარების ოდენობისადმი ქმედით კონტროლს, სოციალური სამართლიანობის პრინციპების განხორციელებას.

ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა დააყენა ამოცანა დაჩქარდეს მომზადება სსრ კავშირის კონსტიტუციით გათვალისწინებული კანონებისა საყოველთაო-სახალხო განხილვისა და კენჭისყრის (რეფერენდუმის), აგრეთვე იმ თანამდებობის პირის მოქმედების სასამართლო წესით გასაჩივრების შესახებ, რომელიც არღვევს კანონს, ამეტებს უფლებამოსილებას და ბღალავს მოქალაქეთა უფლებებს. უნდა მომზადდეს სპეციალური კანონი პროდუქციის ხარისხის შესახებ, გადაისინჯოს მოქმედი კანონმდებლობა იმ მიმართებით, რომ გაძლიერდეს პასუხისმგებლობა სოციალისტური საკუთრების დამტაცებლების, მექრთამეების, მუქთახორების, უშრომელი შემოსავლის მოყვარულების, ყველა იმათი, ვინც დაადგა ჩვენი წყობილების ბუნებისათვის უცხო გზას.

კანონმდებლობის სისტემატიზაციისა და სრულყოფის მიმართულებით, გასულ ხუთწლედში რესპუბლიკაში საკმაოდ დიდი და შრომატევადი სამუშაოა ჩატარებული. ხელახლა მომზადდა და გამოიცა რესპუბლიკის თითქმის ყველა კოდექსი. იბეჭდება და მალე გამოვა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი. დიდი მოწონება დაიმსახურა სამინისტროს მიერ მომზადებულმა ნორმატიული აქტების კრებულმა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების შესახებ. მომზადდა და დასაბეჭდადაა გადაცემული ნორმატიული აქტების კრებულები ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლისა და სამამულო ომის ინვალიდთა შეღავათების შესახებ.

იუსტიციის სამინისტრო სისტემატურად სწავლობს მოქმედი კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას, მოკავშირე რესპუბლიკებისა და სხვა სახელმწიფოთა გამოცდილებას და საჭიროების შემთხვევაში შეაქვს წინადადებები საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ. სამინისტრომ მოამზადა კანონპროექტები ფიქტიური ქორწინებისა და ფიქტიური განქორწინების, აგრეთვე ვენახის უკანონოდ აჩეხვისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაწესების შესახებ, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევებთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებში შევიდა ცვლილებები, ამ დანაშაულის მთვრალ მდგომარეობაში ჩადენა გამოიყო ცალკე შემადგენლობად და დაწესდა უფრო მკაცრი სასჯელი. გარდა ამისა, კოდექსს დაემატა ახალი მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ავტომანქანის ჩამორთმევას მთვრალ მდგომარეობაში მართვისათვის.

იუსტიციის სამინისტრომ მონაწილეობა მიიღო ისეთი მნიშვნელოვანი კანონპროექტების მომზადებაში, როგორიცაა კანონები ატმოსფერული ჰაერის დაცვისა და ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ, დებულება იმ სისხლის სამართლებრივი სასჯელის აღსრულების წესისა და პირობების შესახებ, რომელიც დაკავშირებული არ არის მსჯავრდებულზე შრომაგასწორებითი ზემოქმედების ღონისძიებებთან.

საანგარიშო პერიოდში სამინისტრომ მოამზადა რესპუბლიკის კანონთა წიგნი, რომლის პირველი ტომი უკვე გამოვიდა და დაეგზავნა ხელმომწერებს. კანონთა წიგნი შედგება შვიდი ტომისაგან. მასში შეტანილი იქნება ათასზე მეტი საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტი. ყოველ ტომს ერთვის შეტანილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქტების ქრონოლოგიური ნუსხა, ანბანურ-საგნობრივი საძიებელი და სხვა საცნობარო აპარატი. წიგნი იბეჭდება ქართულ და რუსულ ენებზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ოფიციალური გამოცემის სახით. კანონთა წიგნის მომზადებისას მოხდა კანონმდებლობის ფართო განახლება, კანონმდებლობაში არსებული წინააღმდეგობების აღმოფხვრა და ხარვეზების შევსება, ახალი ნორმატიული აქტების შექმნა და მოძველებულთა გაუქმება. ამჟამად კანონთა წიგნის ყველა ტომი მომზადებულია და გადაცემულია დასაბეჭდად. გეგმის თანახმად კანონთა წიგნის გამოცემა უნდა დამთავრდეს 1987 წელს.

სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში დიდია სასამართლოების როლი. მართლმსაჯულების კანონის შესაბამისად განხორციელება, კონკრეტულ საქმეებზე კანონიერი და სამართლიანი განაჩენისა და გადაწყვეტილების დადგენა ამაღლებს ხალხის მართლშეგნებას, ხელს უწყობს სამართალდარღვევათა აღმოფხვრას, კანონიერების განხორციელებისათვის ბრძოლაში საზოგადოებრივი ძალების გააქტიურებას. უმკაცრესად უნდა ვიცავდეთ მართლმსაჯულების, კანონის წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის დემოკრატიულ პრინციპებს, სხვა გარანტიებს, რომლებიც უზრუნველყოფს სახელმწიფოსა და თითოეული მოქალაქის ინტერესების დაცვას, — აღნიშნა სკკპ XXVII ყრილობაზე ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა.

გატარებული ღონისძიებების შედეგად ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სასამართლოების საქმიანობა. სასამართლოები უფრო მკაცრად სჯიან სოციალისტური საკუთრების დამტაცებლებს, მექრთამეებს, სპეკულანტებს, ნარკომანებს, ქურდებს, ხულიგნებს და სხვა საშიშ დამნაშავეებს. სასამართლო საქმეთა განხილვისას უფრო ღრმად და კვალიფიციურად ხდება დანაშაულისა თუ სხვა სამართალდარღვევის კონკრეტული მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების გამოვლენა, კანონით გათვალისწინებული ზომების გამოყენება მათ აღსაკვეთად და აღმოსაფხვრელად.

მიუხედავად ამისა, სასამართლოების საქმიანობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს უხეშ შეცდომებს, საშიშ დამნაშავეთა მიმართ ყოვლად გაუმართლებელი ლმობიერების გამოჩენის ფაქტებს. ზოგჯერ სასამართლოები თავისუფლების აღკვეთას უფარდებენ ისეთ პირებს, რომლებმაც პირველად ჩაიდინეს მცირე მნიშვნელობის დანაშაული, არ წარმოადგენენ დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას და ადვილად შეიძლება გამოსწორდნენ საზოგადოებიდან იზოლაციის გარეშე.

სამტრედიის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე ჯ. შენგელია) ადრე ბოროტი ხულიგნობისათვის მსჯავრდებულ ლომოვს, რომელიც თავს არიდებდა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობისა და ნარკოტიკულ ნივთიერებათა გასაღებისათვის მიუსაჯა შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ აღნიშნული განაჩენი გააუქმა სასჯელის აშკარა ლმობიერების გამო. საქმის ხელახალი განხილვისას ლომოვს შეეფარდა ათი წლით თავისუფლების აღკვეთა.

ზესტაფონის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე ლ. კუპატაძე) ადრე მკვლელობისა და სახელმწიფო ქონების დატაცებისათვის ნასამართლევ ნუცუბიძეს მოქალაქეთა პირადი ქონების გამოძალვისათვის მიუსაჯა ორი წლით

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფლების აღკვეთა, რაც შეუცვალა პირობით შრომაში სავალდებულო ჩაბმით. სასჯელის ლმობიერების გამო განაჩენი გაუქმდა და საქმის ხელახალი განხილვისას ნუცუბიძეს მიესაჯა სამი წლითა და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა.

ბოგდანოვკის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე ა. ვართანიანი) გოგოლიანს, რომელმაც მთვრალ მდგომარეობაში მოახდინა ავტოავარია, რასაც დაზარალებულის დაღუპვა მოჰყვა, პირობითი სასჯელი აკმარა. საქმის ხელახალი განხილვისას დამნაშავეს ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა.

გასაგებია, რომ მართლმსაჯულების ასეთი განხორციელება, დამნაშავეთა მიმართ ასეთი ბრძოლა, ვერ განაწყობს მოსახლეობას სასამართლოებისადმი ნდობითა და პატივისცემით.

სახალხო სასამართლოების საქმიანობას, როგორც წესი, ვაფასებთ გაუქმებული და შეცვლილი განაჩენებისა თუ გადაწყვეტილებების რაოდენობით. ეს ასეც უნდა იყოს თუ ყველა განაჩენი და გადაწყვეტილება მოწმდება სწორად, კვალიფიციურად და არ ხდება ამ პროცესის ხელოვნური მართვა. ბოლო ხუთი წლის მანძილზე რესპუბლიკაში თითქმის ერთისამად შემცირდა გაუქმებული და შეცვლილი განაჩენების რიცხვი, მაგრამ ძალიან საეჭვოა, რომ ეს გამოწვეული იყოს სახალხო სასამართლოების საქმიანობის ძირეული გაუმჯობესებით. გასულ წელს სასჯელის აშკარა ლმობიერების მოტივით განაჩენი გაუქმდა მხოლოდ ცხრა პირის მიმართ, აქედან ოთხი პირის მიმართ იუსტიციის სამინისტროს წარდგინების საფუძველზე. აბა, რა დასაჯერებელია, რომ სასამართლოებმა მხოლოდ აღნიშნული პირების მიმართ გამოიჩინეს აშკარა ლმობიერება. ზემდგომი ინსტანციის სასამართლოები ხშირად უკანონოდ და უსაფუძვლოდ აუქმებენ და ცვლიან განაჩენებს, ამახინჯებენ სასამართლო პრაქტიკას, ახდენენ სახალხო სასამართლოების დეზორიენტაციას.

თბილისის საქარხნო რაიონის სასამართლომ გამასწორებელი სამუშაოები მიუსაჯა ლაბაძეს, რომელიც ავტოშემკეთებლად მუშაობდა და მომხმარებელს ზედმეტად გადაახდევინა ათი მანეთი. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ (მომხსენებელი ზ. ხელაშვილი) ეს სასჯელი რატომღაც მკაცრად მიიჩნია და ჯარიმით შეცვალა.

საგარეჯოს რაიონის სახალხო სასამართლომ ელიზბარაშვილს, რომელმაც სხვა პირთან ერთად ტექნიკური საშუალების გამოყენებით მოიპარა კოლმეურნეობის ძროხა, შეუფარდა ორნახევარი წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც მსჯავრდებული პიროვნებისა და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით შეუცვალა პირობით შრომაში სავალდებულო ჩაბმით. ეს ისედაც ლმობიერი სასჯელი რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ (მომხსენებელი ი. ჟორდანია) მკაცრად მიიჩნია და შეცვალა გამასწორებელი სამუშაოებით.

ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლომ ძუძუთა ბავშვის მარტოხელა დედას ჯალაღონიას, რომელიც გამყიდველად მუშაობდა, ორი ათასი მანეთის დანაკლისი აღმოაჩნდა და იგი მაშინვე დაფარა, მიუსაჯა ერთი წლითა და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა. ზემდგომმა სასამართლო ინსტანციებმა ყურად არ იღეს მსჯავრდებულის თხოვნა და მხოლოდ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გაათავისუფლა იგი სასჯელის მოხდისაგან პატიების წესით.

ხელ. სხვ. ... სამ. საკ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასაგებია, რომ ასეთი ზემდგომი სასამართლო ზედამხედველობა ვერ გამოდგება სახალხო სასამართლოების საქმიანობის შეფასების კრიტერიუმად. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკის ზემდგომი სასამართლოები ფორმალური მაჩვენებლების მიხედვითაც კი თითქმის ყველაზე ცუდად გამოიყურებიან კავშირის მასშტაბით. მარტო გასულ წელს თვითონ მათ მიერ დადგენილი განაჩენების ჩვიდმეტი პროცენტი გაუქმდა ან შეიცვალა.

გასულ ხუთწლედში საგრძნობლად გაუმჯობესდა სასამართლოებში საქმეთა განხილვის ვადების დაცვის მდგომარეობა. თუ 1980 წელს სისხლის სამართლის საქმეთა 12 პროცენტი იყო განხილული ვადის დარღვევით, 1985 წელს ამ მაჩვენებელმა მხოლოდ 4,4 პროცენტი შეადგინა. თბილისის საქარხნო რაიონის, ქ. ზუგდიდის, მახარაძის, კასპის, საგარეჯოს, ჩხოროწყუსა და მთელი რიგი სხვა რაიონების სახალხო სასამართლოებში ყველა სისხლის სამართლის საქმე დროულად იხილება. უხეშად ირღვევა საქმეთა განხილვის ვადები ახმეტის, წალკის, მესტიის, გორის რაიონის სახალხო სასამართლოებში.

საქმეთა განხილვის ვადების დარღვევის ძირითადი მიზეზია მოსამართლეთა უპასუხისმგებლობა, პროცესის მოუმზადებლობა, ამ საკითხის სხდომის მდივნებზე გადაკისრება, პროცესის მონაწილეთა გამოცხადების უზრუნველსაყოფად კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოუყენებლობა.

სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეში დიდი როლი ენიჭება სასამართლოების პროფილაქტიკური საქმიანობის დონისა და ეფექტიანობის ამაღლებას.

სტატისტიკის მიხედვით, ყოველ მესამე სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოებს გამოაქვთ კერძო განჩინება, ყოველი მეოთხე საქმე იხილება გამსვლელ სესიაზე, ყოველი მეექვსე საქმის განხილვაში მონაწილეობას ღებულობენ საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. ამ საქმიანობაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი რუსთავის, ადიგენის, ახალციხის, ბორჯომის, ვანის, მაიაკოვსკის, ჩოხატაურის, წალენჯიხის, გეგეჭკორის და სხვა ქალაქებისა და რაიონების სახალხო სასამართლოებმა. სამწუხაროდ, პროფილაქტიკურ საქმიანობას ყველგან ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში არცერთი საქმე არ განუხილავთ გამსვლელ სხდომაზე ახმეტისა და თერჯოლის რაიონების სახალხო სასამართლოებს. გასულ წელს არც ერთი საქმის განხილვაში მონაწილეობა არ მიუღიათ საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს ახალქალაქის და ქარელის რაიონის სახალხო სასამართლოებში, არც ერთი განაჩენი არ გაუშუქებიათ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გორის, მახარაძის და სიღნაღის რაიონების სახალხო სასამართლოებს.

რასაკვირველია, სასამართლოთა პროფილაქტიკური საქმიანობის ეფექტიანობას მხოლოდ რაოდენობრივი მაჩვენებელი არ განსაზღვრავს. მთავარია ამ ღონისძიებათა ხარისხი, როგორ პასუხობენ ისინი მართლმსაჯულების ამოცანებს, რამდენად უწყობენ ხელს მოსახლეობის სამართლებრივ აღზრდას, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის მტკიცე და განუხრელი დაცვის სულისკვეთების ჩამოყალიბებას. ამ მხრივ კი ცოტა ნაკლოვანებები როდი შეინიშნება. ადგილი აქვს პროფილაქტიკური საქმიანობისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიულ მიდგომას. სახალხო სასამართლოთა გამსვლელი სხდომები კვლავ ხშირად ტარდება ისეთ ორგანიზაციებში, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს განსახილველ საქმესთან. გამსვლელ სესიაზე იხილება ისეთი საქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეები, რომლებიც არ იწვევენ დიდ საზოგადოებრივ ინტერესს. არც თუ იშვიათად გამსვლელი სესიები ტარდება მოუმზადებლად, პროცესუალური და ეთიკური ნორმების უხეში დარღვევით.

სასამართლოს კერძო განჩინებათა უმრავლესობა ინფორმაციული ხასიათისაა და ფაქტობრივად არის შეტყობინება კოლექტივისადმი, რომ მათმა მუშაკმა ჩაიდინა დანაშაული და საჭიროა კოლექტივში გაიზარდოს აღმზრდელობითი მუშაობა.

პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება თვითმიზანი არ არის, მთავარია არა ღონისძიებათა რაოდენობა, არამედ მათი ხარისხი და ეფექტიანობა, კონკრეტული შედეგები.

სკკპ XXVII ყრილობაზე ბევრი ითქვა სოციალისტური საკუთრების დაცვის შესახებ. ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა აქვს არამარტო სოციალისტური საკუთრების დამტაცებელთა სამართლიან დასჯას, არამედ აგრეთვე დანაშაულით მიყენებული ზარალის სრულად ანაზღაურებას. ამ მიმართულებით სასამართლოები გარკვეულ მუშაობას ეწევიან. გასულ წელს განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ქუთაისის ავტოქარხნის რაიონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელმა გ. მოსეშვილმა, რომელმაც მთლიანად ამოიღო დამნაშავე პირთაგან სახელმწიფო ორგანიზაციებისადმი მიყენებული ზარალი და გაიმარჯვა რესპუბლიკის საუკეთესო აღმასრულებლის წოდებისათვის გამართულ კონკურს-დათვალიერებაში. კარგად იმუშავეს აგრეთვე თბილისის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელმა ი. ბენაშვილმა და ამბროლაურის რაიონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელმა ლ. ველიაშვილმა, რომელთაც შესაბამისად მეორე და მესამე ადგილები მიეკუთვნათ. სამწუხაროდ, ამ საქმიანობას ყველა სასამართლოში არ ექცევა სათანადო ყურადღება. ცუდად მუშაობენ ახმეტის, ასპინძის, ახალქალაქის, ბოლნისის, გეგეჭკორის, ორონიკიძის და წითელწყაროს რაიონების სახალხო სასამართლოები.

სკკპ XXVII ყრილობის პოლიტიკურ მოხსენებაში და მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ უნდა გაუმჯობესდეს მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდა. ამ საყრილობო მოთხოვნათა შესაბამისად სამართლებრივი პროპაგანდისა და აღზრდის მოქმედი სისტემა მოითხოვს შემდგომ დახვეწასა და სრულყოფას. გადაჭრით უნდა გაუმჯობესდეს სამართლებრივი კურსის სწავლება საშუალო და პროფტექნიკურ სასწავლებლებში. ამ ათი წლის წინათ შედგენილი სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოები აშკარად ვერ აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნებს.

მოსახლეობის სამართლებრივი სწავლების ყველაზე ქმედით ფორმას სამართლებრივი ცოდნის სახალხო უნივერსიტეტი წარმოადგენს. ასეთი უნივერსიტეტები ამჟამად ყველა ქალაქში და რაიონშია შექმნილი, მაგრამ ეს სრულიად არ არის საკმარისი. უნივერსიტეტებში, როგორც წესი, ჩაბმული არიან სახალხო მსაჯულები და სახალხო რაზმელები. მოსახლეობის დიდი ნაწილი სამართლებრივი სწავლების გარეშეა დატოვებული. რაც ყველაზე სამწუხაროა, ზოგან უნივერსიტეტი მხოლოდ ქალაქზე არსებობს და მთელი მისი საქმიანობა პირველი და შემაჯამებელი მეცადინეობის ჩატარებით ამოიწურება. მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის საქმეში ჯერ კიდევ ეფექტიანად ვერ ვიყენებთ ლექციურ პროპაგანდას, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის შესაძლებლობებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ XXVII ყრილობამ დასახა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ახალი სტრატეგიული კურსი, რაც საგრძნობლად ზრდის სამართლებრივი საშუალებების როლს ეკონომიკურ ამოცანათა გადაწყვეტის და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფაში. ბევრი უწყება ჯერ კიდევ სუსტად იყენებს იურიდიული სამსახურის შესაძლებლობებს ეკონომიკური მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად, შრომისა და სამეურნეო დისციპლინის განსამტკიცებლად. დიდი დახმარების გაწევა შეუძლია იურიდიულ სამსახურს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში, რასაც განსაკუთრებით გაესვა ხაზი სკკპ XXVII ყრილობაზე. დასამალი არ არის, რომ უხარისხო პროდუქციის გამოშვებით მიყენებული ზარალის ჩამოწერა ამჟამად, როგორც წესი, ხდება წარმოების ხარჯზე, კონკრეტული დამნაშავე კი დაუსჯელი რჩება. ანალოგიური მდგომარეობაა სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობით გამოწვეული ზარალის ანაზღაურების საკითხშიც. უნდა ამაღლდეს იურისკონსულტთა პასუხისმგებლობა, მათი გარკვეული ნაწილი ჯეროვნად ვერ ასრულებს სამსახურებრივ მოვალეობას, ვერ ერკვევა ან ცუდად ერკვევა სამეურნეო კანონმდებლობაში, არ იცნობს თავისი საწარმოს ეკონომიკურ მდგომარეობას.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს აგროსამრეწველო გაერთიანებაში იურიდიული სამსახურის სწორი ორგანიზაცია. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამართლებრივი მუშაობის შესწავლა გვიჩვენებს, რომ სამეურნეობათაშორისო იურიდიული ჯგუფების არსებობა ვერ პასუხობს სოფლის მეურნეობის მართვის დღევანდელ პრინციპებს. აგროსამრეწველო გაერთიანებათა ფუნქციონირების პირობებში გაცილებით მაღალეფექტურია უშუალოდ კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში იურისკონსულტთა საშტატო ერთეულის შემოღება.

სკკპ XXVII ყრილობაზე დიდი ადგილი დაეთმო საბჭოთა მოქალაქეების მომსახურების სფეროს სრულყოფას, აღინიშნა, რომ უმოკლეს ვადაში უნდა შეიქმნას თანამედროვე მომსახურების სფერო, განხორციელდეს გადამწყვეტი ღონისძიებანი, რათა აღმოიფხვრას მკვეთრი დისპროპორცია მომსახურებაზე მოთხოვნასა და მის გაწევას შორის.

ამ მითითებათა შესაბამისად გადაჭრით უნდა გაუმჯობესდეს მოქალაქეთა სამართლებრივი მომსახურება ადვოკატურის, ნოტარიატისა და მმაჩის ორგანოებში. ამ ორგანოთა სამუშაო პირობების გაუმჯობესება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, რის თაობაზეც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გასული წლის დეკემბერში მიიღო სპეციალური დადგენილება, ხელს შეუწყობს მოსახლეობის სამართლებრივი მომსახურების დონის ამაღლებას.

იუსტიციის ორგანოებისა და სასამართლოების ავტორიტეტს, საბოლოო ანგარიშით, განსაზღვრავენ კადრები, მათდამი ხელმძღვანელობის სტილი და მეთოდები. კადრებთან მუშაობის გაუმჯობესების აუცილებლობაზე საგანგებოდ იყო ლაპარაკი საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე: „სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობის დონის ამაღლებას პარტია განუყრელად უკავშირებს კადრებთან მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას. ამ საპროგრამო მოთხოვნის პრაქტიკული განხორციელებისათვის აუცილებელია, რომ ყველგან, თავიდან ბოლომდე, განუხრელად სრულდებოდეს კადრების შერჩევისა და განაწილების, — მათი პოლიტიკური, საქმიანი და მორალური ნიშნების მიხედვით განაწილების ლენინური პრინციპები“ — აღ-

ნიშნა ყრილობაზე ამხანაგმა ჯ. ი. პატიაშვილმა.[3]

იუსტიციის სამინისტრო დიდ მუშაობას ეწევა სწორი საკადრო პოლიტიკის განხორციელებისათვის, ჩამოყალიბდა კადრებთან მუშაობის, მათი შესწავლისა და სწავლების გარკვეული სისტემა. უფრო კონკრეტული და მიზნობრივი გახდა კადრების სწავლებისა და აღზრდის ისეთი ფორმები, როგორიც არის სემინარები, ზონალური თათბირები, კონფერენციები, სტაჟირება, დამრიგებლობა, მოწინავეთა გამოცდილების განზოგადება და ა. შ. დიდ მუშაობას ეწევა სამინისტროსთან არსებული იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსები, რომელიც ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება კავშირის მასშტაბით.

რამდენიმე წლის წინათ დაწესდა დიდი ქართველი მოაზროვნის ილია ჭავჭავაძის სახელობის დიპლომი, რომელიც წლის შედეგების მიხედვით გადაეცემა საუკეთესო სახალხო მოსამართლეს. ეს საპატიო ჯილდო მოიპოვეს თბილისის საქარხნო რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ თ. ნამიჭეიშვილმა, მახარაძის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ რ. გობრონიძემ და სოხუმის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ შ. არშბამ. ყოველწლიურად ტარდება კონკურს-დათვალიერებები საუკეთესო სანოტარო კანტორის, სასამართლოს კანცელარიის, იურიდიული კონსულტაციის და მმაჩის ორგანოს გამოსავლინებლად.

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, საკადრო საქმიანობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი და ხარვეზია. კადრების აღზრდისა და სწავლების ხაზით განხორციელებულ ღონისძიებებს ყოველთვის არ მოსდევს სასურველი შედეგები, რადგან ისინი ზოგჯერ არ არის კონკრეტული და მიზანმიმართული. სათანადოდ არ ვსწავლობთ კადრებს, თითოეულ მუშაკს, მის ცხოვრებისეულ პოზიციასა და პრინციპებს. გასულ წელს მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისათვის ვადაზე ადრე გამოვიწვიეთ ორი სახალხო მოსამართლე, დაკავებული თანამდებობიდან გავათავისუფლეთ ექვსი სასამართლოს აღმასრულებელი, ხუთი სახელმწიფო ნოტარიუსი და ა. შ. ალბათ, ამ უკიდურესი ღონისძიების გამოყენება არ დაგვჭირდებოდა, კადრების განაწილებისა და სწავლების ჩვენი სისტემა რომ უფრო ეფექტიანად მუშაობდეს.

მუშაკებისადმი მეტი ზრუნვის გამოჩენაა საჭირო. გულგრილობა, უყურადღებობა, ღირსეულთა შეუმჩნევლობა და უღირსთა დაწინაურება თუ წახალისება უდიდეს ზიანს აყენებს ჩვენს საკადრო მუშაობას. ისე უნდა მოვაწყოთ საქმე, რომ თითოეული მუშაკის საქმიანობა მუდმივად იყოს ჩვენი თვალსაწიერის ფარგლებში, არც ცუდი და არც კარგი არ რჩებოდეს სამართლიანი შეფასებისა და რეაგირების გარეშე.

სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელება მოითხოვს დიდ შრომასა და ენერგიას, კონკრეტულ და კვალიფიციურ საქმიანობას, მუშაობის სტილისა და მეთოდების დახვეწას, გარდაქმნასა და სრულყოფას. რესპუბლიკის სასამართლოებისა და იუსტიციის ორგანოების მუშაკები ყველაფერს გააკეთებენ ამ პასუხსაგები და საპატიო მისიის შესასრულებლად, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მტკიცე კანონიერების დასამკვიდრებლად და განსამტკიცებლად.

---

[3] ჯ. ი. პატიაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას, გაზეთი „კომუნისტი“, 25 იანვარი, 1986 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლწესრიგის განმტკიცების მთავარი და საიმედო გარანტია

ზოთა გორგოძე,
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი

პარტიისა და ხალხის ერთგული საქართველოს საბჭოთა მილიცია ყოველთვის უშეღავათო ბრძოლას ეწეოდა დამნაშავეობისა და სოციალისტური ყოფისათვის მიუღებელი ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებების წინააღმდეგ, მაგრამ ბოლო წლებში ამ ბრძოლას მაინც აკლდა სიმძაფრე და თანმიმდევრულობა. თუმცა, ეს მარტო შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაობაზე, ან მარტო ჩვენი რესპუბლიკის მაგალითზე არ ითქმის.

სკკპ XXVII ყრილობამ დაუფარავად ამხილა ეს ნაკლოვანებანი, წარმოაჩინა მათი გამომწვევი მიზეზები და შეიმუშავა სოციალისტური საზოგადოების დაჩქარებული განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა.

დაჩქარების სტრატეგია, რასაც შედეგად უნდა მოჰყვეს ეროვნული შემოსავლის გაორკეცება და საბჭოთა ხალხის მატერიალურ-კულტურული ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლება, ჩვენს წინაშე ამჟამად მდგარი ყველა ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და იდეოლოგიური პრობლემების გასაღებია, ხოლო სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი და დისციპლინა, ამ სტრატეგიის ცხოვრებაში პრაქტიკულად გატარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა.

მეთორმეტე ხუთწლედის გრანდიოზულ მიზანდასახულობათა ხორცშესხმა აუცილებლად ითხოვს და დღის წესრიგში აყენებს მუშაობის მოძველებული ფორმებისა და დრომოჭმული მეთოდების უარყოფას, საქმისადმი ახლებურ მიდგომას და ყველა იმ ნაკლოვანებათა უსწრაფესად აღმოფხვრას, რომლებიც ხელს უშლიან წინსვლას.

ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო პარადულობასა და მოჩვენებითობას, ეგრეთ წოდებულ „მიწერებს“, თითქმის ყველგან რომ იჩინა თავი და ნაყოფიერი ნიადაგი შეუქმნა სხვადასხვა ნეგატიურ მოვლენებს. ამ სენს ვერც შინაგან საქმეთა ორგანოები ასცდნენ. ზოგიერთ საქალაქო თუ რაიონულ განყოფილებაში დამკვიდრებული დანაშაულის მიჩქმალვის მავნე პრაქტიკაც ხომ იგივე „მიწერა“ და ოპერატიული ვითარების ხელოვნური შელამიზების ცდაა. თუმცა, მხოლოდ ეს არ იყო შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაობის შესუსტების მიზეზი, აქ სხვა ბევრი ნაკლიც შეიმჩნეოდა.

საზოგადოებრივი ცხოვრების რთული მექანიზმი კი ისეა მოწყობილი, რომ შეუძლებელია იზოლირებულად, სხვათა დამოუკიდებლად მივაღწიოთ ადმინისტრაციული, კერძოდ კი შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაობის უმაღლეს ეფექტურობას, იდეალურ წესრიგს. ამიტომ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ერთდროულად უნდა წარიმართოს ნამდვილად უშეღავათო, უკომპრომისო ბრძოლა თვითგანწმენდისა და მორალურ-ზნეობრივი კლიმატის გაჯანსაღებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომდინარე აქედან, შინაგან საქმეთა ორგანოების სიწმინდისათვის ზრუნვა ჩვენს უპირველეს, გადაუდებელ საქმედ მიგვაჩნია, რადგან უამისოდ მართლწესრიგის განმტკიცების ამოცანები თანამედროვე მოთხოვნების დონეზე ვერ გადაწყდება.

კადრების სწორი შერჩევისა და ამაღლების მიზნით უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯები სამინისტროს აპარატში, მაგრამ ამ მხრივ, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი ძირეულ რგოლებში, შინაგან საქმეთა რაიონულ და საქალაქო განყოფილებებში.

ჩვენ დაუნდობლად ვააშკარავებთ და ორგანოდან ვითხოვთ მილიციაში შემთხვევით მოხვედრილ, ნდობადაკარგულ თანამშრომლებს, რომლებმაც სახელი გაიტეხეს. ამავე დროს ვცდილობთ ისეთი ახალგაზრდებით შევავსოთ მილიციის რიგები, რომლებსაც პროფესიულ ცოდნასთან ერთად დადებითი პიროვნული თვისებებიც გააჩნიათ, როგორც იტყვიან, გული შესტკივათ სიმართლისა და სიკეთისათვის. დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ აგრეთვე პირადი შემადგენლობის მაღალ-ზნეობრივი და იდეურ-პოლიტიკური თვისებებით აღზრდას. ამ მხრივ მეტად საჭირო და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტ-განყოფილება.

შინაგან საქმეთა ორგანოების ბრძოლისუნარიანობის ამაღლების კიდევ ერთ მნიშვნელოვან რეზერვად მიგვაჩნია პირადი შემადგენლობის პროფესიული ცოდნისა და ოსტატობის სრულყოფა. პროფესიონალიზმი ტევადი მცნებაა, იგი მარტოოდენ მუშაობის სპეციფიკურ თავისებურებათა ცოდნას კი არა, იდეურ-პოლიტიკურ სიმწიფესა და მაღალ ზნეობრივ თვისებებსაც გულისხმობს. პროფესიონალიზმს საქმისადმი უზომო სიყვარული შობს, ხოლო ვისაც საქმე უყვარს, იგი იოლად ვერ შეელევა საკუთარ ღირსებას და კოლექტივის სახელსაც თვალის ჩინივით უფრთხილდება.

იგივე შეიძლება ითქვას დისციპლინის როლისა და მნიშვნელობის შესახებაც. შეგნებული შრომითი დისციპლინის განმტკიცება სამინისტროს კოლეგიის, პოლიტგანყოფილებისა და პარტიული კომიტეტის ერთობლივი ზრუნვის საგანია. პრაქტიკა გვარწმუნებს, რომ სოციალისტური კანონიერების დარღვევები და სხვა ნეგატიური გამოვლინებები სწორედ იქ იჩენენ თავს, სადაც დისციპლინა მოიკოჭლებს. დამნაშავეთა წინააღმდეგ ბრძოლა კი თავისი სპეციფიკურობის გამო, პირადი შემადგენლობის მაღალორგანიზებულობას, მობილურობასა და ფიზიკური თუ სულიერი ენერგიის უკიდურეს დაძაბვას მოითხოვს.

დიდ იმედებს ვამყარებთ მოსახლეობის აქტიურ პოზიციასა და მხარდაჭერაზე. ამ შემთხვევაში მარტო დამნაშავეთა წინააღმდეგ ბრძოლაში თანადგომას როდი ვგულისხმობთ, მხედველობაში გვაქვს აგრეთვე მშრომელთა სიგნალები და კრიტიკული შენიშვნებიც. საზოგადოებრივი აზრი ჩვენთვის მუდამ იქნება მილიციის მუშაობის სასინჯი ქვა და ჯეროვან შეფასებასაც მივცემთ მას.

როდესაც მუშაობის ახლებურად გარდაქმნის მიზნით ჩვენს მიერ დასახული ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებანი ყოველდღიური, პრაქტიკული საქმიანობის ნორმად იქცევა, შინაგან საქმეთა ორგანოების ბრძოლისუნარიანობაც მნიშვნელოვნად ამაღლდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვლილ პერიოდში ბრძოლის მახვილი ძირითადად მიმართული იყო ქურდობისა და ქურდული ელემენტების წინააღმდეგ. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა გამხრწნელ ზეგავლენას ახდენენ ე. წ. „კანონიერი ქურდები" ახალგაზრდობის ერთ ნაწილზე. ამას გარკვეული მიზეზებიც აქვს. ჩვენ ხშირად გვსმენია: როგორ გინდა დაარწმუნო ახალგაზრდა, მოუწოდო წესიერებისაკენ, როცა ხედავს ქურდები უკეთ ცხოვრობენ ვიდრე პატიოსანი ადამიანები.

სწორედ აქ იმალება ყალბი რომანტიკის საიდუმლო, ხოლო ჩვენ წლების მანძილზე ვერ შევძელით „კანონიერი ქურდების" წინააღმდეგ ბრძოლისათვის პრინციპული, შემტევი და შეუქცევადი ხასიათი მიგვეცა. ამჟამად ვითარება მკვეთრად შეიცვალა. სხვადასხვა დანაშაულისათვის უკვე დაპატიმრებულია ათობით ე. წ. „კანონიერი ქურდი". მათი აბსოლუტური უმრავლესობა სასჯელის მოსახდელად გაიგზავნა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ რაიონებში. ამ საკითხში ჩვენ კვლავ მკაცრი, შეურიგებელი პოზიცია გვიჭირავს. ადრეც გვითქვამს და ახლაც გავიმეორებთ: იქ, სადაც ქურდები დაუსჯელად დაპარპაშობენ, მილიციის უფროსს არაფერი ეთქმის, ალბათ იგი არც თავის თანამდებობაზე უნდა იყოს.

ქურდული ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული შრომა-გასწორების დაწესებულებების მუშაობის ავ-კარგთან. იყო დრო, როცა აქ მსჯავრდადებულთა აღზრდა-გამოსწორება მხოლოდ შინაგან საქმეთა კომპეტენციად, მათ „შინაურ საქმედ" ითვლებოდა. მინდა მადლიერების გრძნობით ვთქვა, რომ ამხ. ნუგზარ ფოფხაძის წერილებმა, რომლებიც გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნდა (1982, 1985 წ.წ.), ამ „საჩოთირო თემას" ტაბუ ახსნა და ფართო საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანა.

რაგინდ მტკივნეულიც არ უნდა იყოს შრომა-გასწორების კოლონიებში არსებულ მრავალ დარღვევათა და გადაუჭრელ პრობლემათა სააშკარაოზე გამოტანა, მაინც მოხარული ვართ, რომ საზოგადოება დაინტერესდა, თუ როგორ ცხოვრობენ იქ ჩვენი „ცოდვილი ძმები", რომლებიც ადრე თუ გვიან კვლავ უნდა დაუბრუნდნენ თავიანთ ოჯახებს. ამ საკითხის საჯარო განხილვით საქმემ მხოლოდ მოიგო.

აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტურობას შრომა-გასწორების დაწესებულებებში ხელს უშლიდნენ იქ მოკალათებული „კანონიერი ქურდები". მომსახურე პერსონალთა დანაშაულებრივი წაყრუებით მათ მოახერხეს კიდეც თავიანთთვის პრივილეგირებული პირობების შექმნა და ლამის ხელში აიღეს მთელი ძალაუფლება.

დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ გატარებული ღონისძიებების შედეგად ეს ტრადიციები დაირღვა და თითქმის მთლიანად გაიწმინდა შრომა-გასწორებითი დაწესებულებები ასეთი პირებისაგან. ზოგიერთმა დროულად შეიგნო თავისი უსუსურობა და გამოსწორების გზას დაადგა, ხოლო სხვები, როგორც უკვე ითქვა, სასჯელის მოსახდელად რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ არიან გაყვანილნი.

შრომა-გასწორების დაწესებულებები საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის მუდმივი ყურადღებისა და მზრუნველობის ცენტრშია. დასახულია ღონისძიებათა მთელი კომ-

პლექსი, როგორც მსჯავრდადებულთა შრომით საქმიანობაში ჩასაბმელად, ასევე მათი საყოფაცხოვრებო პირობებისა და სამედიცინო მომსახურეობის გასაუმჯობესებლად, აღმზრდელობითი და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გარდასაქმნელად.

ვფიქრობთ, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკაში ოპერატიული ვითარების შემდგომი გაჯანსაღებისა და რეციდიულ დანაშაულობათა თავიდან აცილების თვალსაზრისით.

ქურდული ტრადიციებისადმი ერთგულების დამღუპველ პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირშია აგრეთვე ისეთი საშიში სოციალური სენი, როგორიც ნარკომანიაა. სწორედ ქურდები და უშრომელი შემოსავლით გალაღებული დამნაშავენი არიან ნარკოტიკების უპირველესი მომხმარებლები. ეს მარტო იმიტომ კი არ ხდება, რომ იოლად მიუწვდებათ ხელი „შავ ბაზარზე“ ძვირადღირებული სასიკვდილო შხამისადმი, არამედ უფრო იმით, რომ სოციალურად გადაგვარებულნი არიან, მათთვის უცხოა ყოველგვარი ადამიანური განცდა და სიხარული, „ბედნიერებას“ მხოლოდ და მხოლოდ ამ ავადმყოფურ „სიამოვნებაში“ ჰპოვებენ. ახალგაზრდობის ის ნაწილი კი, რომელთაც სკოლამ და ოჯახმა ცხოვრების სწორი გეზი ვერ მისცა, „ქურდული რომანტიკისადმი“ ერთგულების ნიშნად სწორედ ნარკოტიკულ ნივთიერებებს ეტანებიან.

ამიტომ ვართ დარწმუნებულნი, რომ ქურდობისა და საერთოდ, ყოველგვარი არაშრომითი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში მოპოვებული წარმატებები ნარკომანიის საშიში სენის დაძლევაშიც დაგვეხმარება.

ბოლო დროს ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა მეცნიერულ რელსებზე დადგა. ამას მოწმობს ამასწინათ ჩვენს დედაქალაქში გამართული საკავშირო თათბირ-სემინარი, რომელიც ამ საკითხებს მიეძღვნა. თუ ადრე ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა ლოკალურად, ცალკეულ რეგიონებში მიმდინარეობდა, დღეს უკვე თვალნათლივ შეიმჩნევა მოკავშირე რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სამინისტროების ღონისძიებათა ურთიერთკოორდინაცია. გვჯერა, რომ ეს მუშაობა უთუოდ გამოიღებს დადებით შედეგებს.

დანაშაულობათა აღკვეთა-აცილების და პროფილაქტიკის გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ცნობილ დადგენილებას ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა გაძლიერების შესახებ. ფაქტები ცხადყოფენ, რომ მომხდარ დანაშაულობათა უმეტესობა სწორედ სიმთვრალეშია ჩადენილი. მართალია, სტატისტიკის მიხედვით უკანასკნელ პერიოდში რამდენადმე შემცირდა ამ კატეგორიის დამნაშავე პირთა ხვედრითი წილი, მაგრამ რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში ჯერ კიდევ მაინც ვერ მოხერხდა გარდატეხის შეტანა ლოთობის წინააღმდეგ ბროლის საქმეში. იგივე შეიძლება ითქვას მუქთახორობასა და უმუშევრობაზე, რაც ლოთობასა და ალკოჰოლიზმთან ერთად, დანაშაულობათა ერთ-ერთი ძირითადი მასაზრდოებელია. ყოველივე ეს ცხადია, პროფილაქტიკური მუშაობის ნაკლოვანებებზე მიგვანიშნებს.

უნდა ითქვას, რომ საამისოდ ჩვენ ჯერ კიდევ სრულად ვერ ვიყენებთ უბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის ინსპექტორებს. როგორც ჩანს მათ მუშაობას ნამდვილად აკლია მიზანდასახულობა და სიმწვავე. ეს შეიძლება ნაწილობრივ იმითაც იყოს განპირობებული, რომ ბოლო წლებში, ექსპერიმენტის მიზნით, რამოდენიმეჯერ შეიცვალა უბნის ინსპექტორთა სამსახურებრივი დაქვემდებარება და ორგანიზაციული სტრუქტურა.

მეტად საპასუხისმგებლო და გაზრდილი ამოცანების წინაშე აყენებს შინაგან საქმეთა ორგანოებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „უშრომელი შემოსავლის მიღების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ". ამ დიდმნიშვნელოვანი, სახელმწიფოებრივი ამოცანის წარმატებით გადაჭრა უშუალოდ არის დაკავშირებული სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბროლის და არასაუწყებო დაცვის სამსახურების მუშაობის ეფექტურობის შემდგომ ამაღლებასთან.

ბევრი რამ უკვე გაკეთდა ამ მიმართებით. არ დარჩენილა რესპუბლიკის თითქმის არც ერთი რეგიონი, სადაც არ გამოგვევლინებინოს სახელმწიფო ქონების დიდი ოდენობით დატაცების, მექრთამეობისა და სხვა მძიმე დანაშაულობათა ფაქტები. მიუხედავად ამისა, ბევრი რამ მაინც არ შეცვლილა. სამწუხაროდ, მთელ რიგ საწარმოებსა და ორგანიზაციაში კვლავ არიან მოკალათებულნი საქმოსნები და დაუსჯელად განაგრძობენ თავიანთ ბნელ საქმიანობას.

განსაკუთრებით არის დაზიანებული ამ მხრივ ობიექტები ადგილობრივი მრეწველობის, მსუბუქი მრეწველობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, სოციალური უზრუნველყოფის და ვაჭრობის სამინისტროებში, აგრეთვე სხვა სფეროებში. რეგიონების მიხედვით მათ რიცხვს განეკუთვნება თბილისი, ქუთაისი, სოხუმი, ბათუმი, გორი, ზუგდიდი, ტყიბული, მაიაკოვსკი, თერჯოლა, ხაშური, თელავი, ქობულეთი, ჭიათურა, ბორჯომი, წულუკიძე და სხვ.

სოციალისტური საკუთრების დატაცების ყველაზე გავრცელებული ფორმაა ტექნოლოგიური პროცესების დარღვევით მასალების და ნედლეულის ხარჯვის ნორმების ხელოვნური გაზრდა, „ჭარბი პროდუქციის" შექმნა, უსაქონლო ოპერაციები ე. წ. „მიწერები" და სხვ. დანაშაული უმეტესად იქ ხდება, სადაც მოშლილია კონტროლი, არ იცავენ სტანდარტულ მოთხოვნებს, ირღვევა ბუღალტრული აღრიცხვის წესები, სათანადოდ არ არის დაცული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობანი, მოშლილია საშვთა სისტემა, მატერიალურ პასუხისმგებელ თანამდებობაზე იღებენ ნდობადაკარგულ პირებს და ა. შ.

მიუხედავად ბრძოლის გააქტიურებისა, ამ მხრივ ჯერ კიდევ სცოდავენ მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები. ზოგიერთს დღესაც ჰგონია, რომ სოციალისტური საკუთრების დაცვა მხოლოდ შინაგან საქმეთა ორგანოების ვალია. სინამდვილეში კი ყოველი უწყება მოვალეა თავად უზრუნველყოს ჯეროვანი წესრიგი დაქვემდებარებულ ობიექტებში. საამისოდ მათ საკმაო მაკონტროლებელი სამსახურებიც გააჩნიათ, მაგრამ ენერგიულ მოქმედებას ჯერჯერობით მხოლოდ მაღალფარდოვანი სიტყვები და დაპირებები ცვლის.

„დაე იცოდეს თითოეულმა ხელმძღვანელმა, — თქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა ამასწინათ გამართულ პლენუმზე, — **რომ დღეს, თუნდაც ყველაზე მაღალი ტრიბუნიდან გადმოსროლილი ვერავითარი დადებითი ეპითეტებით ვერ დაიფარავენ მათ ხვალ, თავიანთი საქმეების გამო პასუხისმგებლობისაგან".**

ჩვენი მიზანი სრულებითაც არ არის დასჯა, მთავარია გადავარჩინოთ ადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიანი, ავაცილოთ იგი დანაშაულის მოლიპულ გზას, შევუნარჩუნოთ ოჯახს, საზოგადოებას. აქ კი გადამწყვეტი სიტყვა შრომითმა კოლექტივებმა, პარტიულმა და სამეურნეო ხელმძღვანელმა მუშაკებმა უნდა თქვან. ამისათვის საჭიროა მკვეთრად გარდაიქმნას მუშაობა, აგრეთვე, შინაგან საქმეთა სამინისტროს არასაუწყებო დაცვის სამსახურმა, საერთოდ, მკვეთრად გააქტიურდეს სისტემაში უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლა.

ფაქტები მოწმობენ, რომ წვრილმან დატაცებათა შედეგად, სახალხო მეურნეობა ყოველწლიურად განიცდის მნიშვნელოვან ზარალს. 1985 წელს რესპუბლიკის 831 ობიექტზე წვრილმან დატაცებათა 8940 შემთხვევა გამოვლინდა. ზარალმა უზარმაზარი თანხა შეადგინა. დანაშაულს სხვებზე უფრო ხშირად აქვს ადგილი კვების მრეწველობის სისტემაში, აგროსამრეწველო კომპლექსში, ხორცისა და რძის, სამტრესტის, პურპროდუქტების საწარმოებში და სხვა უწყებათა ობიექტებში. ხშირია შემთხვევა, როდესაც დატაცება ხდება დაცვის მუშაკთა ხელშეწყობით, ზოგჯერ მათი მონაწილეობითაც კი.

ალბათ საფუძვლიანად უნდა გარდაიქმნას სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაობა. არ იქნა და ჯერ კიდევ არ აღიკვეთა ნასვამ მდგომარეობაში ავტომანქანის მართვის ფაქტები, რასაც მეტად მძიმე ტრაგიკული შედეგები მოსდევს. კვლავ მთელი სიმწვავით დგას საკითხი ავტოინსპექციის მუშაკთა მორალურ-ზნეობრივი სიწმინდისა და პირადი შემადგენლობის კულტურული დონის ამაღლების შესახებ.

ყოველდღიურად მზარდი ავტომობილიზაციის პერიოდში, როცა ქუჩებისა და ტრასების გამტარუნარიანობა მკვეთრად ჩამორჩება მათი რეკონსტრუქციის ტემპებს, მოძრაობის უსაფრთხოება მხოლოდ დადგენილი წესების უმკაცრესი დაცვით უნდა განხორციელდეს. აქ თანაბრად ეკისრებათ პასუხისმგებლობა, როგორც მძღოლებსა და ფეხით მოსიარულეებს, ასევე ავტოინსპექციის მუშაკებსა და ყველა დაინტერესებულ ორგანიზაცია- დაწესებულებებს.

საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების თანამედროვე ამოცანები ადმინისტრაციული ორგანოებისაგან მოითხოვს უფრო მჭიდრო, საქმიან კონტაქტებსა და ღონისიებათა ურთიერთკოორდინაციას, დროა რადიკალური გარდატეხა მოხდეს დანაშაულთან ბრძოლის საქმეში, სადაც ჩვენი ყველაზე საიმედო მოკავშირე და დასაყრდენი მშრომელი მოსახლეობა უნდა იყოს.

ალბათ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები კვლავაც იტყვიან თავიანთ კომპეტენტურ სიტყვას. დღეს ჩვენ გვჭირდება ჭეშმარიტად მაღალმხატვრული პროდუქცია, სადაც ქურდის, ნარკომანის, მკვლელის, მექრთამისა და მომხვეჭელის ზნეობრივი გადაგვარება და სულიერი სიღატაკე იქნება წარმოჩენილი. ამ საქმეში დიდ იმედს ვამყარებთ აგრეთვე ჟურნალ „საბჭოთა სამართალზე“, რომელიც მიმდინარე წლის აგვისტოდან შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოც გახდა.

მართლწესრიგის განმტკიცების მთავარი და საიმედო გარანტია მაინც ის უდიდესი გარდაქმნები და სიახლეებისადმი დაუოკებელი სწრაფვაა, რასაც სკკა XXVII ყრილობამ დაუდო სათავე და რაც უკვე, იქცა კიდეც ყველა პატიოსანი კაცის ღვიძლ საქმედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშბარი პატიოსანი და უპატიოსნო მანეთების შესახებ

მიმდინარე წლის 2 ივნისს გაზეთმა „იზვესტიამ“ დაბეჭდა სსრ კავშირის გენერალური პროკურის ა. რეკუნკოვის ინტერვიუ ამავე გაზეთის კორესპონდენტ ი. ფეოფანოვთან. საუბარი შეეხო დღეისათვის მეტად აქტუალურ საკითხს — უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის პროგლემებს და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მიღებულ ახალ კანონმდებლობას.

მკითხველებს მთლიანად ვთავაზობთ „იზვესტიაში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუს.

— ახალი კანონები და კანონქვემდებარე აქტები უფრო ზუსტად აწესრიგებენ იმ სამართალურთიერთობებს, რომლებიც დავასა და ლაპარაკს იწვევენ. უწინარეს ყოვლისა პატივცემულო ალექსანდრე, გვსურდა გავრკვეულიყავით, თუ რა რა არის. გარდა „შრომითი-უშრომელი“ შემოსავლისა ხომ არის კიდევ წყვილი: „კანონიერი-უკანონო“. ვთქვათ, ლატარიით მოგება — შრომითი შემოსავალია? თითქოსდა არა, მაგრამ იგი სავსებით კანონიერია. ეს უბრალო ცნობისმოყვარეობა როდია. ჩანს, ცნებათა ზუსტ განსაზღვრას მნიშვნელობა აქვს სამართალგამოყენებითი, როგორც იურისტები ამბობენ, პრაქტიკისათვის. მნიშვნელოვანია მორალური შეფასებანიც. გაურკვევლობის გამო შეიძლება ვნება მიადგეს პატიოსან კაცს, უპატიოსნომ კი თავი დააღწიოს საზოგადოებრივი აზრის სამსჯავროს. მაგალითად, ცხოვრობს კაცი „ხელგაშლილად“, ბაპის ანაბრების სავსებით კანონიერი პროცენტების ან ნათესავების საჩუქრების ხარჯზე. როგორ უნდა ვეკიდებოდეთ ასეთ კაცს?

თქვენი კითხვა გვიჩვენებს, თუ რაოდენ რთული და მრავალპლანიანია ეს მოვლენა — უშრომელი შემოსავალი. თითქოსდა ყველაფერი მარტივია. სოციალიზმის ძირითადი პრინციპი „თითოეულისაგან — უნარის მიხედვით, თითოეულს — შრომის მიხედვით!“ ურყევია, კეთილსინდისიერი, ნაყოფიერი შრომა თითოეული ოჯახის კეთილდღეობის მთავარი წყაროა, მაგრამ ადამიანები ისწრაფვიან უკეთ ჩაიცვან, დაიხურონ, შეიძინონ ძვირფასი ნივთები და ზოგიერთი იწყებს კიდეც შემოვლითი გზების ძებნას. უშრომელი შემოსავალი სერიოზულ პრობლემად გადაიქცა იმის შედეგადაც, რომ შესუსტდა საზოგადობრივი დისციპლინა, რაც 70-იანი და 80-იანი წლების დამდეგს შეიმჩნეოდა.

ახლა კონკრეტულად. მეცნიერები სხვადასხვაგვარად განმარტავენ „უშრომელ შემოსავალს“. რა თქმა უნდა, ჯერ — ერთი, ცხადია, — ეს არის შემოსავალი ყოველი მართლსაწინააღმდეგო მოქმედებისაგან, და, მეორეც, ისეთი შემოსავალი, რომელიც მიღებულია ან საკუთარი შრომის გაუწევლად ან არსებითად აღემატება პირად შრომითს დანახარჯებს. ხოლო ლატარიით მოგება, განძის პოვნა, ქონების მემკვიდრეობით მიღება, ჩუქება — ეს, დამეთანხმებით, კერძო შემთხვევებია, მათ კანონმდებლობა აწესრიგებს და მათზე არ არის ლაპარაკი.

უშრომელი შემოსავლის ძირითადი წყარო — ეს პირდაპირ და მკაფიოდ უნდა ითქვას— არის დანაშაულებრივი საქმიანობა: დატაცება, მექრთამეობა, სპეკულაცია, ფულის შეწერა და ა. შ.

ბევრი ხაზი გავუსვა, ახალი კანონები მიღებულია პრაქტიკის, „მტკივნეული“ წერტილების ღრმა შესწავლის საფუძველზე. ესე იგი კანონები მიღებულია არა იმიტომ, რომ ვიღაცას ასე

ზოესურვა, არამედ იმიტომ, რომ ისინი გამოწვეულია საზოგადოებრივი აუცილებლობით. მაგალითად, წელიწადში ვლინდება 250 ათასი შემთხვევა, როცა სახელმწიფო და საზოგადოებრივ სატრანსპორტო საშუალებებს იყენებენ არადანიშნულებისამებრ, ყველაზე ხშირად— ანგარებითი მიზნით. მეცნიერთა მონაცემებით, საბაღე სახლების დაახლოებით 40 პროცენტი აშენებულია სახელმწიფო ტექნიკის არალეგალური გამოყენებით. ავტომაწის, ბულდოზერის „მარცხენა“ მუშაობის ერთ საათში გამორჩენა შეადგენს საშუალოდ 50 მანეთს. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის გაანგარიშებით, მარტო რუსეთის სფს რესპუბლიკაში წლის მანძილზე პირუტყვს აკმევენ 2,5 მილიონ ტონა პურს, იგი ჩვენში იაფია. იპარავენ ელექტროენერგიას, გაზს, უკანონოდ იძენენ საშენ მასალებს, გავრცელდა აზარტული თამაშები. საზოგადოება ვერ შეურიგდება ამას.

ახალი ნორმების პრინციპული ხასიათი იმაშიც გამოიხატება, რომ ძლიერდება სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლი შრომისა და მოხმარების ოდენობისადმი. ერთი შეხედვით, რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს უშრომელ შემოსავალთან ყბადაღებულ „გათანაბრებას“, წამატებებს, მთლიან ანაზღაურებას წუნისათვის და ა. შ.? არადა, ეს ხომ არამი ფულის წყაროა. რა თქმა უნდა, აქ გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს არა სამართლებრივი სანქციები, არამედ სამეურნეო მექანიზმის სრულყოფა. მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა.

ზოგიერთისათვის, ვისაც „სარფიანი“ ადგილი უკავია, შემოსავლის ცნობილი წყაროა ფულის შეწერა, მექრთამეობა. არც ისე დიდიხნის წინათ მღებულ იქნა სიხსლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლი. პირველ ხანებში „სასტუმროს ფანჯრებთან მსხდომი ქალიშვილები“ და „რესტორნის კარებთან მდგომი ჯენტლმენები“, დეფიციტის მფლობელები რაღაც შოკს განიცდიდნენ. მაგრამ მალე დამშვიდდნენ. ახალი სამართლებრივი ნორმები, თუ შეიძლება ასე ითქვას, მჭიდროდ უკავშირდება მექრთამეთა წინააღმდეგ მიმართულ სანქციებს. ხოლო თუ ის კანონი საკმაოდ ეფექტიანად არ მოქმედებს, იქნებ, ახლაც მხოლოდ ხმაურს ავტეხთ?

წინათ არასოდეს ასე არ გამკაცრებულა ბრძოლა მექრთამეობის წინააღმდეგ. უზბეკეთსა და მოსკოვში, საქართველოსა და როსტოვში, ბევრ სხვა ადგილას ამხილეს მექრთამეები, რა მდგომარეობაც უნდა ჰქონოდათ მათ. ამ საშიშ დამნაშავეებს შეწყალება არა აქვთ და არც ექნებათ. ახალი კანონი აძლიერებს პასუხისმგებლობას მექრთამეებისას, რომლებსაც პასუხსაგები მდგომარეობა ეკავათ ან აიღეს ქრთამი განსაკუთრებით დიდი ოდენობით.

ფულის შეწერის საქმე, თუ გნებავთ, უფრო რთულია. ვერ ვიტყვით, რომ კანონმდებლობა საერთოდ არ მოქმედებს. არის, რა თქმა უნდა, საქმეები. მაგრამ პირდაპირ ვიტყვით — ერთეულები. და სულაც არა იმიტომ, რომ სამართალდაცვითი ორგანოები ჯეროვნად არ აფასებენ ბოროტების საშიშროებას. ყველაფერი გაცილებით მარტივია: ფულის შეწერის შესახებ ადამიანები თითქმის არ აცხადებენ. შეეჩვივნენ, ფიქრობენ, რომ სხვაგვარად ვერ იყიდი „დეფიციტს“, ვერ შეაკეთებ ავტომანქანას, ვერ მიიღებ საჭირო წამალს. თითოეულ „ამღებს“, მით უმეტეს „მიმცემს“, როგორც იტყვიან, ვერ მიუჩენ მილიციელს, აქ საჭიროა პირდაპირ თითოეულის შეურიგებლობა. სწორედ ამიტომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა უმნიშვნელოვანეს ამოცანად დასახა დავრაზმოთ პარტია და ხალხი ამ ბოროტების წინააღმდეგ საბრძოლველად. სპეკულანტების, მექრთამეების გარშემო უნდა შეიქმნას საყოველთაო ზიზღის ვითარება, სამართალდაცვითი ორგანოები კი უზრუნველყოფენ სასჯელის აუცდენლობას. საჯაროობაც საჭიროა ამ საქმეში. აი მაშინ უსაფუძვლო იქნება კამპანიურობის, ან, როგორც თქვენ ბრძანეთ, „ხმაურის“ შიში. მიაქციეთ, სხვათა შორის, ყურადღება. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში წინადადება მიეცათ მთელ რიგ საკავშირო სამინისტროებსა და უწყებებს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად მოაწყონ უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის სოციალური, ეკონომიკური, სამართლებრივი და სხვა ასპექტების გაღრმავებული შესწავლა, გააფართოონ ამ საქმეში შრომითი კოლექტივების უფლებამოსილებანი, საჭიროების შემთხვევაში კი კვლავაც სრულყონ კანონმდებლობა. როგორც ხედავთ კამპანიურობის ნასახიც კი არ არის.

— დიახ, ყველაფერი ეს სერიოზულად არის, მაგრამ, პატივცემულო ალექსანდრე, თქვენ გენერალური პროკურორი ბრძანდებით, დაკისრებული გაქვთ უმაღლესი ზედამხედველობა კანონიერებისადმი. და იცით, რომ ყოველგვარ კონფლიქტურ საქმეში შესაძლებელია ნაკლოვანებები და გადახრები; ამას კი შეუძლია მხოლოდ სახელი გაუტეხოს კანონის მოქმედებას. ჩვენმა კორესპონდენტმა ამ ცოტა ხნის წინათ მოგვაწოდა ინფორმაცია ასეთი „ბრძოლის ფორმის“ შესახებ. ქალაქში გამოკიდეს ყუთი (თუ ყუთები) და წინადადებით მიმართეს მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქეებს ჩაეშვათ იქ ბარათები ცნობებითურთ იმათ შესახებ, ვინც ხელგაშლილად ცხოვრობს. მართალია, წამოწყება შეწყვიტეს. მაგრამ რა შეიძლება მომხდარიყო, იგი რომ მოეწონებინათ? გარდა იმისა, რომ დაბეზღება ჩირქს მოსცხებდა პატიოსან ადამიანებს, იგი გააუკულმრთებდა ნამდვილი გაიძვერების წინააღმდეგ აშკარა, პატიოსანი, სამართლიანი ბრძოლის იდეას. ალბათ, სწორედ საპროკურორო ზედამხედველობა უნდა დაუპირისპირდეს ამგვარ „ზედმეტობებს“. რაც უნდა იყოს „უდანაშაულობის პრეზუმპციის“ პრინციპი ურყევი რჩება.

— რა თქმა უნდა, ყოველგვარი „შავი ყუთები“, მოწოდებანი საყოველთაო შემოწმებებისათვის და სხვა ამგვარი რამ დაუშვებელია. მართალი ბრძანდებით, ბრძოლა უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ უნდა წარმოებდეს კანონიერების უმკაცრესი დაცვით. „...უშრომელი შემოსავლის აღკვეთისას არ უნდა დავუშვათ, რომ ჩრდილი ადგებოდეს იმათ, ვინც პატიოსანი შრომით იღებს დამატებით შემოსავალს“, — ასე ჩამოყალიბდა ამოცანა XXVII ყრილობაზე. პოლიტიკურ მოხსენებაში. და საპროკურორო ზედამხედველობა, რომელიც ხორციელდება, მიუხედავად რაიმე ადგილობრივი თუ უწყებრივი გავლენისა, უნდა იყოს მოქალაქეთა უფლებების დარღვევის, პატიოსანი ადამიანებისათვის სახელის გატეხის თავიდან აცილებისა და აღკვეთის მტკიცე გარანტია.

არც ისე დიდი ხნის წინათ ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში გაძლიერდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ცილისწამებისათვის. ყოველი სიგნალი, ყოველი განცხადება უშრომელი შემოსავლის შესახებ მოწმდება კანონით დადგენილი წესით. თუ საქმე ეხება უშრომელ შემოსავალს, კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა გაარკვიონ მოქლაქის ბრალი, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება დადგეს სამართლებრივი შედეგები. პროკურორები ვალდებული არიან უზრუნველყონ კანონიერების უმკაცრესი დაცვა უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა განხორციელების დროს. აქ, რა თქმა უნდა, საჭიროა განუხრელად ვიცავდეთ „უდანაშაულობის პრეზუმპციის“ პრინციპსაც და გადაჭრით აღვკვეთავდეთ ყოველგვარ ბიუროკრატიულ დამახინჯებასაც.

— ახალი კანონები დევნიან უშრომელ შემოსავალს. მაგრამ ხომ არავის ეკრძალება ბევრი ფული გამოიმუშავოს: კი არ გამოძალოს, კი არ წაგლიჯოს, არამედ სწორედ რომ გამოიმუშავოს პატიოსანი მანეთი. დიდი ფული თავისთავად კანონის წინაშე საძრახისი არ არის. ასეა ხომ? და მაინც, მაგალითად, თვალშისაცემად მორთულ-მოკაზმული, სვეტებიანი სახლი, საოცრად მოვლილი ნაკვეთი ალმაცერად ყურებას იწვევს — „კულაკი ცხოვრობსო“. ალმაცერად ყურებიდან კი შორს არ არის „აზრამდე“, იქ კი — „ზომების მიღებამდეც“. არის აგრეთვე ფაქტები, როცა ადგილობრივი ხელისუფალნი სახელს უტეხავენ არსებითად გამრჯე, მუყაით ადამიანებს. როგორც ჩანს, აქაც პროკურორმა უნდა დააცხროს ვნებათაღელვა, თორემ მოქალაქეს მარტო მოუწევს ბრძოლა თავისი უფლებისათვის. და ყოველთვის როდი გამოდის ამ ბრძოლიდან გამარჯვებული.

— ვუშვებთ, რომ ასეთი შემთხვევები არის ხოლმე. მაგრამ ჩვენ ვლაპარაკობთ უფლებაზე და არა ფაქტზე. უფლება კი ამბობს: არაფერი სამარცხვინო და მით უმეტეს კანონსაწინააღმდეგო არ არის იმაში, რომ კაცი ბევრ ფულს გამოიმუშავებს, რომ წარმოებაში კეთილსინდისიერი მუშაობის შემდეგ ნაკვეთში შრომობს, დამატებით შემოსავალს იღებს.

მუშავდება კანონი ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ. მისი არსი ის კი არ არის, რომ აკრძალოს ეს საქმიანობა, არამედ, პირიქით, განავითაროს იგი. კანონი იმიტომ გვჭირდება, რომ დღემდე ბევრი რამ აქ მოუწესრიგებელია, არ არის ჯეროვანი კონტროლი. სარგებლობს რა ამით, ზოგიერთი პირი უზომოდ დიდ ფასს ადებს მომსახურებას. საჭიროა ასეთ პირთა აღრიცხვის ზუსტი წესი, დაბეგვრის სისტემა. გადასახადი და კონტროლი ხელს შეუწყობს ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობას. გავიმეორებ: ყველა გაუგებრობა და დარღვევა, რომელთა შესახებ თქვენ ლაპარაკობთ, გამოწვეულია არა კანონის სიმკაცრით, არამედ კუთხურობის, ბიუროკრატიზმის, ზოგჯერ კი თვითნებობის გამოვლინებით, რომლებიც ჯერ კიდევ გვხვდება.

— ხომ არ ეხება ეს აგრეთვე საკარმიდამო ნაკვეთს, მებაღეობის კოოპერატივებს და ა. შ.? წარმოვიდგინოთ ასეთი სურათი: მავანმა თავისი მეასედები ნამდვილ სამრეწველო საწარმოდ გადააქცია; სათბურებში ყვავილები მოჰყავს და ბაზარზე ვაჭრობს. ვიცი შემთხვევა, როცა ფხიანი მოქალაქე რაღაც ბალახს ზრდიდა, ცოცხებს აკეთებდა და სახელმწიფო საწარმოს აბარებდა — ბევრ ფულს იღებდა, ესეც ალმაცერად ყურებას იწვევს. მაგრამ შემოსავალი ხომ შრომითია, თითქოსდა კანონიერი?

— სიგნალები, რომ მოქალაქენი თავიანთ პირად დამხმარე მეურნეობას არსებითად საკონლო წარმოებად აქცევენ და დიდ შემოსავალს იღებენ, პროკურატურის ორგანოებშიც მოდის. იყო წინადადებანი შეზღუდვის შესახებ. დასასაბუთებლად მოჰყავდათ, მაგალითად, მონაცემები, რომ ზოგიერთ მფლობელს სასოფლო-სამეურნეო კულტურები მოჰყავს არა თავისი მოთხოვნილებებისათვის, არამედ ბაზარში გასატანად. კერძოდ, საქმე ეხებოდა კვალსათბურებსა და სათბურებს, ყვავილებსა და სორგოს, ხენდროსა და კიტრს. იმოწმებდნენ იმას, რომ იგივე კიტრის რეალიზაციას მეტი შემოსავალი მოაქვს, ვიდრე ქარხანაში თუ კოლმეურნეობაში მუშაობას.

მაინც მინდა ხაზგასმით აღვნიშნო: დამხმარე მეურნეობის პროდუქციის მოყვანას საფუძველად უდევს შრომა, თანაც მძიმე სამუშაოსაგან თავისუფალ დროს, ოჯახის წევრთა მონაწილეობით, პირადი სახსრების გამოყენებით. ამიტომ, არა მგონია, მიზანშეწონილი იყოს შიშველი აკრძალვები. სხვა საქმეა, რომ არიან ნაკვეთების მფლობელები, რომლებიც თავს ანებებენ წარმოებას ან ეწყობიან სამუშაოზე თვალის ასახვევად. ეს დაუშვებელია, კანონით გათვალისწინებულია, რომ მიწის ნაკვეთები მოქალაქეებს სარგებლობისათვის ეძლევათ, როგორც წესი, საზოგადოებრივ წარმოებაში მათი მონაწილეობის გათვალისწინებით. ამიტომ პირველადს მიწათმოსარგებლეებს (კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები), ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს უფლება აქვთ ასეთ შემთხვევებში ჩამოართვან ნაკვეთი. სათბურების, სხვა მსგავსი ნაგებობების ოდენობა და გამოყენების წესი რეგულირებულია მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით. ასე რომ, სამართლებრივი ზემოქმედების ბერკეტები, ჩემი აზრით, საკმაოდ არის.

გარდა ამისა, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საკოლმეურნეო ბაზრებში აშკარად გაზრდილი ფასებით პროდუქციას მყიდველებს ხშირად სთავაზობენ არა მისი მწარმოებლები, არამედ გადამყიდველ-სპეკულანტები. მათ წინააღმდეგ ბრძოლა ძლიერდება. დადგენილია საკოლმეურნეო ბაზრებში პროდუქციის რეალიზაციით დასაქმებულ პირთა აღრიცხვის წესი, გაფართოვდა ბაზრების ადმინისტრაციის უფლებანი და გაძლიერდა მისი პასუხისმგებლობა სპეკულაციის, უშრომელი შემოსავლის მიღების სხვა ფორმების თავიდან აცილებისა და აღკვეთის საქმეში. გათვალისწინებულია აგრეთვე ღონისძიებანი, რათა გაფართოვდეს ვაჭრობა ბაზრებში, რომელსაც ეწევიან კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სამომხმარებლო კოოპერაცია.

— ერთნი იმათთაგან, ვინც ბევრ ფულს გამოიმუშავებს, „მოშაბაშენი“ არიან. მსმენია ასეთი ლაპარაკი: აი დაკანონებენ ამ დროებით სამშენებლო ბრიგადებს, დაადგენენ ხელშეკრულებათა დადების, ანაზღაურების, მუშაობის რეჟიმის ისეთ წესს, რომ დაიკარგება ბევრი ფულის გამომუშავების შესაძლებლობა. ერთი სიტყვით, პატივცემულო ალექსანდრე, ისე ხომ არ მოხდება, რომ ადამიანები დაკარგავენ ინტერესს „თავისუფალი დაქირავებით“ მუშაობისადმი?

— პირდაპირ გეტყვით, გარესაშოვარზე მოსიარულეების, როგორც თქვენ ამბობთ, „მოშაბაშეების“ ბრიგადები ხშირად შველიან ხოლმე კოლმურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სამშენებლო სამუშაოებში, მოსავლის აღებასა და სხვა შემთხვევებში. ბუნებრივია, ადამიანები ცდილობენ ბევრი ფული გამოიმუშაონ. ისინი ობიექტებს აბარებენ სავსებით გამზადებულს, ხელფასი საბოლოო შედეგის მიხედვით ეძლევათ, ესე იგი აკირდულად. არავინ არ აპირებს შეზღუდოს მათი შრომა და ანაზღაურება. დროებითი სამშენებლო ბრიგადების მუშაობის მოწესრიგების აუცილებლობა დაკავშირებულია სხვა გარემოებებთან. უბედურება ის არის, რომ ამ საქმეში სტიქიურობითა და ანარქიით ხშირად სარგებლობენ საქმოსნები უშრომელი შემოსავლის მიღებისათვის, კერძომეწარმეობითი საქმიანობისათვის. ისინი ქრთამით აღწევდნენ შრომის ანაზღაურების აშკარად უკანონო პირობებს, ფონდირებული მასალების გაცემას, სჩადიოდნენ სხვადასხვა ბოროტმოქმედებას. სუმის ოლქში ერთ-ერთ ასეთ ბრიგადას სათავეში ჩაუდგნენ ნამდვილი დამნაშავენი, რომლებსაც ნიჩაბიც კი არ სჭერიათ ხელში. სამუშაოთა მოცულობის ხელოვნურად გაბერვის გზით იტაცებდნენ ფულად სახსრებს; შეიქმნა სპეციალური ფონდი ქრთამის მისაცემად დეფიციტური და ფონდირებული მასალების გაცემისათვის. დანაშაულში ჩაითრიეს ათობით კაცი. მითხარით, შეიძლება განა შევუერიგდეთ ასეთ რამეს? უნდა გამოვრიცხოთ მსგავსი ბოროტმოქმედება. მაგრამ ამავე დროს ყოველგვარი თვითნებობისა და ეჭვიანობისაგან უნდა დავიცვათ ისინი, ვინც გადაწყვიტა თავისი შვებულების დროს შეავსოს ოჯახის ბიუჯეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სასურველი იქნებოდა დაგვეზუსტებინა, რანაირად წარადგენენ დეკლარაციას შემოსავლის შესახებ. და რაც მთავარია, ვინ და როგორ განახორციელებს კონტროლს ცნობების სისწორისადმი? ხომ არ შეექმნით კიდევ მთელ მრავალრიცხოვან აპარატს? ხმები დეკლარაციების შესახებ უკვე დიდი ხანია გავრცელდა. და ისმის კითხვა: ხომ არ იბღალება ამით მოქალაქეთა უფლებანი? სიტყვები — „პატიოსან კაცს არ უნდა ეშინოდესო“ — სწორია, რა თქმა უნდა. მაგრამ მაინც ეს ემოციური შეფასებაა. რას ეფუძნება ასეთი ღონისძიების სამართლიანობა სამართლის თვალსაზრისით?

— სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით „უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ დაწესებულია, რომ მოქალაქენი, რომლებიც დებენ 10 ათას მანეთზე მეტი თანხის გარიგებებს, აგრეთვე აშენებენ 20 ათას მანეთისაზე მეტი ღირებულების საცხოვრებელ სახლს (ავარაკს), ვალდებული არიან საფინანსო ორგანოს წარუდგინონ დეკლარაცია სახსრების წყაროების შესახებ. ეს უნდა კეთდებოდეს აგრეთვე აღმასკომის ან პროკურორის მოთხოვნით. არის წინადადება, რომ მოქალაქეთა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ კანონში, რომელიც ახლა მუშავდება, გათვალისწინებულ იყოს აგრეთვე დეკლარაცია შემოსავლის შესახებ. დაწესებულია ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შემოსავლის დაფარვისათვის ან არასარწმუნო ცნობების წარმოდგენისათვის.

მოსახლეობის შემოსავლისადმი სახელმწიფო კონტროლის ასეთი ფორმა ჩვენს ქვეყანაში პირველად იქნება გამოყენებული. მაგრამ იგი საერთოდ ახალი არ არის, და მთელ რიგ სოციალისტურ ქვეყნებში ფართოდ გამოიყენება. და ეს არანაირად არ არის დაკავშირებული მოქალაქეთა რაიმე უფლების შებღალვასთან. ხომ არავინ არ რჩება ნაწყენი, როცა მის ხელფასს აღრიცხავენ და ბეგრავენ საშემოსავლო გადასახადით. არავითარი სპეციალური აპარატი დეკლარაციის უტყუარობის შესამოწმებლად არ შეიქმნება. საფინანსო და სამართალდაცვითი ორგანოები დაეჭვების შემთხვევაში შემოწმებას განახორციელებენ კანონით დადგენილი წესით.

— ახალ კანონში ნათქვამია, თუ რაოდენ საჭიროა მატერიალურ ფასეულობათა პირველადი აღრიცხვა, აგრეთვე კონტროლის კარგი დაყენება. მაგრამ ზოგჯერ რას ხედავს კაცი. უამრავ ზედნადებებს, ანგარიშებს, გატარებას, ჩანაწერებს დავთრებსა და ჟურნალებში; დაუსრულებელ ანგარიშმგებლობას. მატერიალური ფასეულობანი კი მშვიდად მიედინებიან განზე. ხდება, როცა საწარმოს თუ კოლმეურნეობას არსებითი ზარალი ადგება, დამნაშავეები კი ადვილად დაიძვრენენ ხოლმე თავს. კონტროლიორები და კომისიები ხომ მრავლის უმრავლესია. კიდევაც რომ გამოვრიცხოთ მათი შესაძლო უპატიოსნობა, სულ ერთია — მოგვიტანს კი სარგებლობას კონტროლიორთა სიმრავლე?

— ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელზეც დამოკიდებულია უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის წარმატება, არის აღრიცხვა და კონტროლი. ბოლო წლებში იხვეწებოდა საუწყებო და არასაუწყებო კონტროლის სამსახურების სტრუქტურა, ხელფასი მოემატათ მათ მუშაკებს, ხორციელდებოდა სხვა ღონისძიებანი. მაგრამ სათანადო უკუგება ჯერ-ჯერობით არ არის. კვლავინდებურად მრავალი რევიზია და შემოწმება ზერელედ ტარდება, დანაკარგებს, დატაცებებსაც კი თითქოსდა „ვერ ამჩნევენ“. ყზილ-ორდის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „ტარტუგაისკის“ სარქაულ მახანოვს ათჯერ დაუთვალეს ცხვრის სულადობა, მაგრამ 114 სული პირუტყვის დანაკლისი მაინც ვერ აღმოუჩინეს. სასაცილოა: კონტროლიორებსა და რევიზორებს ასამდე დათვლა არ შეუძლიათ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ახორციელებს ღონისძიებებს, რათა რაც შეიძლება მალე დაინერგოს პირველადი საღრიცხვო დოკუმენტაციის ტიპობრივი ფორმები, რომელიც უზრუნველყოფს ნედლეულის, მასალებისა და სათბობის უფრო სარწმუნო აღრიცხვას. ეს მუშაობა შექმნის წანამძღვრებს იმისთვისაც, რომ გაძლიერდეს კონტროლი. მაგრამ მარტო ეს არ კმარა. ამ მუშაობაში საჭიროა შეთანხმებულობა, მეცადინეობის კოორდინაცია. ახლა უკვე დაგროვილია გარკვეული გამოცდილება. კერძოდ, სსრ კავშირის პროკურატურამ მაკონტროლებელი უწყებების ხელმძღვანელ მუშაკებთან ერთად გამართა საკოორდინაციო თათბირები კომპლექსურ ღონისძიებათა შესამუშავებლად. მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია. ყველა სახელმწიფო ორგანოს საკონტროლო საქმიანობის კოორდინაციის საკითხი მომწიფდა. სამართლიან საყვედურს იწვევს შემოწმებათა მრავალრიცხოვნობა, დუბლირება, ბევრი ადამიანის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწყვეტა საქუშაოსაგან შემმოწმებელთათვის ცნობების შესადგენად. ასეთი ვითარება არ შეიძლება არ გვაწუხებდეს. სსრ კავშირის პროკურატურა და ქვემდგომი პროკურორები მოწოდებული არიან უპირველეს ყოვლისა თვალყურს ადევნებდნენ კანონების განუხრელ შესრულებას სახელმწიფო კონტროლის ორგანოთა საქმიანობაში.

ამასთან დაკავშირებულია ზარალის ანაზღაურების პრობლემაც. სამწუხაროდ, ახლა ის ზარალიც კი, რომელსაც დანაშაულებანი გვაყენებენ, სრულად როდი ნაზღაურდება. სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით, ერთ წელიწადში წარმოების ღანახარჯებზე ჩამოიწერა 70 მილიონ მანეთზე მეტი ზარალი, რომლის ზღვევინება წინათ ბრალეულ პირებს ჰქონდათ დაკისრებული. ზოგიერთ დარგში ჩამოიწერება ოთხ მეხუთედამდე ზარალი. ამასთან დაკავშირებით მოქმედი კანონმდებლობა განიცდის არსებით ცვლილებებს, მკაცრდება მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის წესი, იზრდება თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა ამ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილებებისათვის.

ზოგიერთ წარმოებაში უპატიოსნო ადამიანებისათვის „ხელსაყრელია“ დაკლებული ფასეულობები აანაზღაურონ საცალო ფასით, შემდეგ კი მამასისხლად გაყიდონ. ამ ნიადაგზე ხდება ავტომობილების სათადარიგო ნაწილების დატაცება. გარდა პირდაპირი ზარალისა, ეს ფუშავს მიწოდებას. ამის გამო ცდება ტექნიკა და მოწყობილობა .ამიტომ სამართლიანია, რომ ახლა დამტაცებლებს მთელ რიგ შემთხვევებში დაეკისრებათ გადიდებული მატერიალური პასუხისმგებლობა, მოუწევთ ზარალი აანაზღაურონ ჯერადი ოდენობით. უნდა მოგახსენოთ, ბოლო დროს პროკურატურამ შესამჩნევად გააქტიურა თავისი მეცადინეობა ამ მიმართულებით. 6 წელიწადში ზარალის ანაზღაურების შესახებ პროკურორთა სარჩელების რიცხვი ერთიორად გაიზარდა.

— ეგრეთ წოდებული ხელმრუდენი არსებით ვნებას გვაყენებენ. ცხადია, სანქციების გაძლიერება კარგ დღეს არ დააყრის იოლი გამდიდრების მოყვარულთ. მაგრამ ზოგიერთები უფრო გაწაფულად იმოქმედებენ. საიდუმლო არ არის, რომ ბევრნი პირს კრავენ დაცვასთან. გზა ნათელია: სამართალდაცვითს ორგანოებს კავშირი უნდა ჰქონდეთ დამყარებული კოლექტივებთან, ამხანაგურ სასამართლოებთან, რაზმელებთან, სახალხო კონტროლიორებთან. მაგრამ იცით, პატივცემულო ალექსანდრე, ამბობენ, საქმეში პრინციპის გამოყენება თვით პრინციპზე უფრო მნიშვნელოვანიაო. როგორ წარმოგიდგენიათ ასეთი კავშირის პრაქტიკული განხორციელება?

— წვრილმანი დატაცებანი განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა სოფლის მეურნეობაში, მსუბუქ, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობაში, სამშენებლო ორგანიზაციებში. მიზეზები უწინარეს ყოვლისა იმაში უნდა ვეძებოთ, რომ მიშვებულია აღრიცხვა. ადგილი აქვს წაყრუებასაც. ხელმრუდი უბრალო ანგარიშით მოქმედებს: დამიჭერენ (თუ დაიჭირეს), დამტუქსავენ, დიდი-დიდი ოციოდე მანეთით დამაჯარიმონო. გასული წლის ნოემბერში ტალინის საკონდიტრო ფაბრიკა „კალევში“ წვრილმანი დატაცებისათვის დააკავეს გამმართველი ისაკი: გამორიკვა, რომ იგი თურმე დატაცებებს ეწოდა... 14 წელიწადს! იტაცებდა შოკოლადს, სპირტს, კონიაკს, საღეჭ რეზინს, ერთი სიტყვით, ყველაფერს, რაც ცუდად იდო. გაჩხრეკისას მას ჩამოართვეს 100 ათასი მანეთის ნაქურდალი ფასეულობანი. საკითხავია, სადღა იყვნენ ხელმძღვანელები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, საუწყებო კონტროლი, დაცვა, თანამოსაქმე ამხანაგები?

ნუ გავიგებთ ამ კითხვას როგორც რიტორიკულს. საჭიროა სამართალდაცვითი ორგანოების, შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების უაღრესად მჭიდრო კონტაქტი. პროკურორებსა და გამომძიებლებს მიზნად ვუსახავთ იმას, რომ მათ, როგორც წესი, შემოწმებისა და გამოძიების შედეგები გამოჰქონდეთ, შრომითი კოლექტივების განსახილველად. ასეთი პრაქტიკა მკვიდრდება. რაც შეეხება წვრილმან დატაცებათა წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივ საშუალებებს, ახალი კანონმდებლობით გათვალისწინებულია 200 მანეთამდე ჯარიმა, აგრეთვე ის, რომ, ამასთან ერთად, ბრალეულ პირებს არ მიეცემათ არც ერთი სახეობის პრემია, ჯილდო წლიური მუშაობის შედეგების მიხედვით და სხვა შეღავათები. საჭიროა, რომ გამაფრთხილებელი, აღმზრდელობითი და სამართლებრივი ღონისძიებების მთელი სისტემა მოქმედებდეს საიმედოდ და შეუფერხებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის პასუხსაგები ამოცანები აქვთ დასახული სამართალდაცვითს ორგანოებს, საპროკურორო ზედამხედველობას. ნაწილობრივ თქვენ ამის შესახებ უკვე ილაპარაკეთ. და მაინც, როგორ მიმდინარობს საპროკურორო ზედამხედველობის როლისა და ეფექტიანობის გადაჭრით ამაღლების შესახებ ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მუშაობის გარდაქმნა, რით გამოიხატება მისი მიზანმიმართულობა?

— ახლა მთავარი ის გახლავთ, რომ მოქალაქეებს შევაგნებინოთ მიღებული დოკუმენტების მთელი მნიშვნელობა და არსი. დადგა აქტიური, შეტევითი მოქმედების დრო. კერძოდ, ასევე უნდა ვიმოქმედოთ უშრომელი შემოსავლით მცხოვრებ პირთა წინააღმდეგ ბრძოლის დროს საბჭოთა კანონების მთელი ძალით გამოყენებაში, მექრთამეების, ხაზინის ქურდების დასჯის აუცდენლობის პრინციპის განხორციელებაში. ყოველივე ეს მოითხოვს თვისებრივად ახალ დონეზე პროკურატურის მუშაობის აყვანას.

დღის წესრიგში მწვავედ დადგა სოციალური სამართლიანობის, კანონთა ერთიანობის, კანონიერების საყოველთაო აუცილებლობის, მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და მოვალეობების ურყეობის საკითხები. ეს პრობლემები თავისი არსით შეადგენენ სწორედ პროკურატურის საქმიანობის ძირითად საგანს. მოქალაქენი სამართლიანად მიაპყრობენ ყურადღებას იმას, რომ სუსტად წარმოებს ბრძოლა კუთხურობისა და უწყებრიობის წინააღმდეგ, რომ ზოგიერთი პროკურორი გაუბედაობას იჩენს საერთო-სახელმწიფო ინტერესების დაცვაში. ბევრი რამ იცვლება უკეთესობისაკენ, უფრო სრულად გამოიყენება პროკურატურის უმაღლესი ზედამხედველობის შესაძლებლობანი. ხომ მოხერხდა მთელ რიგ ადგილებში წესრიგი დამყარებულიყო საწვავ-საპოხი მასალების ხარჯვაში; შედეგიანი იყო მუშაობა, ვთქვათ, ვოლგის საავტომობილო ქარხანაში, სადაც შეძლეს მნიშვნელოვნად შეემცირებინათ დატაცების, უყაირათობის, ბოროტმოქმედების შემთხვევათა რიცხვი. ამისათვის საჭირო გახდა უარის თქმა ძველულ სქემებზე, სტერეოტიპულ მიდგომაზე.

გარდაქმნა მიმდინარეობს. მაგრამ ზოგჯერ მხოლოდ „ღონისძიებათა“ გაძლიერებისა და გაფართოების თვალსაზრისით. გარდაქმნა კი უწინარეს ყოვლისა უნდა მოხდეს მუშაობის სტილში, საქმისადმი თითოეული პროკურორისა და გამომძიებლის დამოკიდებულებაში. მხოლოდ ასეთნაირად შევასრულებთ პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებს, რომელმაც ხანგრძლივი პერიოდისათვის განსაზღვრა ჩვენი ამოცანები.

გაზ. „იზვესტია“, 1986 წლის 2 ივნისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიურნბერგის დავიწყება არ შეიძლება

აკაკი ქარანაძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე

1985 წლის 23-24 ნოემბერს ნიურნბერგში (გფრ) ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია „ნიურნბერგის პროცესის 40 წელი", რომელშიც მსოფლიოს მრავალი ქვეყნის 400-ზე მეტმა დელეგატმა მიიღო მონაწილეობა. აქ იყვნენ ცნობილი პოლიტიკური, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები, მინისტრები, თვალსაჩინო იურისტები, მსოფლიოს წამყვანი საინფორმაციო საagენტოების პოლიტიკური მიმომხილველები.

ამ მოვლენას მკაფიო ისტორიული კოლორიტი და მემკვიდრეობითობის დამახასიათებელი ელფერი შესძინა კონფერენციის მსვლელობაში ნიურნბერგის პროცესის უშუალო მონაწილეთა: ამერიკის შეერთებული შტატების მთავარი ბრალმდებლის მოადგილის რობერტ კემპნერის, ამერიკის დელეგაციის იურიდიული მრჩევლის ჯონ ფრიდის და დიდი ბრიტანეთის მეფის მრჩევლის ჯონ პლატს-მილზის აქტიურმა მუშაობამ.

საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში, რომელსაც სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილე ს. შიშკოვი მეთაურობდა ამ სტრიქონების ავტორიც გახლდათ.

კონფერენციის დარბაზში იყვნენ აგრეთვე ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკების ყოფილი ტუსაღები, ევროპის სხვადასხვა ქვეყნების წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილენი, ნაციზმის დროს დევნილ პირთა გაერთიანებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები, მშვიდობისათვის, განიარაღებისა და ხალხთა მეგობრობისათვის მებრძოლი ახალგაზრდული პაციფისტური ორგანიზაციების აქტივისტები.

კონფერენციას იმ რეაქციული ძალების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, რომლებიც მილიტარიზმისა და რევანშიზმის, ომისშემდგომი ევროპის პოლიტიკურ რეალობათა არცნობის პოზიციებს ადგანან. მათ ყოველნაირად, მაგრამ ამაოდ, სცადეს დაემახინჯებინათ ნიურნბერგის პროცესის შედეგების ისტორიული მნიშვნელობა და მისი საერთაშორისო სამართლებრივი როლი.

ცნობილია, რომ იმპერიალისტური, უწინარეს ყოვლისა, დასავლეთ-გერმანული პროპაგანდა დიდი ხანია ცდილობს გააყალბოს მეორე მსოფლიო ომისა და განსაკუთრებით მისი დასკვნითი აქტის — ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის ისტორია. ამ მოვლენის 40 წლისთავისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე ახალი ძალით განახლდა ნიურნბერგის გაკვეთილების დამახინჯების ცდები. კვლავ შთაბერეს სული და აამოქმედეს ადრე მხილებული გაცვეთილი პროვოკაციული ცრუ თეორიები, რომლებიც სავსებით გარკვეულ მიზანს ისახავენ — გააუკუღმართონ მეორე მსოფლიო ომის ისტორია და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი შედეგები, გაამართლონ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ფაშიზმისა და ნაციზმის პოლიტიკა და იდეოლოგია მათი აღორძინების იმ ახლანდელი ცდების ინტერესებისათვის, რასაც აშკარად მიმართავენ ზოგიერთ იმპერიალისტურ სახელმწიფოში. კონფერენციაზე წამოყენებული ერთ-ერთი მთავარი „ანტითეზისი" განისაზღვრებოდა ცდებით, რათა დაემტკიცებინათ, თითქოს ნიურნბერგის პროცესი იყო მხოლოდ გამარჯვებულების შურისძიების აქტი დამარცხებული გერმანელი ხალხის მიმართ, რომ მოკავშირეთა ტრიბუნალს არ ჰქონდა გერმანელთა გასამართლების მორალური უფლება.

ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალმა გაასამართლა არა სამხედრო დამნაშავენი, არამედ ფაქტობრივად მთელი გერმანელი ხალხი. თითქოს საბჭოთა კავშირი ლამობდა „იურიდიულად გაემართლებინა თავისი დანაშაული გერმანელი ხალხის წინაშე — 13 მილიონი გერმანელის აყრა გერმანიის აღმოსავლეთი მიწებიდან". ასე უწოდებდნენ ჰიტლერული რაიხის მიერ დაპყრობილი მიწების დაბრუნებას მათი ოდინდელი მფლობელების — პოლონელი და ჩეხოსლოვაკიელი ხალხებისათვის.

კონფერენციის ზოგიერთი მონაწილე ჯიუტად ქადაგებდა ასეთ თეზისსაც: ნიურნბერგის სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილებებს, პრინციპებს, რომლებიც მან დაუდო საფუძვლად განაჩენს, მხოლოდ ერთჯერადი მნიშვნელობა ჰქონდა და „ქაღალდის ნახევად" დარჩა, რადგან შემდგომში აღარ გამოუყენებიათ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ მომხდარი აგრესიისა და ომის გაჩაღების მრავალრიცხოვანი ფაქტების დასჯის მიზნით.

ამრიგად, საერთაშორისო საზოგადოებრიობის პროგრესული და მშვიდობისმოყვარე ძალების წარმომადგენელთა წინაშე იდგა უაღრესი მნიშვნელობის პასუხსაგები ამოცანა: არ დაეშვათ ნიურნბერგის პროცესის მიერ გამოცხადებული იდეებისა და პრინციპების ხელყოფა, დაეცვათ ისინი რევანშიზმისა და ნეონაციზმის პოზიციებიდან რევიზიისა და დამახინჯების ცდებისაგან; დაედასტურებინათ საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის იდეების არა მარტო წარუვალი ისტორიული მნიშვნელობა, არამედ განსაკუთრებული აქტუალურობაც მსოფლიოში მოვლენათა თანამედროვე განვითარებისათვის, მათი უდიდესი, ფუძემდებლური როლი საერთაშორისო ურთიერთობის იმ უმნიშვნელოვანესი პრინციპების ფორმირებაში, რომელთა მიზანია აგრესიული პოლიტიკის თავიდან აცილება და აღკვეთა, ხალხთა სუვერენიტეტისა და თვითგამორკვევის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის უფლების დარღვევათა აღმოფხვრა.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ეს ამოცანები ნიურნბერგის კონფერენციაზე წარმატებით გადაწყდა. ამასთან საგანგებოდ უნდა გაესვას ხაზი ფრიად საგულისხმო და მრავლისმთქმელ მოვლენას, რომელმაც კიდევ უფრო რელიეფურად წარმოაჩინა კონფერენციის მთელი მნიშვნელობა: პირველად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, გერმანელი ხალხისათვის ესოდენ მტკივნეულ საკითხში მიღწეული იყო სულ სხვადასხვა მიმართულებისა და ყაიდის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, კავშირებისა და პარტიების თუ სრული ერთსულოვნება არა, ერთობ პოზიტიური თანამშრომლობა მაინც.

პრინციპულ საკითხებში ერთიან პოზიციებზე იყვნენ გერმანიის ფედე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაციული რესპუბლიკისა და დასავლეთ ბერლინის იურისტ-დემოკრატთა გაერთიანებანი, ნაციზმის დროს დევნილ პირთა გაერთიანება, ანტიფაშისტთა კავშირი, იურისტ სოციალ-დემოკრატთა გაერთიანება, ორგანიზაცია „ჰაინემანის ინიციატივა", ადვოკატთა რესპუბლიკური კავშირი და მთელი რიგი სხვა ორგანიზაციები. კონფერენციის მომზადება-ჩატარებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს გერმანელთა კომუნისტური პარტიის ორგანიზაციებმა, უწინარეს ყოვლისა ნიურნბერგის ორგანიზაციამ, მთელმა რიგმა ახალგაზრდულმა ორგანიზაციებმა და კავშირებმა.

კონფერენციაზე მშვიდობის მოწინააღმდეგენი ყოველნაირად ცდილობდნენ სადავო გაეხადათ ძირითადი საერთაშორისო-სამართლებრივი პრინციპები და იდეები, რომლებიც საფუძვლად დაედო ნიურნბერგის პროცესზე გამოტანილ განაჩენს..

საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდებაში გამოცხადებული მნიშვნელოვანი პრინციპი, რომელმაც ნიურნბერგის საიუბილეო კონფერენციის მონაწილეთა განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიიპყრო, გახდა დებულება მშვიდობის წინააღმდეგ ჩადენილი ყველა დანაშაულისათვის, სამხედრო დანაშაულისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულობებისათვის ინდივიდუალური, პირადი პასუხისმგებლობის შესახებ. ამასთან, ეს ეხება ყველას, განურჩევლად იმისა თუ რა თანამდებობრივი მდგომარეობა უკავია დანაშაულის სუბიექტს, მათ შორის სახელმწიფოთა მეთაურებს.

საერთაშორისო სამართლის ამ პრინციპულად ახალ ელემენტს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულობებისათვის სასჯელის აუცდენლობის პრინციპის დასამკვიდრებლად, ვინაიდან იგი აუქმებს წინა პერიოდში სამოქმედოდ შემოღებულ თეორიებს, როდესაც აგრესორი სახელმწიფოს მთავრობის წევრები და უმაღლესი თანამდებობის პირები თავისუფლდებოდნენ დანაშაულებრივი მოქმედებისათვის პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან, თუ ასეთ მოქმედებას საფუძვლად ედო შესაბამისი სახელმწიფოს ნორმატიული აქტები.

საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდების კიდევ ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი პრინციპი, რომელიც მემარჯვენე და რეაქციული წრეების ყველაზე გაფთრებულ წინააღმდეგობას წააწყდა კონფერენციაზე, არის ის დებულება, რომ განსასჯელი არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან დანაშაულებრივი ქმედობისათვის, რომელიც ჩაიდინა მთავრობის განკარგულებით ან უფროსის ბრძანებით. ამრიგად, ნიურნბერგის ტრიბუნალზე ყოველმხრივი სამართლებრივი დასაბუთება ჰპოვა აშკარად დანაშაულებრივი განკარგულებისა თუ ბრძანების შესრულებისათვის პირადი პასუხისმგებლობის აუცილებლობამ და მართლზომიერებამ.

ამით მხილებული და უარყოფილი იქნა მილიტარისტული პრინციპი ყოველი ბრძანებისადმი ბრმად დამორჩილების შესახებ, რაც სრულიადაც არ ხელყოფს სამხედრო დისციპლინის უმკაცრესი დაცვის აუცილებლობას, ურომლისოდაც შეუძლებელია რომელიც გნებავთ არმიის არსებობა. სერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის განაჩენით განისაზღვრა, რომ ყოველი სამხედრო მოსამსახურისათვის სავალდებულოა სამხედრო წესდებების შესაბამისად გაცემული სამხედრო ბრძანება. ასეთ ბრძანებებს ვერ მივაკუთვნებთ იმათ, რომლებსაც იმოწმებდნენ და ასრულებდნენ ნაცისტი სამხედრო დამნაშავენი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც უდავოდ დამტკიცდა ნიურნბერგის პროცესზე ფაშისტური სამხედრო მანქანის მიერ ჩადენილი ათასობით საზარელი ბოროტმოქმედების ფაქტების საფუძველზე.

ნიურნბერგის პროცესზე ამხილეს გერმანიის მილიტარიზმიც, რომელიც იყო გერმანიის აგრესიული პოლიტიკის წინამორბედი, შემდეგ კი მისი ძირითადი ბაზა, ფაშიზმის მასაზრდოებელი ნიადაგი. გერმანიის მილიტარიზმის არსი ის იყო, რომ შეიმუშავა და მიიღო მთელი რიგი სამხედრო-სტრატეგიული დოქტრინები, რომლებსაც შემდგომში უნდა გაემართლებინათ ომის წარმოების ყველაზე ავაზაკური მეთოდები. ამ მეთოდებს საფუძვლად ედო მხოლოდ სამხედრო აუცილებლობის მილიტარისტული დოქტრინა, რომელიც არსებითად ნიშნავს საერთაშორისო მართლწესრიგისა და სამართლის უარყოფას.

ნიურნბერგის პროცესის უდიდესი ისტორიული როლი იმითაც გამოვლინდა, რომ აქ მთავარი განსასჯელი და მსჯავრდადებული აღმოჩნდა გერმნაიის ფაშიზმი, მისი რეაქციული, კაცთმოძულე იდეოლოგია. თუმცა ოფიციალურად ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წინაშე არ მდგარა ამოცანა ემხილებინა პროცესზე გერმანიის ფაშიზმის დანაშაულებრივი, ანტიჰუმანური არსი, მაგრამ პროცესის თვით ისტორიულმა ლოგიკამ, მასზე განხილული საკითხებისა და მასალების ხასიათმა თვალნათლივ დაანახვა მთელ მსოფლიოს ნაციზმის მხეცური არსი, მისი ძირითადი იდეოლოგიური და პოლიტიკურ კონცეფციების არაადამიანურობა.

ნაცისტურ თეორიათაგან უმეტეს საშიშროებას წარმოადგენდა რასიზმი, რომელიც გადაქცეული იყო მთელი ხალხების აგრესიული დაპყრობის, დამონებისა და შემდგომი მასობრივი მოსპობის მთავარ თეორიულ და პროპაგანდისტულ დასაბუთებად. და ნიურნბერგის პროცესმა მთელ კაცობრიობას დაანახვა „სასიცოცხლო სივრცის უზრუნველყოფის“ ნაცისტური დოქტრინის ნამდვილი მიზნები და საშინელი საფრთხე, რომელსაც იგი უქმნიდა მას.

საიუბილეო კონფერენციაზე დიდი ყურადღება დაეთმო აგრეთვე ნამდვილად ფასდაუდებელ, უდიდეს გავლენას, რომელიც ნიურნბერგის პროცესმა მოახდინა საერთაშორისო სამართლის უმნიშვნელოვანესი დარგების შემდგომ პროგრესულ განვითარებაზე.

კონფერენციის მონაწილეთა გამოსვლებში უწინარეს ყოვლისა დამაჯერებლად იყო ნაჩვენები, რომ სწორედ საერთაშორისო ტრიბუნალის წესდებამ და თვით განაჩენმა შეასრულა უდიდესი და, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი როლი აგრესიული ომის კრიმინალიზაციის ხანგრძლივი ისტორიული პროცესის დამთავრებასა და მის უმძიმეს საერთაშორისო დანაშაულად გამოცხადებაში. საერთაშორისო სამართალში, როგორც ზემოთ აღინიშნა, დამკვიდრდა აგრეთვე კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულობებისათვის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპი. ყოველივე ამან ეს დანაშაულობანი გახადა ისეთებად, რომლებიც ისჯება სისხლის სამართლის წესით, ესე იგი სისხლის სამართლის დანაშაულობათა რიგში ჩააყენა სახელმწიფო ლიდერების ისეთი საქმიანობა, რომელიც საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და ხალხთა უშიშროებას თანამედროვე პირობებში. მთელ რიგ სახელმწიფოთა პოლიტიკა და ზოგიერთი საგარეო-პოლიტიკური პრობლემის გადაჭრის პრაქტიკა საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის ამ დებულებას უაღრესად აქტუალურს ხდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი როლი შეასრულა ნიურნბერგის პროცესმა ომის საწინააღმდეგო სამართლის განვითარებაში, განსაკუთრებით აგრესიის განსაზღვრაში. საქმე ის არის, რომ ერთა ლიგის წესდებაში, აგრეთვე ბრიან-კელოგის 1928 წლის პაქტში, რომლებშიც გამოცხადებულია ომებზე საჯარო უარის თქმა და აგრესიული ომი აღიარებულია დანაშაულად, ჩამოყალიბებული არ არის მისი ნიშნები. მართალია, თავად საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდებაშიც კი არ არის მოყვანილი თვით აგრესიის განსაზღვრება, თუმცა მასში აგრესია კვალიფიცირებულია უმძიმეს საერთაშორისო დანაშაულად და ვრცლად არის დახასიათებული ყველა მისი სტადია, დაგეგმვა და მომზადება (მუხლი 6-ა), ამასთან მშვიდობის წინააღმდეგ დანაშაულად გამოცხადებულია არა მხოლოდ აგრესიული ომის წარმოება. ეს მოხდა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მიზეზით, რომელთა წარმომადგენლებმა საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდების შემუშავებისას ხელი შეუშალეს საბჭოთა მხარის იმ დაჟინებული მოთხოვნის დაკმაყოფილებას, რომ მიეღოთ და დაემტკიცებინათ აგრესიის უნივერსალური განსაზღვრება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებამ განამტკიცა ძალის გამოყენების მართლის წინააღმდეგ ხასიათი, ხოლო 1974 წლის 7 დეკემბერს საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნების მრავალი წლის მეცადინეობა დაგვირგვინდა წარმატებით. ამ დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო აგრესიის განსაზღვრება, რომლის სტრუქტურაში თავისი კანონზომიერი ასახვა ჰპოვა მეორე მსოფლიო ომისა და ნიურნბერგის პროცესის გამოცდილებამ.

უკვე აგრესიის განსაზღვრების პრეამბულაში აღნიშნულია, რომ აგრესია ძალის უკანონო გამოყენების ყველაზე სერიოზული და საშიში ფორმაა და შეიცავს მსოფლიო კონფლიქტისა და მისი კატასტროფული შედეგების შესაძლო საფრთხეს. ამრიგად, მეორდება ნიურნბერგის განაჩენის იმ ნაწილში მოყვანილი ანალოგიური აზრი, რომელშიც ზოგადად არის დახასიათებული გერმანიის ფაშიზმის აგრესიული შეთქმულება. გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებაში გამოცხადებული იყო აგრეთვე, რომ „პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და სხვა ხასიათის ვერავითარი გარემოება ვერ გაამართლებს აგრესიას“.

აგრესიის განსაზღვრებისათვის მწვავე პოლიტიკური მიმართულების მისანიჭებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შემდეგ კონკრეტულ მითითებას: აგრესიის აქტის დადასტურებაა ის, თუ სახელმწიფომ, წინააღმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზციის წესდებისა, პირველმა იხმარა შეიარაღებული ძალა. ეს დებულებაც ისტორიული დამსახურებაა საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალისა, რომელმაც უკუაგდო მთავარ ნაცისტ სამხედრო დამნაშავეთა ცდები, საქმე ისე წარმოედგინათ, თითქოს მათ მიერ ჩადენილი აგრესიის ყოველი აქტი ყოფილიყოს პრევენტიული ომი, დაწყებული იმ მიზნით, რომ თავიდან აეცილებინათ სხვა ქვეყნების თავდასხმის საფრთხე, რომელიც ვითომდა გერმანიას ემუქრებოდა. საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალმა სრულიად კატეგორიულად და ერთმნიშვნელოვნად გაუსვა ხაზი: სახელმწიფოს მიერ შეიარაღებული ძალის პირველად გამოყენება იმის კრიტერიუმია, რომ მისი მოქმედება განისაზღვროს როგორც აგრესია. ეს ფაქტორი ადგენს აგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთვე პრინციპულ განსხვავებას კანონიერ თავდაცვასა და პრევენტიულ ომს შორის. აქედან ნათლად სჩანს, როგორ უნდა იქნეს კვალიფიცირებული ისრაელის ომი ლიბანში, აშშ-ს ჯარების შეჭრა გრენადაში, ლიბიის ქალაქების დაბომბვა მიმდინარე წლის აპრილში.

კონფერენციაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმ საკითხთა ფართო განხილვას, რომლებიც უცილობლად ადასტურებენ, რომ ნიურნბერგის პრინციპებმა ფაქტობრივად წარმოქმნეს საფუძველი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დაცვის სისტემის შესაქმნელად. სწორედ ამ პრინციპების განსავითარებლად გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ შემდგომში მიიღო რამდენიმე ფუძემდებელი სამართლებრივი აქტი ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემების გამო. უწინარეს ყოვლისა ეს არის 1948 წლის 9 დეკემბრის კონვენცია გენოციდის დანაშაულობათა თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ. ამ დოკუმენტების წყებაში ცენტრალური ადგილი უკავია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, რომელიც 1948 წლის 10 დეკემბერს დაამტკიცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ. ნიურნბერგის პრინციპებთან ამ დეკლარაციის კავშირი ვლინდება, როგორც მის შესავალ ნაწილში, ისე მასში ჩამოყალიბებულ ადამიანის უფლებათა ნუსხაშიც.

საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის შედეგების ფართო ზემოქმედებას ასახავს აგრეთვე 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევაში მიღებული ოთხი კონვენცია ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ. იმავე დროს მიღებულ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ათ რეზოლუციასთან ერთად ამ კონვენციებმა ფაქტობრივად მოახდინეს ომის მსხვერპლთა დაცვის საერთაშორისო სამართლის კოდიფიკაცია. უნდა ვახსენოთ აგრეთვე თავისი შინაარსითა და საერთაშორისო მნიშვნელობით ფრიად არსებითი კონვენცია—1968 წლის 26 ნოემბრის კონვენცია მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულობათა მიმართ ხანდაზმულობის ვადების გამოუყენებლობის თაობაზე: მისი პრეამბულის პირველი პარაგრაფი შეიცავს შეხსენებას, რომ გენერალურმა ასამბლეამ დაამტკიცა ნიურნბერგის პრინციპების სავალდებულო ხასიათი, რადგან ისინი საერთაშორისო სამართლის ნაწილად მიიჩნია.

ნიურნბერგის წარუვალი მნიშვნელობა უდიდეს პრაქტიკულ ზემოქმედებას ახდენს თანამედროვეობის სხვა უმწვავეს საერთაშორისო პრობლემათა გადაჭრაზეც. მაგალითად, ბირთვული ომის მომზადებისა და გაჩაღების იმპერიალისტური პოლიტიკის აღკვეთის მიზნით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ კვლავ დაადასტურა მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულობათა დასჯადობის პრინციპი. სსრ კავშირის წინადადებით 1981 წელს მან მიიღო ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილების დეკლარაცია, რომელშიც მკაფიოდ არის დადგენილი, რომ 1) სახელმწიფოები და სახელმწიფო მოღვაწენი, რომლებიც პირველები მიმართავენ ბირთვული იარაღის გამოყენებას, ითვლებიან დამნაშავეებად კაცობრიობის წინააღმდეგ უმძიმეს დანაშაულობათა ჩადენაში; 2) არასოდეს არც გამართლება, არც პატიება არ ექნებათ იმ სახელმწიფო მოღვაწეებს, რომლებიც მიიღებენ გადაწყვეტილებას პირველებმა გამოიყენონ ბირთვული იარაღი.

1983 წელს საბჭოთა კავშირის ინიციატივით გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც დაგმობილია ბირთვული ომი, რადგან იგი

ეწინააღმდეგება სინდისსა და გონებას, ყველაზე საზარელი დანაშაულია ხალხთა წინააღმდეგ და ადამიანის უპირველესი უფლების — სიცოცხლის უფლების ხელყოფა.

სსრ კავშირის ეს მტკიცე პოზიცია განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიხატა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობაზე „...თანამედროვე მსოფლიო მეტად პატარა და სუსტი გახდა რმებისა და ძალისმიერი პოლიტიკისათვის, — განაცხადა ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა — მისი ხსნა და შენარჩუნება შეუძლებელია, თუ არ უკუვაგდებთ — მტკიცედ და საბოლოოდ— იმ აზრებსა და მოქმედებას, რომლებსაც საუკუნეთა მანძილზე საფუძვლად ედო ის, რომ ომები და შეიარაღებული კონფლიქტები მისაღები და დასაშვებია.

ეს კი ნიშნავს შევიგნოთ, რომ გამალებული შეიარაღების, ისევე როგორც თვით ბირთვული ომის, მოგება უკვე შეუძლებელია. ასეთი გამალებული შეიარაღების განგრძობა დედამიწაზე, და მით უმეტეს მისი გავრცელება კოსმოსში, დააჩქარებს ბირთვული იარაღის დაგროვებისა და სრულყოფის ისედაც კრიზისულად სწრაფ ტემპს. მსოფლიოში ვითარებამ შეიძლება ისეთი ხასიათი შეიძინოს, როცა იგი აღარ იქნება დამოკიდებული პოლიტიკოსთა გონებასა თუ ნებაზე. იგი ტექნიკის, სამხედრო-ტექნოკრატიული ლოგიკის ტყვეობაში აღმოჩნდება. მაშასადამე, არა მარტო თვით ბირთვული ომი არამედ ამისათვის მზადებაც კი, ესე იგი გამალებული შეიარაღება, სამხედრო უპირატესობისადმი სწრაფვა, ობიექტურად ვერავის ვერ მოუტანს პოლიტიკურ მოგებას[1]“.

ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის მქონე ამ პრობლემების განხილვა ნიურნბერგის პროცესის 40 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაზე მიმდინარეობდა სულ სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულების წარმომადგენელთა დაინტერესებითა და აქტიური მონაწილეობით. ეს მოწმობს, რომ ნიურნბერგის გაკვეთილები დღესაც საჭირბოროტო და აქტუალურია, მოუწოდებს პლანეტის ხალხებს გამოიჩინონ სიფხიზლე, უკომპრომისოდ ებრძოლონ თანამედროვე ომის გამჩაღებელთა ყოველნაირ ხრიკებს.

—•—

1 მ. ს. გორბაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობას, თბ., 1986 წ., გვ. 111.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი საბჭოთა კონსტიტუცია

გრიგოლ ერემოვი,
საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი

სკკპ XXVII ყრილობამ, სხვა დიდმნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, უურადღება გაამახვილა აგრეთვე სოციალისტური კანონიერების დაცვასა და საკანონმდებლო საქმიანობის შემდგომ გაუმჯობესებაზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, მ. ს. გორბაჩოვმა, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში თქვა: „ბოლო დროს დიდი მუშაობა გავწიეთ საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში მართლწესრიგის განმტკიცებისათვის, მაგრამ მეცადინეობა ამ მიმართულებით არავითარ შემთხვევაში არ უნდა შევანელოთ. კვლავაც უნდა გავაუმჯობესოთ საბჭოთა კანონების ხარისხი“[1].

პარტიის ეს მოთხოვნა მთლიანად შეესაბამება ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის დაჩქარების კურსს.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური საფუძვლების განმტკიცების პარალელურად აუცილებელია აგრეთვე საბჭოთა სახელმწიფოს და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლის განმტკიცებაც.

სსრ კავშირის მოქმედი კონსტიტუცია მოითხოვს მთელ რიგ კანონთა მიღებას, რომელთაგან ბევრი მათგანი უკვე მიღებულიცაა (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი, კანონი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ, სსრ კავშირის მოქალაქეობის, პროკურატურის, ადვოკატურის, ნოტარიატის შესახებ და სხვა).

კანონებს ჩვენ მომავალშიც მივიღებთ, რადგან საკანონმდებლო აქტების განახლება და შეცვლა ჩვეულებრივი მოვლენაა. საერთოდ კი, საკანონმდებლო აქტების მიღების საწყისად 1918 წლის 10 ივლისი ითვლება, როდესაც რსფსრ საბჭოების V ყრილობამ დაამტკიცა პირველი საბჭოთა კონსტიტუცია.

პრინციპები, რაც ამ კონსტიტუციით დაკანონდა, დღესაც მოქმედებს. სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუციის პრეამბულაში პირდაპირ არის მითითებული, რომ .იგი იცავს „...1918 წლის პირველი საბჭოთა კონსტიტუციის, 1924 წლის სსრ კავშირის კონსტიტუციისა და 1936 წლის სსრ კავშირის კონსტიტუციის იდეებისა და პრინციპების მემკვიდრეობითობას“.

---

[1] მ. ს. გორბაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება სკკპ XXVII ყრილობას, 1986 წ. გვ. 104.

* * *

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად პროლეტარიატის დიქტატურის დამკვიდრებამ ახალი კანონებისა და კონსტიტუციის მიღება მოითხოვა. ეს იმას ნიშნავდა რომ მშრომელთა ნებასურვილი კანონის ენით ამეტყველებულიყო და მას უმაღლესი იურიდიული ძალა მინიჭებოდა.

ახალი ტიპის (პროლეტარიატის დიქტატურის) სახელმწიფოს კი საბჭოთა რესპუბლიკის შესატყვისი ძირითადი კანონი ესაჭიროებოდა და იგი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, უშუალოდ ვ. ი. ლენინის მონაწილეობით, შემუშავდა. ეს იყო პირველი საბჭოთა კონსტიტუცია, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს შექმნიდან რვა თვის შემდეგ დამტკიცდა. სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა საბჭოთა სახელმწიფო აპარატი, შეივსო მისი სისტემა, გამოქვეყნდა უამრავი დეკრეტი.

საბჭოთა სახელმწიფო აპარატის ჩამოყალიბების და „ოქტომბრის დეკრეტების" განხორციელების პროცესში შემუშავდა აგრეთვე პირველი საბჭოთა კონსტიტუციის პრინციპები. კონსტიტუციამ მოახდინა იმის კონცენტრირება, რაც პროლეტარული რევოლუციის შედეგად მოგვცა ცხოვრებამ. როგორც ვ. ი. ლენინი ამბობს ჩვენ შევძელით კონსტიტუციაში „ჩაგვეწერა ის, რაც უკვე არსებობს პრაქტიკაში"[2], რომ „საბჭოთა კონსტიტუცია საბჭოების მსგავსად, შეიქმნა რევოლუციური ბრძოლის პერიოდში, პირველი კონსტიტუციაა, რომელმაც სახელმწიფო ხელისუფლებად გამოაცხადა მშრომელთა ხელისუფლება, უფლებებს ჩამოაშორა ექსპლოატატორები — ახალი ცხოვრების მშენებლობის მოწინააღმდეგენი"[3].

ამრიგად, პირველივე საბჭოთა კონსტიტუცია არ იყო კაბინეტური ხასიათის ნაშრომი, რადგან იგი შეიქმნა პროლეტარული რევოლუციის მონაპოვართა განმტკიცებისათვის გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში, როგორც ქვეყნის ფაქტიური მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტი.

საბჭოთა კონსტიტუციამ თავიდანვე დიდი გამოხმაურება ჰპოვა მსოფლიოში. „ახლა ყველა ქვეყნის მშრომელნი — ამბობდა ვ. ი. ლენინი 1918 წ. 26 ივლისს — დაინახავენ, რომ საბჭოთა კონსტიტუცია —რუსეთის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლკის ძირითადი კანონი — გამოხატავს მთელი მსოფლიოს პროლეტარიატის იდეალებს"[4].

1918 წლის 30 მარტს პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება საკონსტიტუციო კომისიის შექმნის შესახებ. იმავე წლის 1 აპრილს ი. მ. სვერდლოვი მოხსენებით გამოვიდა ცაკ-ის სხდომაზე „ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოთა შორის ფუნქციათა ზუსტი გამიჯვნის შესახებ" და დაასაბუთა ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოთა ერთიანი სისტემის შექმნის აუცილებლობა. ამავე სხდომაზე გამოიყო კონსტიტუციის შემმუშავებელი კომისია და მისი შემადგენლობა განისაზღვრა 15 კაცით. მასში შევიდნენ ბოლშევიკები, მემარცხენე ესერები, „მემარცხენე კომუნისტები", ესერმაქსიმალისტები, აგრთვე წარმომადგენლები ეროვნებათა საქმეების, იუსტიციის,

---

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 631.
[3] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 680.
[4] ვ. ი. ლენინი, იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფინანსთა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებიდან. საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი და ცაკ-ის თავმჯდომარე ი. მ. სვერდლოვი.

შემუშავდა კონსტიტუციის რამოდენიმე პროექტი. „მემარცხენე კომუნისტმა" პროფესორმა მ. ა. რეისნერმა საკონსტიტუციო კომისიას წარუდგინა ანტილენინური, პოლიტიკურად მავნე პროექტი საბჭოთა სახელმწიფოს ფედერაციულად მოწყობის შესახებ. მისი პროექტით ავტონომიური ოლქების ჩამოყალიბებისას მხედველობაში უნდა მიეღოთ მოსახლეობის ტერიტორიულ-ეკონომიკური და არა ეროვნული ნიშნები, ასევე უარყოფილი იყო პროლეტარიატის დიქტატურა.

მემარცხენე ესერებმა (ა. ა. შრეიდერმა დ. ა. მაგეროვსკიმ და სხვ.) შეიმუშავეს კონსტიტუციის ისეთი პროექტი, რომელიც უარყოფდა დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპს. მათი აზრით ადგილობრივი ორგანოები აბსოლუტურად დამოუკიდებელნი უნდა ყოფილიყვნენ და არ დაქვემდებარებოდნენ ზემდგომ ორგანოებს. ისინი მოითხოვდნენ, რათა ყოველ ტერიტორიულ ერთეულში, ოლქში, დიდ ქალაქებში შექმნილიყო თავისი სახალხო კომისართა საბჭო. მათ სურდათ ამით დაპირისპირებოდნენ ვ. ი. ლენინის თავმჯდომარეობით შექმნილ სრულიად რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს.

ესერმაქსიმალისტებმა (ა. ი. ბერდნიკოვი) საკონსტიტუციო კომისიაში წარადგინეს აშკარად ანარქისტული „შრომითი რესპუბლიკის კონსტიტუციის საფუძვლების" პროექტი. ისინი მოითხოვდნენ ვაჭრობისა და ფულის გაუქმებას, უარყოფდნენ ხელფასის ანაზღაურების არსებულ წესს და შრომის სოციალისტური პრინციპის ნაცვლად იცავდნენ გათანაბრებითი ანაზღაურების პრინციპს.

ამრიგად, ანტილენინელებმა კონსტიტუციის პროექტის შემუშავებისას უარყვეს ისეთი საკითხები, როგორიც არის პროლეტარიატის დიქტატურა, დემოკრატული ცენტრალიზმი, პროლეტარული ინტერნაციონალიზმი, შრომის სოციალისტური პრინციპი და ა. შ. ისინი შეგნებულად გაერთიანდნენ და შეადგინეს ერთი პროექტი, რომელსაც იუსტიციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის პროექტი ეწოდა. ამგვარად აღმოჩნდა საკონსტიტუციო კომისიაში ორი პროექტი — ბოლშევიკებისა (ი. ბ. სტალინი, ი. მ. სვერდლოვი და სხვ). და „მემარცხენე კომუნისტების", მემარცხენე ესერების, ესერმაქსიმალისტების და მათი მომხრეებისა.

ბოლშევიკური კონსტიტუციის პროექტის შემუშავებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სრულიად რუსეთის საბჭოების მესამე ყრილობის მიერ მიღებულმა დადგენილებამ (1918 წ. 28 იანვარი)— „რუსეთის რესპუბლიკის ფედერალური დაწესებულებების შესახებ". ამ დოკუმენტით განისაზღვრა საბჭოთა სახელმწიფო ორგანოთა სისტემა, ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოთა ურთიერთდამოკიდებულება, მათი ფუნქციები და ა. შ. ასევე მნიშვნელოვანი იყო ამავე ყრილობის მიერ დამტკიცებული „მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაცია". ეს დოკუმენტი ვ. ი. ლენინის წინადადებით მთლიანად შევიდა პირველ საბჭოთა კონსტიტუციაში, როგორც მისი პირველი კარი.

1918 წ. 14 ივნისს რსფსრ ცაკ-ის სხდომაზე განიხილეს ბოლშევიკების ფრაქციის მიერ შემუშავებული კონსტიტუციის პროექტი.

1918 წ. 28 ივნისს რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გამოჰყო საკონსტიტუციო კომისია ვ. ი. ლენინის თავმჯდომარეობით, რომელსაც დაევალა ხელმძღვანელობა ცაკ-ის საკონსტიტუციო კომისიისადმი.

1918 წ. 3 ივლისს ცენტრალური კომიტეტის კომისიამ განიხილა კონსტიტუციის ორივე პროექტი და რეკომენდაცია საბჭოების V ყრილობაზე გასატანად მისცა ბოლშევიკების ფრაქციის მიერ შემუშავებულ კონსტიტუციის პროექტს.

საბჭოების V ყრილობამ მუშაობა დაიწყო 1918 წ. 4 ივლისს. მოხსენებით კონსტიტუციის პროექტის შესახებ გამოვიდა ცაკ-ის საკონსტიტუციო კომისიის წევრი ი. მ. სტეკლოვი, მაგრამ ყრილობის მუშაობა შეწყდა, რადგან მემარცხენე ესერებმა ამბოხება მოაწყეს. ისინი სხვა კონტრრევოლუციურ ძალებთან ერთად იარაღით გამოვიდნენ მოსკოვის ქუჩებში საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად.

საბჭოთა არმიამ და შეიარაღებულმა მუშებმა საბჭოების V ყრილობის ბოლშევიკ დელეგატებთან ერთად ადვილად დაძლიეს მემარცხენე ესერების გამოსვლები.

მეხუთე ყრილობის მუშაობა 9 ივლისს განახლდა, ხოლო 10 ივლისს დამტკიცდა პირველი საბჭოთა კონსტიტუცია.

საბჭოების ყრილობის დადგენილებით მემარცხენე ესერები განდევნილ იქნენ საბჭოებიდან, ხოლო ვ. ი. ლენინმა მტკიცედ განაცხადა: „არ შეიძლება ოდნავადაც კი ვენდოთ მემარცხენე — ესერულ გამცემთა ბრბოს[5]“.

საბჭოთა რუსეთის პირველი კონსტიტუცია მსოფლიოში პირველი სოციალისტური ტიპის კონსტიტუციაა. იგი პირველი იყო არა მარტო საბჭოთა რუსეთისათვის, არამედ საერთოდ რუსეთისათვის, რადგან მანამდე რუსეთს კონსტიტუცია არ ჰქონია.

რსფსრ საბჭოების V ყრილობამ დაავალა რუსეთის განათლების სახალხო კომისარიატს, რომ შემოეღო სკოლებში საბჭოთა კონსტიტუციის ძირითად დებულებათა შესწავლა.

რსფსრ პირველი კონსტიტუცია გახდა ნიმუში მაშინ არსებული დანარჩენი სოციალისტური რესპუბლიკების კონსტიტუციების შემუშავებისათვის.

„ქვეყნად არ ყოფილა ისეთი კონსტიტუციები, როგორიც ჩვენი კონსტიტუციაა“[6] — წერდა ვ. ი. ლენინი.

რსფსრ 1918 წლის კონსტიტუცია დააზუსტა და დაამტკიცა რსფსრ ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა 1918 წ. 18 ივლისს. იგი დაიბეჭდა მეორე დღეს გაზეთ „იზვესტია“-ში და იმავე დღიდან შევიდა ძალაში.

68 წელი გვაშორებს ამ ღირსშესანიშნავ თარიღთან. საბჭოთა რუსეთის პირველი კონსტიტუცია შეცვალეს რსფსრ 1925 წლის მაისის, შემდეგ 1937 წლის თებერვლის და, ბოლოს, 1978 წლის აპრილის კონსტიტუციებმა, მაგრამ მას, როგორც პირველს, თავისი ღირსება მაინც შენარჩუნებული აქვს.

პირველი საბჭოთა კონსტიტუციით განმტკიცდა რუსეთის მშრომელთა სრულუფლებიანობა და იგი ხორციელდებოდა საბჭოების მეშვეობით. „რუსეთის რესპუბლიკა — ჩაწერილია მის მე-10 მუხლში — არის რუსეთის ყველა

---

[5] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 665.

[6] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 28, გვ. 163.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშრომელთა თავისუფალი სოციალისტური საზოგადოება. რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის ფარგლებში მთელი ხელისუფლება ეკუთვნის ქალაქისა და სოფლის საბჭოებში გაერთიანებულ ქვეყნის მთელ მუშა მოსახლეობას". კონსტიტუცია აღიარებდა, რომ „მთელი ხელისუფლება ცენტრში და ადგილობრივ ამ საბჭოებს ეკუთვნის" (მუხ. 1).

კონსტიტუციით რუსეთში დამყარდა „ქალაქისა და სოფლის პროლეტარიატის და უღარიბესი გლეხობის დიქტატურა" (მუხ 9), რომლის სახელმწიფო მმართველობის ფორმად აღიარებულ იქნა საბჭოთა რესპუბლიკა. კონსტიტუციის პირველივე მუხლში ჩაწერილია, რომ „რუსეთი ცხადდება მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების რესპუბლიკად".

საბჭოების არჩევნებში მონაწილეობა, იმის უფლება, რომ „აირჩიოს და თვით იქნეს არჩეული საბჭოში" მხოლოდ მშრომელებს გააჩნიათ (მუხ. 64). კონსტიტუციითვე იყო დადგენილი, რომ სხვები „ვერ აირჩევენ და ვერ იქნებიან არჩეულნი" (მუხ. 65).

კონსტიტუცია მშრომელებს ანიჭებს სიტყვისა და ბეჭდვითი სიტყვის უფლებას (მუხ. 14), სინდისის თავისუფლებას (მუხ. 13), მიტინგების, დემონსტრაციათა მოწყობის თავისუფლებას (მუხ. 15). შრომის სავალდებულო ხასიათს (მუხ. 18), უფასო განათლების უფლებას (მუხ. 17), ეროვნებათა და რასათა თანასწორუფლებიანობას (მუხ. 22) და ა. შ.

მშრომელთა ამ უფლებების მატერიალური გარანტიებით კონსტიტუცია ზრუნავდა სოციალისტური ეკონომიკის განმტკიცებისათვის. ამ მიზნით იგი აკანონებდა მიწებზე კერძო საკუთრების მოსპობას, ტყეების, მიწის წიაღის, ფაბრიკების, ქარხნების, მაღაროების, ბანკების „საბჭოთა რესპუბლიკის სრულ საკუთრებად" გამოცხადებას (მუხ. 3) და სხვა.

კონსტიტუციამ განამტკიცა საბჭოთა ფედერალიზმის ლენინური პრინციპები, ერთა თვითგამორკვევა, ნებაყოფლობა და თანასწორუფლებიანობა. კონსტიტუციის მეორე მუხლით „რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა არსდება თავისუფალ ერთა თავისუფალი კავშირის საფუძველზე, როგორც საბჭოთა ეროვნული რესპუბლიკების ფედერაცია".

პირველი საბჭოთა კონსტიტუცია სწორედ თავისი ძალით, ავტორიტეტით და გარესამყაროსადმი გავლენით იქცა კაცობრიობის ახალი ისტორიის პირველ გამკვალავად. იგი იყო და კვლავაც რჩება მსოფლიო პროლეტარიატის „სახარებად". ახლადშექმნილმა სოციალისტურმა ქვეყნებმა, როგორც წესი, პირველი საბჭოთა კონსტიტუციით დადგენილ ლენინურ პრინციპებს შეუხამეს თავიანთი ეროვნული სპეციფიკურობა და ამგვარად შევიდნენ სოციალისტური ქვეყნების მზარდ სისტემაში, რომელთა საბოლოო მიზანიც მშვიდობის დაცვა, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაა.

—•—

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჭარის პროკურატურის კარგი ტრადიციები

დავით თამაზაშვილი,
აჭარის ასსრ პროკურორი

65 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც აჭარის ავტონომიური სოციალისტური რესპუბლიკა შეიქმნა და დაიწყო აჭარელთა თავისუფალი, ბედნიერი ცხოვრება. ავტონომიურმა მმართველობამ აჭარის მშრომელთა წინაშე ფართოდ გადაშალა პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესაძლებლობანი. განვლილმა წლებმა კი თვალნათლივ დაადასტურეს, რომ არჩეული გზა ერთადერთი და სწორი გზა იყო აჭარისათვის.

დღეს აჭარაში ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა ის უდიდესი ძვრები, რაც სოციალიზმის გამარჯვებამ მოუტანა ადამიანებს. იგი ერთ-ერთი მოწინავე რესპუბლიკაა საბჭოთა კავშირის ძმურ ოჯახში და ქვეყანას აძლევს 70-ზე მეტი დასახელების მანქანებსა და ტექნოლოგიურ მოწყობილობას, ციტრუსისა და ხილის კონსერვებს, ფეხსაცმელს, შეკერილ ნაწარმს, ნავთობპროდუქტებსა და სხვ. ჩვენი ნაწარმი მსოფლიო ბაზარზეც საკმაოდ დიდი ავტორიტეტით სარგებლობს და გვწამს, უფრო მეტ სასახელო გამარჯვებებსაც მივაღწევთ. აჭარელებს აქვთ საამისო ძალაც და გამოცდილებაც.

პარტიის მიერ დასახულ გრანდიოზულ ამოცანათა განხორციელების საქმეში ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა და დღესაც ენიჭება ავტონომიურ რესპუბლიკაში მართლწესრიგისა და დისციპლინის განმტკიცებას. აქ მთავარი როლი, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად, აკისრია აჭარის პროკურატურასაც.

როდესაც ვიხსენებთ აჭარის ასსრ პროკურატურის ორგანოების განვლილი 65 წლის მუშაობას, უპირველესად ის ადამიანები უნდა მოვიგონოთ, რომლებიც ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის შექმნის პირველი დღეებიდანვე ეწოდნენ რთულ, მაგრამ ნაყოფიერ მუშაობას მართლწესრიგის განმტკიცებისათვის. იუსუფ მახარაძე, ბიქტორ წულუკიძე, გიორგი მირონაძე, ალი გვარიშვილი, დიმიტრი ჩხიკვაძე, მიხეილ თუმანიშვილი, შევქეთ ლორთქიფანიძე, ვალერიან ჯიჯეიშვილი, ალექსანდრე ნიკოლაიშვილი და სხვები — აი ვინ იდგნენ ახლადშექმნილი აჭარის პროკურატურის სათავეებთან. ოცდაათიანი წლებიდან კი, რესპუბლიკის პარტიული ორგანოების რეკომენდაციებით, პროკურატურაში ბევრი ახალგაზრდა, ენერგიული მუშაკი მოვიდა. ესენი იყვნენ: ბენედიქტე კუხიანიძე, ილია შელეგია, შუქრი გოგიტიძე, გრიგოლ სურგულაძე, ალექსანდრე წიტაიშვილი, დავით სალაძე, რიფეთ სურმანიძე, შალვა ცეცხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაძე, აბდულ სურმანიძე, მუსხედ ძნელაძე, დავით სამსონია, თამარ გოგუაძე და სხვები. ამავე პერიოდში დაიწყო მუშაობა აჭარის ასსრ პროკურატურის ორგანოებში, შემდგომში აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ რევაზ კომახიძემ.

დიდი სამამულო ომის წლებში მოქმედ არმიაში იმყოფებოდა აჭარის პროკურატურის ბევრი მუშაკი. მტერთან ბრძოლაში გამოიწვრთნენ რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწე მურად ყურშუბაძე, უფროსი გამომძიებელი სერგო თალაკვაძე, ბათუმის პროკურორის თანაშემწე სერგო ვანიძე, პროკურატურის გამომძიებლები ნოე ნოზაძე, მურად ნიჟარაძე და სხვები, ზოგიერთმა მათგანმა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას შესწირა თავი. მათი სახელები ყოველთვის დიდებითა და პატივისცემით მოიხსენიება პროკურატურის მუშაკთა შორის.

ომის შემდგომი პერიოდის აჭარაში სოციალისტური კანონიერების დაცვასა და განმტკიცებას დიდხანს ხელმძღვანელობდნენ ცნობილი იურისტები: გრიგოლ ბიწაძე, არონ ტაკიძე, ნიკოლოზ დავითაია, მიხეილ ცქიფურიშვილი, გიორგი გოგიტიძე, სოლომონ ნანიტაშვილი.

მადლიერების გრძნობის სიტყვები გვინდა ვუთხრათ უპირველესად იმ ადამიანებს, რომლებიც დიდხანს და უმწიკვლოდ მოღვაწეობდნენ აჭარის პროკურატურის ორგანოებში და იმათაც, ვინც დღესაც სასახელოდ აგრძელებენ თავიანთ რთულ, მაგრამ საპატიო საქმიანობას. ჯემალ ბაჯელიძე, მაკარი ვერულიძე, ლეონიდე ჟვანია, თინა ხვედელიძე, სულიკო ცაგარეიშვილი, ბორის ჩავლეიშვილი, რევაზ მხატვარი, გოდერძი ბორჩხაძე, კუკური თენიეშვილი, გენადი ცინცაბაძე — აი ვის ეყრდნობა დღეს აჭარის პროკურატურა. აქვე თბილად უნდა მოვიგონოთ ჩვენგან უდროოდ წასული მეგობარი კოლეგები გიორგი მეგრელიძე და ვახტანგ დონდლაძე.

პროკურატურის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის აჭარის პროკურატურის ათ მუშაკს მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ დამსახურებული იურისტის საპატიო წოდება. ბევრი მათგანი წახალისებულია აგრეთვე სსრ კავშირის გენერალური პროკურორისა და საქართველოს სსრ პროკურორის მადლობებით, ფასიანი საჩუქრებით.

აჭარის ასსრ პროკურატურა დღეისათვის მხოლოდ უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე მუშაკებით არის დაკომპლექტებული, მათგან 94 პროცენტი სკკპ წევრია, ცენტრალური აპარატის ორი მუშაკი კი იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი. მოწინავეთა შორის მოწინავენი არიან რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე ამირან ვერულიძე, განყოფილებათა უფროსები ვაჟა კვარცხელია და გივი დიასამიძე, რესპუბლიკის პროკურორის უფროსი თანაშემწე ივანე გაბაიძე, თანაშემწე ანფისა ილინა, ხულოსა და ქედის პროკურორები როინ აბულაძე და გივი აბაშიძე, ქობულეთის პროკურორის მოადგილე როსტომ ჯაფარიძე, ბათუმის პროკურატურის უფროსი გამომძიებელი ზურაბ გოთუა და სხვები, ნაყოფიერად მუშაობენ ტექნიკური მუშაკები როზა გუნია, თამარ ინასარიძე, დურსუნ კოკობინაძე.

ვაფასებთ რა მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში მოპოვებულ წარმატებებს, ამასთან ერთად ვგრძნობთ იმ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებსაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც ჯერ კიდევ შეინიშნება ჩვენს მუშაობაში. აქიტომ გავიხადეთ დევიზად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის სიტყვები, რომელიც მან ივნისის პლენუმზე თქვა: „...განუხრელად უნდა ვიცავდეთ ჩვენს მთავარ სოციალისტურ პრინციპს — ყოველნაირად ვუჭრდეთ მხარს და ვახალისებდეთ პატიოსან და კეთილსინდისიერ შრომას, ვეწეოდეთ უკომპრომისო ბრძოლას ყველა პარაზიტი ელემენტის, იმათ წინააღმდეგ ვინც ცდილობს იცხოვროს სხვის ხარჯზე, საზოგადოების ხარჯზე“.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ხშირია ფაქტები. როცა ცალკეული ადამიანები იმას ცდილობენ რაც შეიძლება მეტი წაგლიჯონ საზოგადოებას, სამაგიეროდ კი ნაკლები მისცენ მას, ცხოვრობენ უშრომელი შემოსავლით, ეწევიან დატაცებას, სპეკულაციას, მექრთამეობას, არ ერიდებიან მახინჯ გამოვლინებებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ სწორედ ასეთი მოვლენების აღმოსაფხვრელადაა გამიზნული და მისი ცხოვრებაში დანერგვა ყველა პატიოსანი მოქალაქის ვალია. ახლადმიღებული კანონები და მათი რეალიზაცია კი ნიშნავს საიმედოდ გადავუღობოთ გზა იმათ, ვინც სხვების ხარჯზე ცხოვრობს, უკანონოდ მდიდრდება და არაფრად უღირს საზოგადოებრივი აზრი.

პარტია დღეს ჩვენგან სწორედ იმას მოითხოვს, რაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შესაბამისი ბრძანებულებით დაკანონდა და რაშიც კიდევ უფრო გაიზარდა პროკურატურის ორგანოების ისედაც დიდი პასუხისმგებლობა.

აჭარის ასსრ პროკურატურის ორგანოების მუშაკებს შესწევთ იმის უნარი, რომ წარმატებით განაგრძონ წინამორბედთა ტრადიციები, ერთგულად ემსახურონ სოციალისტურ კანონიერებას და ღირსეული წვლილი შეიტანონ სკკპ 27-ე ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალური უზრუნველყოფის გზები და ამოცანები

კარლო გარდაფხაძე,
საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი

ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა ფართოდ და ღირსეულად აღნიშნეს სახელმწიფო პენსიების კანონის 30-ე წლისთავი. როგორც ცნობილია, სხვა უმნიშვნელოვანეს მონაპოვართან ერთად, სოციალური უზრუნველყოფის საბჭოთა სისტემა ყველაზე დემოკრატიული და ჰუმანური კანონია მსოფლიოში, რადგან იგი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ იშვა.

სოციალური უზრუნველყოფის საბჭოთა სისტემის შექმნა განუხრელად არის დაკავშირებული ვ. ი. ლენინის სახელთან. მის მიერ ჩამოყალიბებულ ფუძემდებელ პრინციპებს ამ მხრივ დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა, კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა ყოველთვის უდიდეს ყურადღებას უთმობენ მას.

პარტიის მიერ გაწეული უდიდესი მუშაობა, პრინციპულად ახალი სოციალური უზრუნველყოფის სისტემის შექმნისათვის, საბოლოოდ განამტკიცა სახელმწიფო პენსიების ახალმა კანონმა,. რომელიც 1956 წლის 14 ივლისს იქნა მიღებული. საბჭოთა ადამიანებზე ჭეშმარიტი ზრუნვით გამსჭვალული ეს კანონი საფუძვლად დაედო ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფის ერთიან სისტემას.

ჩვენს ქვეყანაში მომხდარმა გრანდიოზულმა სოციალურ-პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ცვლილებებმა განაპირობა მუშა-მოსამსახურეთა, კოლმეურნეთა და მათი ოჯახების წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შემდგომი გაფართოება და სრულყოფა. ამან მკაფიო ასახვა ჰპოვა ჩვენი ქვეყნის ძირითად კანონში, სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში, რომლის 35-ე, 43-ე და 53-ე მუხლებში პირდაპირაა აღნიშნული, რომ სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ მატერიალური უზრუნველყოფის უფლება სიბერეში, ავადმყოფობის, შრომისუნარიანობის მთლიანად ან ნაწილობრივი დაკარგვის შემთხვევაში, მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის სრულყოფილი პირობების შესაქმნელად ნაკლებადუზრუნველყოფილი ოჯახებისათვის დაწესებულია სხვადასხვა სახის დახმარებები და შეღავათები.

კონსტიტუცია არა მარტო აღიარებს მოქალაქეთა სოციალური უზრუნველყოფის უფლებას, არამედ, აკანონებს მის პრაქტიკულ განხორციელებას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უზრუნველყოფს მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა სოციალურ დაზღვევას, სხვადასხვა სახის პენსიებისა და დახმარებების გაცემას სახელმწიფოსა და კოლმეურნეობების ხარჯზე. არც ერთი კაპიტალისტური სახელმწიფოს კონსტიტუცია არ იძლევა მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფის ასეთ გარანტიას.

სოციალური უზრუნველყოფის საბჭოთა სისტემას მრავალი უპირატესობა აქვს კაპიტალისტურ ქვეყნებში მოქმედ სისტემებთან შედარებით:

ჩვენს ქვეყანაში სოციალური უზრუნველყოფა ვრცელდება, როგორც მუშა-მოსამსახურეებსა და კოლმეურნეებზე, ისე მათი ოჯახების წევრებზე. ე. ი. მას საერთო სახალხო ხასიათი აქვს. სულ სხვა მდგომარობაა კაპიტალისტურ ქვეყნებში. 1985 წლის ბოლოსათვის მსოფლიოს 36 სახელმწიფოში არ იყო შემოღებული საპენსიო უზრუნველყოფა, ხოლო 21-ში საერთოდ არ იყო დაწესებული სოციალური უზრუნველყოფის არც ერთი სახეობა. განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში, სხვადასხვა შეზღუდვების გამო, პენსია-დახმარებებს ვერ იღებს მშრომელთა დიდი ნაწილი. ამერიკის შეერთებულ შტატებში პენსიებისა და დახმარებების გარეშეა დარჩენილი რამოდენიმე მილიონი მოქალაქე, ხოლო 10 მილიონზე მეტ ვეტერანს მნიშვნელოვნად შეუმცირდა იგი.

ამასწინათ კი რეიგანის ადმინისტრაციამ მცირეწლოვან ბავშვებიან ოჯახებსაც შეუმცირა დახმარება 14 პროცენტით. „ბავშვთა დაცვის ფონდის" ამერიკის ორგანიზაციის დირექტორმა მ. ედელმანმა კონგრესის სხდომაზე დაუფარავად აღიარა: „ამერიკის შეერთებულ შტატებში ოთხმოციან წლებში დაბადებულთ საშიშროება ემუქრებათ. ამერიკელი ბავშვები დღეს გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე ოთხი წლის წინათ, შიმშილისა და სიღატაკისგან იტანჯებიან. გაცილებით ხშირია მათ შორის სიკვდილიანობის შემთხვევები".

ჩვენს ქვეყანაში სოციალური უზრუნველყოფა ხორციელდება სახელმწიფო და საზოგადოებრივი სახსრების ხარჯზე, მშრომელთა ყოველგვარი შენატანების გარეშე. კაპიტალისტურ ქვეყნებში კი პენსიებისა და დახმარებების მისაღებად მშრომელებს მნიშვნელოვან თანხებს უკავებენ სადაზღვევო შენატანების სახით. ეს თანხები ამერიკის შეერთებულ შტატებში და იაპონიაში შეადგენს დაახლოებით ხელფასის 9 პროცენტს, ავსტრიაში —12,9, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 17,0, ჰოლანდიაში — 21,5 პროცენტს. სახელმწიფოსა და კერძო მესაკუთრეთა მონაწილეობა სოციალური სფეროს დარგში აქ მეტად უმნიშვნელოა.

ზოგიერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში პენსიის მისაღებად აუცილებელია არა მარტო შრომის, არამედ დაზღვევის სტაჟიც. მაგალითად, ასაკობრივი სრული პენსიის მისაღებად იტალიაში, საჭიროა სადაზღვევო შენატანების გადახდის 40, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში — 50, ინგლისში 52 წლის სტაჟი.

ერთ-ერთი უპირატესობა სოციალური უზრუნველყოფის საბჭოთა სისტემისა ისიც არის, რომ ჩვენთან პენსიის განსაზღვრა ხდება დიფერენცირებულად, მოქალაქეთა მიერ შესრულებულ სამუშაოთა ოდენობის, ხარისხისა და შრომის პირობების შესაბამისად. ყველა შემთხვევაში პენსიის ოდენობის დად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენისას უპირატესობა ეძლევათ იმ მოქალაქეებს, რომლებიც უფრო მეტს, უკეთ და შრომის მძიმე პირობებში მუშაობდნენ.

პენსია-დახმარებები საბჭოთა მოქალაქეებს ენიშნებათ და ეძლევათ ავადმყოფობის, მოხუცებულობის, ინვალიდობის, მარჩენალის დაკარგვის დროს და ა. შ. მსოფლიოს 80 ქვეყანაში საერთოდ არ არის შემოღებული დახმარება დროებითი შრომისუუნარობის დროს. უფრო მეტიც, ამერიკის შეერთებული შტატების 52 შტატიდან მხოლოდ ექვსგან არის დაკანონებული ასეთი დახმარების გაცემა.

მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფა და მომსახურება ჩვენს ქვეყანაში მართლაც მრავალფეროვანია, პენსია-დახმარებების გარდა გათვალისწინებულია აგრეთვე ინვალიდთა და მარტოხელა შრომისუუნარო მოქალაქეთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება სახელმწიფო ხარჯზე, მოხუცთა და ინვალიდთა მოვლა-პატრონობა სახლ-ინტერნატებში, უფასო საპროთეზო-ორთოპედიული და რიგი სხვა სახის სოციალური დახმარებები და სხვ.

მსოფლიოს 80-ზე მეტ კაპიტალისტურ ქვეყანაში, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებში, საერთოდ არ არის შემოღებული საოჯახო დახმარებები, 21 ქვეყანაში მშრომელებს უარს ეუბნებიან კომპენსაციაზე შრომითი დასახიჩრებისა და პროფდაავადების დროს.

სოციალური უზრუნველყოფის საბჭოთა სისტემის უპირატესობა ისიც არის, რომ ჩვენს ქვეყანაში ყველაზე დაბალია პენსიაზე გასვლის ასაკი — 55 წელი ქალების და 60 წელი მამაკაცებისათვის. ფეიქარ და მექანიზატორ ქალებს, მეტალურგიულ, ქიმიურ, სამთამადნო საწარმოებში მომუშავეებს, უკიდურეს ჩრდილოეთში ხანგრძლივად მომუშავეებს და ომის ინვალიდებს პენსიაზე შეუძლიათ უფრო ადრეც გავიდნენ, კერძოდ — მამაკაცები 50-55 წლის და ქალები 45-50 წლის ასაკში.

ამერიკის შერეთებულ შტატებში, შვეიცარიაში და ფინეთში, როგორც მამაკაცებისათვის, ასევე ქალებისათვის საპენსიო ასაკად დაწესებულია 65, ისლანდიასა და დანიაში — 67, ხოლო ირლანდიაში — 68 წელი.

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა, როგორც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების შემადგენელი ნაწილი, სისტემატურ სრულყოფასა და განვითარებას განიცდის. სახელმწიფო პენსიების კანონის მიღების შემდეგ თითქმის არ ყოფილა არც ერთი წელი, რომ სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს არ მიეღოთ რაიმე ახალი დადგენილება ამ კანონის შესავსებად და გასაძლიერებლად.

საპენსიო კანონმდებლობა ძირითადად ორი მიმართულებით ვითარდება. ერთის მხრივ, საპენსიო უფლებები ენიჭებათ იმათ, ვინც ადრე არ სარგებლობდნენ ამ უპირატესობებით, ხოლო მეორის მხრივ, პენსია-დახმარებების მიმღებთა გარკვეული კატეგორიისათვის წესდება საპენსიო უზრუნველყოფის უფრო მაღალი დონე და შეღავათები.

პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური განუხრელი ზრუნვის შედეგად ჩვენს ქვეყანაში ნათლად შეიმჩნევა მოსახლეობის სოციალური უზრუნველ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფის გაუმჯობესება. გატარებული ღონისძიებების შედეგად, ბოლო ხუთწლედში მნიშვნელოვნად გაიზარდა მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა მინიმალური პენსიები, (მათ შორის კოლმეურნეთა პენსიები 50 პროცენტით), 25 წლის უწყვეტი სტაჟისათვის პენსიის დანამატი, ბავშვობიდან ინვალიდთა და მარტოხელა მოქალაქეთა დახმარებები და სხვა, გაუმჯობესდა მარტოხელა ბავშვიანი ქალებისა და მცირე შემოსავლიანი ბავშვებიანი ოჯახების მატერიალური მდგომარეობა, სახლ-ინტერნატებში მცხოვრებ მოხუცთა და ინვალიდთა მომსახურება, ქვანახშირის, ფიქალის და მეტალურგიული მრეწველობის სხვადასხვა კატეგორიის მუშაკების მაქსიმალური პენსიის ოდენობა გადიდდა 120 მანეთიდან 160 მანეთამდე.

საყოველთაო პატივისცემით არიან გარემოსილნი დიდი სამამულო ომის ვეტერანები. მათი საპენსიო უზრუნველყოფის, საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურების, შრომითი მოწყობის გაუმჯობესებისათვის შეიქმნა შეღავათებისა და უპირატესობათა მინიჭების ერთიანი სისტემა. ომის ინვალიდთა საშუალო პენსია ორჯერ და მეტად გაიზარდა. 1985 წელს ჩვენს რესპუბლიკაში პენსიების სახით მათზე 42 მილიონ მანეთზე მეტი გაიცა, ომის ვეტერანებმა ისარგებლეს 7 მილიონამდე მანეთის სხვადასხვა შეღავათით.

სამამულო ომის ინვალიდებს შეღავათები ეძლვათ არა მარტო პენსიის დანიშვნის, არამდ პენსიის გაცემის დროსაც. I და II ჯგუფის ყველა მომუშავე ინვალიდი და III ჯგუფის ინვალიდთა აბსოლუტური უმრავლესობა მთლიანად იღებს პენსიას იმის მიუხედავად, თუ რამდენი აქვს მას ძირითადი ხელფასი ან სხვა შემოსავალი.

სოციალური უზრუნველყოფა საპენსიო უზრუნველყოფასთან ერთად გულისხმობს ხანდაზმულთა და ინვალიდთა მომსახურების მთელ კომპლექსს. აქ შედის მრავალშვილიანი ოჯახების, მარტოხელა დედებისა და ბავშვობიდანვე ინვალიდებისათვის დახმარების გაწევის, შეღავათებისა და უფასო მომსახურების ფართო სისტემა. სახელმწიფო მნიშვნელოვან დახმარებას უწევს მცირეშემოსავლიან ოჯახებსაც. მხოლოდ ამ მიზნით სახელმწიფო ყოველწლიურად მილიარდ მანეთზე მეტს ხარჯავს.

დღეს სსრ კავშირში პენსია-დახმარებას იღებს 56 მილიონი კაცი, თითქმის ყოველი მეხუთე მოქალაქე და საამისოდ სახელმწიფო აურაცხელ სახსრებს გამოჰყოფს. მოსახლეობის სოციალურ უზრუნველყოფას 1985 წელს 57 მილიარდ მანეთზე მეტი მოხმარდა, აქედან 42 მილიარდი მანეთი პენსიებად გაიცა.

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესების თვალსაზრისით კარგი მაჩვენებლები გვაქვს საქართველოშიც. 1986 წლის 1 იანვრისათვის ჩვენს რესპუბლიკაში პენსია-დახმარებებს მილიონზე მეტი მოქალაქე იღებდა. 1985 წელს სოციალურ უზრუნველყოფაზე დავხარჯეთ 890 მილიონ მანეთზე მეტი, რაც თითქმის 200 მილიონით აღემატება ამ დანიშნულებით 1980 წელს გამოყენებულ სახსრებს. აღსანიშნავია, რომ წლიდან წლამდე იზრდება არა მარტო პენსიების მიმღებთა რაოდენობა, არამედ საშუალო პენსიის ოდენობაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყნის მოსახლეობის სოცუზრუნველყოფის შემდგომი სრულყოფისა და განვითარების ჭეშმარიტად გრანდიოზული ამოცანები დასახა პარტიის XXVII ყრილობამ. „ჩვენს საქმეში, — აღნიშნა ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა, — დიდი ადგილი უნდა დაიკავოს უფროსი თაობის, ომისა და შრომის ვეტერანებისათვის ზრუნვამ. პარტია, საბჭოთა სახელმწიფო ყოველ ღონეს იხმარენ, რათა პენსიონერთა მატერიალური კეთილდღეობა უმჯობესდებოდეს საზოგადოებრივი დოვლათის ზრდასთან ერთად“.

მეთორმეტე ხუთწლედში გათვალისწინებულია გადიდდეს მუშა-მოსამსახურეთა ასაკისა და ინვალიდობის პენსიების მინიმალური ოდენობა. კოლმეურნეთათვის წინათ დანიშნული პენსიები, ბავშვიანი ოჯახებისა და ბავშვობიდან ინვალიდებისათვის დანიშნული დახმარებები, გაუმჯობესდეს შრომისა და ომის ვეტერანთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურება, გაფართოვდეს მარტოხელა ხანდაზმულ და შრომისუუნარო მოქალაქეთა შინ მომსახურება, გაიზარდოს სახლ-ინტერნატთა ქსელი, არსებითად გარდაიქმნას იქ მცხოვრებთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურება. ამ ამოცანათა პრაქტიკული განხორციელებისათვის სახელმწიფო ყოველწლიურად დამატებით გამოყოფს ათეულ მილიარდ მანეთს.

დასახული ამოცანები ჭეშმარიტად მასშტაბური და შთამბეჭდავია. მათი განხორციელება მოითხოვს სოციალური უზრუნველყოფის ყველა ორგანოს, ყოველი მუშაკის მუშაობის სრულყოფასა და გარდაქმნას, ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოფხვრას.

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სისტემის მუშაკები საამისოდ მზად არიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელწერის სასამართლო ექსპერტიზა მართლმსაჯულების სამსახურში

თინა ანდრიაშვილი,

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ცენტრალური რესპუბლიკური სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიის განყოფილების უფროსი

სკკპ XXVII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებში ჯეროვანი ადგილი უკავია სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცების საკვანძო საკითხებს. სამართალდაცვით ორგანოებს პარტია ავალებს სახელმწიფო დოვლათის მტკიცედ დაცვას, დამტაცებლების, მექრთამეების, მომხვეჭელებისა და სხვა ჯურის დამნაშავეთა დროულად გამოვლენას და საკადრისად დასჯას.

დანაშულთან ბრძოლის საქმეში განუზომლად დიდი როლი ენიჭება სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვას კრიმინალისტიკაში და მათ გამოყენებას პრაქტიკაში.

სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეთა გამოკვლევა-განხილვის დროს, ამა თუ იმ კონკრეტული საკითხის სრულყოფილად გადაწყვეტისათვის ხშირ შემთხვევაში აუცილებელია სპეციალური ცოდნა, პროფესიულ დონეზე სასამართლო ექსპერტიზის ჩატარება. ჭეშმარიტების დასადგენად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება კრიმინალისტიკურ ექსპერტიზას.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტიზის მრავალ სახეობათა შორის ყველაზე უფრო გავრცელებულია ხელწერის სასამართლო ექსპერტიზა და, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ამ სახეობის ექსპერტიზა შეიცავს მნიშვნელოვან ფაქტობრივ მონაცემებს სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სამოქალაქო საქმეების განხილვის დროს.

გავიხსენოთ რესპუბლიკაში საკმაოდ გახმაურებული სისხლის სამართლის საქმე შამპანურ-ღვინოების ქარხანაში სახელმწიფო ქონების დიდი ოდენობით დატაცების შესახებ, რომლის გამოძიება-განხილვის დროს დიდი როლი ითამაშა ხელწერის სასამართლო ექსპერტიზის დასკვნებმა. ძალიან ბევრ საბუთზე დადგინდა ციფრობრივი და ტექსტობრივი ჩანაწერებისა და ხელმოწერების სინამდვილე.

მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება საექსპერტო პრაქტიკიდან, როცა დამნაშავენი გამოვლინდნენ დროული და ხარისხიანი ექსპერტიზის ჩატარების წყალობით. მაიაკოვსკის რაიონის სოფ. ფერსათში მცხოვრები მოქალაქე ი. ჯ. სისტემატურად იღებდა უსახელო წერილებს, რითაც ბოროტმოქმედი ემუქრებოდა ავტომანქანის განადგურებით და სიცოცხლის მოსპობით, თუ დასახელებულ ადგილზე ფულს არ დადებდა ქვის ქვეშ. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ჩატარდა ხელწერის სასამართლო ექსპერტიზა და გაიცა კატეგორიული დასკვნა, რომ მუქარის წერილები შესრულებულია თ. ს. მიერ. ამასთან დაკავშირებით მაიაკოვსკის რაიონის პროკურატურიდან მივიღეთ წერილი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც ნათქვამია: „დასკვნა ზუსტად დაემთხვა საქმეში არსებულ სხვა მასალებს. ექსპერტიზის დასკვნამ გადამწყვეტი როლი შეასრულა ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის საქმეში. ეჭვმიტანილები უარყოფდნენ მათ მიერ ჩადენილ დანაშაულს, ხოლო დასკვნის გაცნობის შემდეგ, მოლიანად აღიარეს ჩადენილი დანაშაული.

სისტემატიურად იზრდება ხელწერის სასამართლო ექსპერტიზის წინაშე გადასაწყვეტად დასმული საკითხების რაოდენობა. მაგალითად, 1983 წელს ექსპერტის წინაშე გადასაწყვეტად დასმულ საკითხებზე 3963 კატეგორიული პასუხი გაიცა, 1984 წელს — 6720 საკითხზე, ხოლო 1985 წელს — 9267 საკითხზე. აქვე უნდა ითქვას, რომ ექსპერტების წინაშე გადასაწყვეტად დასმულ საკითხებზე ყოველთვის როდია შესაძლებელი კატეგორიული ფორმით პასუხის გაცემა, რადგან ექსპერტიზის დასკვნების ეფექტიანობა და ხარისხი ბევრად არის დამოკიდებული თვით გამოსაკვლევ ობიექტზე და საექსპერტო მასალის სრულყოფილებაზე.

საექსპერტო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ექსპერტიზის ჩასატარებლად არასრულყოფილად წარმოდგენილი მასალა საქმის შეჩერების საბაბი გამხდარა დამატებითი მასალის (ნიმუშების) წარმოდგენამდე, რაც იწვევს საქმის გაჭიანურებას (საგამოძიებო და სასამართლო ვადის დარღვევას) და ზოგიერთ შემთხვევაში, საქმის შეუსრულებელი სახით დაბრუნებას. მაგალითად, ხელწერის სასამართლო ექსპერტიზის ჩასატარებლად შემოვიდა სამოქალაქო საქმე სახელმწიფო სანოტარო კანტორასთან ანდერძის ბათილად ცნობის შესახებ. საექსპერტო მასალის შესწავლის შემდეგ გამოირკვა, რომ საქმეში იყო ორი ანდერძი (შედგენილი სხვადასხვა წლებში), ერთი დამოწმებული შინაურული წესით, მეორე სანოტარო წესით. განჩინებაში არაფერი იყო ნათქვამი, თუ რომელ ანდერძზე აინტერესებდა სასამართლოს ხელმოწერის გამოკვლევა. წარმოდგენილი იყო მხოლოდ ერთი ნიმუში და ისიც შედარებითი კვლევისათვის გამოუსადეგარი (გამოსაკვლევ ხელმოწერასა და ნიმუშს შორის დროის შუალედი იყო 28 წელი). საქმე შეჩერდა, გაიგზავნა წერილი, სადაც დეტალურად იყო მითითებული ყველა იმ საჭირო მასალის თაობაზე, რაც აუცილებელია ხელწერის სასამართლო ექსპერტიზის სრულყოფილად ჩატარებისათვის. წერილში მითითებული ვადა ამოიწურა და საქმე დაბრუნდა შეუსრულებელი სახით. აღნიშნული საქმე განმეორებით შემოვიდა კვლავ არასრულყოფილად. ბოლოს, როგორც იქნა მივაღწიეთ, რომ შედარებით სრულყოფილი მასალა მიგვეღო, ჩატარდა ექსპერტიზა და გაიცა სათანადო დასკვნა.

აქედან ცხადად ჩანს, რომ ხელწერის სასამართლო ექსპერტიზის სრულყოფილად ჩატარებისათვის საჭიროა სასამართლო-საგამოძიებო ორგანოებმა გაითვალისწინონ, რომ დადგენილებაში (განჩინებაში) ექსპერტების წინაშე გადასაწყვეტად დასმული საკითხი კონკრეტულად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, ე. ი. რის დადგენა სურთ, აგრეთვე ზუსტად მიუთითონ, თუ რომელი საბუთია გამოსაკვლევი, სად არის განლაგებული გამოსაკვლევი ხელმოწერები და ა. შ. ამასთან, თუ გამოსაკვლევია არა მთლიანი ტექსტი, არამედ რომელიმე ფრაგმენტი (ფრაგმენტები), მინაწერი, თარიღი და სხვ., ყოველივე ამის შესახებ უნდა მიეთითოს ზუსტად. თუ ხელმოწერა შესრულებულია გამოგონილი პირის მიერ, აღნიშნული უნდა იყოს დადგენილებაში (განჩინებაში). გამოსაკვლევად უნდა წარმოადგინონ საბუთის დედანი, თუ არსებობს საბუთის რამდენიმე ეგზემპლარი, აუცილებელია პირველი პირის წარმოდგენა. ექსპერტიზა ფოტო-

პირზე შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, ე. ი. თუ საბუთის დედანი განადგურებულია, ან ხელმოწერა (ჩანაწერი) შესრულებულია უჩვეულო საგანზე — კედელზე, გვამზე და ა. შ. ამის შესახებ, ცხადია, ნათქვამი უნდა იყოს დადგენილებაში (განჩინებაში).

გამოსაკვლევ საბუთებს თან უნდა ახლდეს ეჭვმიტანილი პირის (პირთა) ხელწერის (ხელმოწერის) სამი სახის ნიმუში:

თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ნ ი მ უ შ ე ბ ი — ხელნაწერი ტექსტები (ხელმოწერები), რომლებიც შესრულებულია იმ საქმის დამოუკიდებლად, რომელზეც ტარდება ექსპერტიზა, ე. ი. ამ ტექსტების (ხელმოწერების) შემსრულებელ პირს არ შეეძლო გაეთვალისწინებინა, რომ მის მიერ შესრულებული ხელნაწერები (ხელმოწერები) საჭირო გახდებოდა შედარებითი კვლევისათვის (პირადი და სამსახურებრივი მიმოწერები, ჩანაწერები და ა. შ.). თავისუფალი ნიმუშების შერჩევისას უნდა შემოწმდეს მათი ნამდვილობა, ე .ი. უნდა დადგინდეს ხელნაწერები ნამდვილად იმ პირს ეკუთვნის თუ არა.

ე ქ ს პ ე რ ი მ ე ნ ტ უ ლ ი ნ ი მ უ შ ე ბ ი — ხელნაწერი ტექსტები (ხელმოწერები), რომლებიც სრულდება გამომძიებლის (მოსამართლის) მითითებით სპეციალურად ექსპერტიზის ჩასატარებლად.

იმ შემთხვევაში თუ გამოსაკვლევი ხელნაწერი შესრულებულია ბეჭდვით შრიფტზე მიმსგავსებით ან მარცხენა ხელით, მაშინ ეჭვმიტანილ პირს ხელნაწერის ნიმუშები უნდა ჩამოერთვას ბეჭდვით შრიფტზე მიმსგავსებით ან მარცხენა ხელით, (შესაბამისად გამოსაკვლევი ხელნაწერისა). ცხადია, არ უნდა მივცეთ საშუალება, რათა გადაიწეროს გამოსაკვლევი ტექსტიდან.

პ ი რ ო ბ ი თ ა დ თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ნ ი მ უ შ ე ბ ი — ხელნაწერები (ხელმოწერები), რომლებიც შესრულებულია იმ საქმესთან დაკავშირებით, რომელზეც ტარდება ექსპერტიზა. (ახსნა-განმარტებები, განცხადებები, საჩივრები და ა. შ.).

საერთოდ, ნიმუშების წარმოდგენისას საჭიროა გაითვალისწინონ, რომ რაც უფრო მცირეა გამოსაკვლევი ჩანაწერები, მით მეტი ნიმუშების წარმოდგენაა საჭირო.

ციფრობრივი ჩანაწერების გამოკვლევების შემთხვევაში, აუცილებელია თავისუფალი ნიმუშები წარმოვადგინოთ ტექსტების სახით, რომლებიც შეიცავენ აგრეთვე ციფრობრივ ჩანაწერებსაც. სასურველია, რომ ციფრობრივი ჩანაწერები და ხელმოწერები ანალოგიურად შესრულებული იყოს იმდაგვარ საბუთებზე, როგორიც გამოსაკვლევი საბუთებია.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თავისუფალი ხელმოწერის ნიმუშების ამოღებას, ისინი უნდა შეიცავდეს ყველა ვარიანტის ხელმოწერებს, რომლებსაც ფლობს პირი (ხელმოწერები ინიციალებით, მათ გარეშე, მთლიანი, შემოკლებით და ა. შ.). უნდა შეირჩეს მიახლოებით ისეთი ტრანსკრიფციის, როგორიც არის გამოსაკვლევი ხელმოწერა.

განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნის დროს წარმოდგენილი უნდა იყოს პირველადი ექსპერტიზის დასკვნა და ყველა ის მასალა, რომელიც გამოყენებული იყო პირველადი ექსპერტიზის ჩატარებისას, რათა ექსპერტს საშუალება ჰქონდეს იმსჯელოს იმის შესახებ, თუ რის შედეგად გაკეთდა პირველი დასკვნა. ეს განსაკუთრებით საჭიროა მაშინ, თუ განმეორებითი დასკვნა პირველის საწინააღმდეგოა, რაც საექსპერტო პრაქტიკაში, მართალია, იშვიათია, მაგრამ არ არის გამორიცხული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველივე ამის გათვალისწინებით, სასამართლო-საგამოძიებო ორგანოებს საშუალება ექნებათ უფრო ფართოდ ისარგებლონ ხელწერის სასამართლო ექსპერტიზის დასკვნებით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარდა ტრადიციული მეთოდიკებისა, საექსპერტო პრაქტიკაში დამუშავებული და დანერგილია:

1. განგებ შეცვლილი ხელის ფაქტის დადგენის მოდიფიცირებული მეთოდიკა;

2. სწრაფ ტემპში (გაკრული ხელით) ჩვეული და განგებ შეცვლილი ხელით შესრულებული, საშუალო და დიდი ზომის ტექსტების ხელწერის სასამართლო ამოცანების გადაწყვეტის კომპლექსური მეთოდიკა;

3. ხელწერის სასამართლო დიაგნოსტიკურ ამოცანათა გადაწყვეტის მეთოდიკა;

4. ხანში შესულ და მოხუცებულობის ასაკის პირთა ხელმოწერების კრიმინალისტიკური გამოკვლევის მეთოდიკა;

5. ხელნაწერი ტექსტის შემსრულებელი პირის სქესის დადგენა;

6. ჩვეული და წინასწარი ვარჯიშის შედეგად მიმსგავსებით შესრულებული ხელმოწერების დიფერენციაცია.

ჩამოთვლილი მეთოდიკების გამოყენება საექსპერტო პრაქტიკაში დასაშვებია მხოლოდ მათთვის აუცილებელ (შესაბამის) მოთხოვნილებათა გათვალისწინებით.

სტატისტიკის მიხედვით, ხელწერის გამოკვლევების განყოფილებაში, ექსპერტიზების 70 პროცენტი ტარდება ქართულად შესრულებულ ტექსტებზე და ხელმოწერებზე.

დღეისათვის საქართველოში ხელწერის სასამართლო ექსპერტიზის მდგომარეობა დამოკიდებულია ხელწერის სასამართლო ექსპერტიზის თეორიისა და მეთოდიკების მიღწევების დონეზე, ცხადია, ქართული დამწერლობისათვის დამახასიათებელი სპეციფიკის გათვალისწინებით. ამასთან დაკავშირებით საჭიროა დღეისათვის არსებული დებულება, რომელიც შემუშავებულია ქართველი კრიმინალისტების მიერ, განახლდეს და შეივსოს ახალი მონაცემებით, კერძოდ, ეს ეხება წერითი დეტალიზაციის პრინციპის შემუშავებას, ხელწერისა და ხელმოწერების გამოკვლევების ტრადიციული და არატრადიციული — მოდიფიცირებული მეთოდიკების შემუშავებას, ქართულ ენაზე შესრულებული ხელნაწერების კრიმინალისტიკური გამოკვლევებისათვის დამოუკიდებელი მეთოდური სახელმძღვანელოს შედგენას. ამ მიმართებით დღეისათვის საკმაოდ სერიოზული ნაბიჯია გადადგმული, კერძოდ, დამუშავებულია სამეცნიერო თემა: **«Развитие теоретических основ, разработка новых и совершенствование имеющихся методик и методов судебно-почерковедческой экспертизы рукописей выполненных на грузинском языке».**

შედგენილია მეტად საინტერესო ალბომი — „ქართული ანბანის მიხედვით წერითი ნიშნების (ასოების) ელემენტებად და ნაწილებად დაყოფა“.

ხელწერის გამოკვლევების განყოფილებას გარკვეული წვლილი შეაქვს აგრეთვე ისტორიული საბუთების გამოკვლევებშიც. მაგალითად, „საბჭოთა სამართლის“ რედაქციამ გამოგვიგზავნა ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის საოფთიაქო ქსელიდან შემოსული მასალები, როგორც ამ მასალის შესწავლამ ცხადყო, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერული ექსპედიციის წევრებმა აღმოაჩინეს უნიკალური ქართული სამედიცინო ყარაბადინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ხელნაწერი), რომლის ავტორად მიჩნეულია ზაზა ფანასკერტელი. მეცნიერების მიერ კარაბადინის შესწავლისას საეჭვო გახდა, რომ ყველა ფურცელი არ უნდა იყოს გადაწერილი ერთი და იგივე პირის მიერ. საქართველოს წამალთმცოდნეობის ისტორიის შესწავლით დაინტერესებულ პირთათვის კი ფრიად მნიშვნელოვანი იყო, გარკვეულიყვნენ, თუ ვისი ხელით არის გადაწერილი კარაბადინის ნაწილი ფურცლები. ამასთან დაკავშირებით მათ საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის დედნების ფონდიდან ამოიღეს საბუთი მეფეთმეფე კონსტანტინე ბაგრატიონის მიერ 1491 წელს გაცემული „ფანიაშვილების გუჯარი", რომელიც დაწერილი ყოფილა მცხეთის სვეტიცხოვლის ჭადაგის მახარებელი — მაღალაძის მიერ. კვლევით უნდა დადგენილიყო, წარმოდგენილი საბუთების ხელნაწერი ტექსტები შესრულებულია თუ არა ერთი და იგივე პირის მიერ.

ექსპერტების წინაშე ძალზე რთული ამოცანა იდგა, რადგან საბუთები, სიძველის გამო, არ იკითხებოდა და დაკარგული იყო წერითი ნიშნების ნაწილი, ამის გარდა, დედნების ნახვა ვერ მოხერხდა და ხელთ გვქონდა მხოლოდ ფოტოპირები. მიუხედავად ამისა, ყველაფერი ვიღონეთ, რათა შედარებითი კვლევა სრულყოფილად ჩატარებულიყო და დადებით შედეგსაც მივაღწიეთ: გაიცა კატეგორიული დასკვნა, რომ ქართული სამედიცინო კარაბადინის 177ე- რექტო გვერდის ხელნაწერი ტექსტი და 1491 წელს გაცემული „ფანიაშვილების გუჯარის" ხელნაწერი ტექსტი შესრულებულია ერთი და იგივე პირის მიერ.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტიდან მივიღეთ ისტორიული საბუთების ფოტოპირები: აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული სიმონ მეფის მიერ გიორგი სააკაძისათვის ლისის ბოძების წიგნი და მეფე გიორგი მეათის მიერ გაცემული საბუთი. უნდა დაგვედგინა მითითებულ საბუთებზე სიმონ პირველისა და გიორგი მეათის ხელმოწერების სინამდვილე, რადგან დავას იწვევდა ის, რომ თითქოს სიმონ მეფის 1594 წლის 10 აგვისტოს ლისის ბოძების წიგნი არ იყო გაცემული გიორგი სააკაძისათვის. ამასთან, არსებობდა აზრი, რომ საბუთები გადაწერილი იყო შეცვლილი სახით.

შედარებითი კვლევისათვის ხელთ გვქონდა სიმონ პირველისა და გიორგი მეათის სხვადასხვა ისტორიულ საბუთებზე არსებული ხელმოწერის ნიმუშების ფოტოპირები. ექსპერტები კვლავ სიძნელეების წინაშე აღმოჩდნენ. საქმეს ისიც ართულებდა, რომ გამოსაკვლევად წარმოდგენილი ხელმოწერები, ტექსტთან შედარებით, მცირე გრაფიკულ მასალას შეიცავდნენ.

ერთი შეხედვით, გამოსაკვლევი ხელმოწერები საერთო აგებულებით შესრულებული უნდა ყოფილიყო ერთი და იგივე პირის მიერ, მაგრამ ამ საბუთების გულმოდგინე დამუშავებითა და შესწავლით დადგინდა, რომ გამოსაკვლევ ხელმოწერებზე, ნიმუშებიდან განსხვავებით, აღინიშნებოდა არათანაბარი მოძრაობა, უსაფუძვლო შეჩერებები, განსხვავება იყო ხელრთვის კონფიგურაციაში, მიმართულებაში, მოძრაობის რაოდენობაში და სხვა კერძო ნიშნებში. ამის საფუძველზე გაიცა კატეგორიული დასკვნა, რომ გამოსარკვევი ხელმოწერები და ხელმოწერის ნიმუშები შესრულებული იყო სხვადასხვა პირის მიერ.

აღნიშნული ფაქტები ერთხელ კიდევ მიუთითებს, რომ ხელწერის სასამართლო ესპერტიზას ვრცელი სამოქმედო ასპარეზი გააჩნია და იგი მთელი სისრულით უნდა ჩავაყენოთ ხალხის სამსახურში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაისაჯნენ კანონის შესაბამისად

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებამ, „უშრომელი შემოსავლის მიღების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“, ადმინისტრაციული ორგანოების წინაშე კიდევ უფრო გაზრდილი ამოცანები დააყენა. შეურიგებელი ბრძოლა გამოეცხადა სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ქონების წვრილმან დატაცებებს, სპეკულაციას, მომხვეჭელობას. ძველებური სიამაყე აღარ ეტყობათ უშრომელი შემოსავლით გამდიდრების მოსურნეთ. კანონის მძლავრი ძალა დღეს ყველგან იბრძოლებს: ფაბრიკებშიც, ქარხნებშიც, კოლმეურნეობებშიც, სავაჭრო დაწესებულებებშიც, ქუჩებშიც და მოედნებზეც. საბჭოთა ადამიანები ერთსულოვნად იწონებენ პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებს და თვითონ იძლევიან პატიოსანი, მართალი შრომის მაგალითებს.

უშრომელი შემოსავლის მაძიებლებთან ბრძოლა ამჟამად გამძაფრებულია თორემ იგი მთლად ახალიც არ არის. ამგვარი ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებები ყოველთვის ითვლებოდა დანაშაულად და მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში სათანადო მუხლებითაც არის დაკვალიფიცირებული. სასამართლო პრაქტიკაში ბევრი მაგალითი გვაქვს, როცა მკაცრად და კანონიერად დაისაჯნენ წვრილმანი დამტაცებლები, ქურდ-გაცაცები, სპეკულანტები, მომხვეჭელები, ათასი ჯურის გამომძალველები, ისინი, ვინც თალლითობით, სხვადასხვა მაქინაციებითა და კომბინაციებით ცდილობენ გამდიდრებას.

ერთ-ერთი ასეთი დანაშაულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 91-ე მუხლი — სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცება ჩადენილი ქურდობით — რასაც ხშირად ვხვდებით სასამართლო პრაქტიკაში.

დღეს მკითხველებს გავაცნობთ ორ ასეთ დამნაშავეს თბილისის საქარხნო რაიონის სახალხო სასამართლოში განხილული საქმეებიდან.

* * *

თბილისის ერთ-ერთი სპეციალიზებული სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს დამწმარე საწარმოს სადურგლო საამქროს ბრიგადირი, შაქრო რევაზის ძე ბალახაძე, შენიდების შემდეგაც არ ტოვებდა ხოლმე სახელოსნოს. ერთი შეხედვით აქ ცუდი რა უნდა იყოს, მუშა კაცი სადურგლო დაზგასთან იდგა და ოთახის კარ-ფანჯრებს, ჩარჩოებს ამზადებდა. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით იყო, თორემ შაქრო ბალახაძე წარმოების გეგმის შესასრულებლად კი არ ირჯებოდა, არამედ პირად გარგებებს ასრულებდა მხოლოდ.

აი ჩემი ხელები, ნახეთ რას მიგავს იგი, ნაღდი მუშა კაცის ხელები მაქვს, ნაჯაფი და დაკოჟრილი — იტყოდა ხოლმე ხშირად სხვათა თვალის ასახვევად თორემ, ანგარების გარეშე ერთხელაც არ მოუქნევია ჩაქუჩი.

ასპარეზი კი ფართო ჰქონდა. მისთვის მუქთა იყო დაზგა-იარაღები და ელექტრო ენერგია, წარმოების ეზოში ბლომად ელაგა ფიჭვის მასალა, უცხოდაც არავინ თვლიდა ამ არე-მარეში და გვიანობამდე ხმაურობდა ხერხი, იჭედებოდა ლურსმანი, ხვავდებოდა გარანდული ფიცრები, ჩარჩოები და კარ-ფანჯრები.

მუშტარიც ბლომად ჰყავდა ბალახაძეს. საიდან აღარ აკითხავდნენ გაჭირვებული ადამიანები. ისიც ღიმილით და მაცდური წუწუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნით ხვდებოდა მოსულებს, ათასნაირად უხლართავდა გზებს, ყველაფერს ართულებდა, აძვირებდა მასალას, ვიღაც-ვიღაცეებსაც აბრალებდა გაჭირვებას და უსირცხვილო ფასს ადებდა თავის ნახელავს.

ამგვარ ჩარჩ-ვაჭრობაში გადიოდა დღეები. შაქრო კმაყოფილი იყო თავისი ბედით. ამ მილეთ ხალხში გულუბრყვილონიც ბევრნი იყვნენ და ბედოვლათებიც. ისინი არაფრად დაგიდევდნენ ფასს, არაფერს კითხულობდნენ და უსიტყვოდ იხდიდნენ იოლად ნაშოვნ ფულს.

ასე ცხოვრობდა ბრიგადირი დიდხანს. არც თუ ურიგოდ გრძნობდა თავს და თანამეინახეებიც ბლომად ჰყავდა, მაგრამ ერთ დღეს, სწორედ მაშინ წაადგნენ თავს თბილისის საქარხნო რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკები, როდესაც ვინმე ხიდაშელს სხვადასხვა ზომის კარ-ფანჯრების დამზადებისათვის 182 მანეთის და 72 კაპიკის ნაცვლად 1600 მანეთი გამოართვა. სადღა დაიმალებოდა ბრიგადირი, ფული ჯიბეში ედო, დამზადებული კარ-ფანჯრები კი იქვე ელაგა.

და აღიძრა სისხლის სამართლის საქმე შაქრო ბალახაძის დანაშაულის გამო. გამოძიებამ მისი ქმედობა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 91-ე მუხლით დაკვალიფიცირა. სახალხო სასამართლომ (მოსამართლე თ. ნამიჭეიშვილი) მკაცრად იმსჯელა მომხდარი ფაქტის შესახებ და სახელმწიფო ქონების ქურდობისათვის ბრიგადირს საკადრისი მიუზღო.

იხდის ახლა სასჯელს მუშა კაცის სახელს ამოფარებული შაქრო ბალახაძე და ნანობს თავის საქციელს, რომ საქვეყნოდ შერცხვა, ჩირქი მოსცხო ოჯახს, პატარა შვილებს, რომლებმაც მამა კიდევ უფრო მკაცრი სასჯელისაგან იხსნეს.

* * *

მგლის თავზე სახარების კითხვა იყო მარია ვასილის ასულ მორჩაძისათვის ყველას რჩევა, ვინც კი მას პატიოსანი შრომისაკენ მოუწოდებდა. არც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობამ გაჭრა მასზე და არც ახლობელთა შეგონებამ. ახალგაზრდა ქალს ქურდობისათვის ჯერ სოხუმის სახალხო სასამართლომ მიუსაჯა ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა 1974 წელს, ხოლო პატიმრობიდან ამნისტიით ვადაზე ადრე განთავისუფლებული მალე ისევ ხელმეორედ აღმოჩნდა შრომა-გასწორებით დაწესებულებაში. გამოუსწორებელი დამნაშავე, უკვე ჩამოყალიბებული ქურდი ქალი, მართალია ტყიბულში, გურამიშვილის ქუჩაზე ცხოვრობდა, მაგრამ არაფრად აგდებდა კანონს და უმისამართოდ დახეტიალობდა ქალაქიდან ქალაქში. უბრალო შემთხვევა კმაროდა მისთვის და წაეპოტინებოდა ყველაფერს, რაზედაც კი ხელი მიუწვდებოდა. გზასაცდენილი ქალი მხოლოდ უპატიოსნო ხალხთან მეგობრობდა და თვითონაც არ იცოდა სად უღამდებოდა ან უთენდებოდა.

ასე აღმოჩნდა იგი ერთხელ, შუაღამისას, მარტოდ-მარტო ვარკეთილის მასივში. ზემო პლატოზე, „თბილმრეწვავჭრობის“ 48-ე მაღაზიასთან რომ შეჩერდა, უმალ ჩვეულმა აზრმა გაუელვა თავში. ირგვლივ კაცის ჭაჭანება არ იყო და საკმაოდაც ბნელოდა. იმედი მიეცა, მოზრდილი ქვის ერთი მოქნევით ჩაამტვრია მაღაზიის ვიტრინა და შიგ მოხერხებულად გადაძვრა. დახლები სავსე იყო და კმაყოფილმა მოათვალიერა იქაურობა. მერე სწრაფად მოაქუჩა ნადავლი, შავი ფერის 80 მანეთიანი ქურთუკი, 24 მანეთად ღირებული, საცურაო კოსტუმი, ქალის ქოშები და გარეთ გამოსვლაც დააპირა, მაგრამ სწორედ მაშინ წაადგნენ თავზე. თბილისის საქარხნო რაიონის არასაუწყებო დაცვის მუშაკებმა შემთხვევის ადგილზე დაიკავეს დამნაშავე.

პროფესიონალი ქურდი სასამართლოზეც ვერ გაექცა მტკიცებებს, აღიარა დანაშაული და სრულიად დამსახურებული სასჯელი მიიღო. მოსამართლე რ. ნადირაძემ გზასაცდენილ ქალს მესამედ ჩადენილი ქურდობისათვის 8 წლით აღუკვეთა თავისუფლება და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლით განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად იცნო. დამნაშავე სასჯელს მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოიხდის.

ანგი არსენაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო მსაჯულთა სამაგიდო წიგნი

ქართველმა მსაჯულებმა კარგი საჩუქარი მიიღეს. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა ალექსანდრე შუშანაშვილის „სახალხო მსაჯულის წიგნი“, რომელიც ყველა სახალხო მსაჯულის სამაგიდო წიგნი უნდა იყოს.

სახალხო მსაჯულები, ჩვენი საზოგადოებრიობის ღირსეული წარმომადგენლები, სრულუფლებიანი მოსამართლეები არიან და თავისი ცხოვრებისეული თუ პროფესიული გამოცდილების საფუძველზე წყვეტენ ადამიანთა ბედს, უზრუნველყოფენ მართლმსაჯულების ზუსტ განხორციელებას. ამიტომაც გასაგებია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათთან სისტემატურ მუშაობას, რათა უფრო მეტად ამაღლდეს სახალხო მსაჯულის სამართლებრივი ცოდნის დონე. ამ მუშაობის ახალი მეთოდებისა და ფორმების ძიებაში, მათი სამართლებრივი კულტურისა და მართლშეგნების შემდგომ განვითარებაში, ცხადია, მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია სახალხო მსაჯულის წიგნს.

სარეცენზიო ნაშრომი წარმოადგენს მსაჯულთათვის საბჭოთა კანონმდებლობის ძირითადი დარგებისა და ინსტიტუტების განხილვის, სამართალდამცავი ორგანოების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის ძირითადი პრინციპების გადმოცემის, საბჭოთა სოციალისტური მართლმსაჯულების დემოკრატიული ბუნების, მისი განხორციელების წესისა და გარანტიების შესწავლის პირველ ცდას ქართულ ენაზე.

წიგნი, რომელიც ათი თავისაგან შედგება, მოკლე, მაგრამ მეტად საჭირო ინფორმაციას შეიცავს მართლმსაჯულების განხორციელებისას წამოჭრილი სამართლებრივი საკითხების სწორი გაგებისა და გადაწყვეტისათვის.

პირველ თავში, რომლის სათაურია „სახალხო მსაჯული“, ავტორი განიხილავს სახალხო მსაჯულთა უფლებამოსილების საკითხებს. მასში გადმოცემულია ცოტა რამ სახალხო მსაჯულთა ინსტიტუტის განვითარების ისტორიიდან, ასევე სახალხო მსაჯულისა და მოსამართლის საქმიანობის იურიდიული ბუნების, მათი სამართლებრივი ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. ამასთან, ავტორი გამოთქვამს თავის მოსაზრებას თანამედროვე პირობებში სახალხო მსაჯულთა აქტიურობის ამაღლების გზებსა და საშუალებებზე და ხაზს უსვამს მათი სამართლებრივი სწავლების სწორი ორგანიზაციის მნიშვნელობას. აქვეა მოკლე ექსკურსი ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ბუნებაზე. პირველ თავშივე ადგილი ეთმობა სახალხო მსაჯულთა საბჭოს, როგორც მსაჯულთა საქმიანობის უკეთ ორგანიზაციის ერთ-ერთ ფორმას.

აღსანიშნავია, რომ ამომრჩევლების წინაშე სახალხო მსაჯულთა ანგარიშგება საკანონმდებლო წესით პირველად სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუციით არის დადგენილი. სახალხო სასამართლოს მსაჯულები ანგარიშს აბარებენ იმ კოლექტივს, რომელმაც ისინი აირჩია, ხოლო ზემდგომი სასამართლოების სახალხო მსაჯულები კი ანგარიშვალდებულნი არიან მათი ამრჩეველი საბჭოს წინაშე. ეს კი თავისთავად გულისხმობს ამომრჩეველთა უფლებას მათ ვადამდე გაწვევაზე, რაც ასევე საკანონმდებლო წესით არის რეგულირებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ 1981 წლის 25 ნოემბერს მიღებული კანონით. ამ საკითხებსა და მსაჯულთა საქმიანობის სრულყოფის გზებს ნაშრომში სათანადო ადგილი აქვს დათმობილი.

ნაშრომის მეორე თავში გადმოცემულია საბჭოთა სოციალისტური მართლმსაჯულების ცნება, ამოცანები და მისი განხორციელების კონსტიტუციური პრინციპები, როგორიცაა მაგალითად, მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ სასამართლოს მიერ, მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულების არჩევითობა, მათი დამოუკიდებლობა და და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მორჩილება მხოლოდ კანონისადმი და სხვა. აქ ავტორი გასაგები ენით, მოკლედ მოგვითხრობს არაბრალეულობის პრეზუმფციის შესახებ და განსაკუთრებით უსვამს ხაზს, რომ ეს პრინციპი ზოგადი ლოზუნგი როდია, იგი კონკრეტული სამართლებრივი დებულებაა, რომელიც საფუძვლად უდევს საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების მთელ საქმიანობას, განსაზღვრავს მათი მუშაობის სტილსა და მეთოდებს, ბრალდებულის სამართლებრივ სტატუსსა და მდგომარეობას.

მეორე თავი მთავრდება ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებში მოცემული სოციალისტური სამართლის, საბჭოთა სასამართლოს შექმნისა და მართლმსაჯულების განხორციელების ფუძემდებლური დებულებებით. აქვეა ნათქვამი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თანმიმდევრულ პოზიციაზე, რომელიც სოციალისტური კანონიერების განმტკიცების კანონმდებლობის სრულყოფას და სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესებას გულისხმობს.

ნაშრომის პირველი ორი თავი საბჭოთა მართლმსაჯულების უფრო ზოგად დებულებებს შეიცავს, მესამე თავიდან კი კონკრეტულად განიხილება საბჭოთა სასამართლის სხვადასხვა დარგების ძირითადი დებულებები.

წიგნში, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, გადმოცემულია როგორც სამართალდამცავი სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სტრუქტურა (სასამართლო, პროკურატურა, ადვოკატურა, არბიტრაჟი და სხვა), ასევე სისხლისა და სამოქალაქო სამართალწარმოების საფუძვლები.

ავტორი მსაჯულებს აცნობს საბჭოთა სისხლის სამართლის ძირითად დებულებებს, გადმოსცემს დანაშაულის და სასჯელის ცნებებს, იმ გარემოებებს, რომლებიც გამორიცხავენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, სასჯელისაგან განთავისუფლების სხვადასხვა პირობებს და ა. შ. აქვე ასახულია სისხლის სამართლის განსაკუთრებულ ნაწილში გათვალისწინებული ისეთი დანაშაულები, რომლებიც, ავტორის აზრით, ჩვენი საზოგადოებისათვის მაღალი საშიშროების მქონეა და უფრო გავრცელებული.

სამოქალაქო კანონმდებლობის განხილვისას ავტორი ჩერდება საკუთრების სამართალზე, განიხილავს ვალდებულებითი სამართლის მნიშვნელოვან საკითხებს, ასევე მემკვიდრეობით სამართალს. ნაშრომში საკმაო ადგილი აქვს დათმობილი საბინაო კანონმდებლობასაც, სადაც გადმოცემულია ის ძირითადი დებულებები, რომელთა ცოდნაც სავალდებულოა სახალხო მსაჯულებისათვის საბინაო ურთიერთობათა სფეროში წამოჭრილ დავათა გადასაწყვეტად. მსაჯულებისათვის ასევე მნიშვნელოვანია შრომის კანონმდებლობის საფუძვლების ცოდნა, რაც თავის ასახვას პოულობს კიდეც ნაშრომში. და ბოლოს, სახალხო მსაჯულის წიგნი მთავრდება საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობის სფეროში ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტების განხილვით, როგორიცაა ქორწინება, ოჯახი, მეურვეობა და მზრუნველობა.

ამ მართლაც დიდი სარგებლობის მომტან წიგნზე მხოლოდ ზოგიერთი მცირე შენიშვნა მინდა გამოვთქვა. ეს პირველ რიგში ეხება მსაჯულის წიგნის სტრუქტურას. ჩემის აზრით, უკეთესი იქნებოდა, რომ წიგნი დაწყებულიყო თავით საბჭოთა სოციალისტური მართლმსაჯულების შესახებ, ხოლო შემდეგ კი სახალხო მსაჯულის ინიციატივაზე ყოფილიყო საუბარი. ეს იმით იქნებოდა გამართლებული, რომ ავტორი ჯერ ზოგადად განიხილავდა საბჭოთა მართლმსაჯულების კონსტიტუციურ პრინციპებს, რომელშიც ერთ-ერთი ძირითადია სწორედ სახალხო მსაჯულთა მონაწილეობის პრინციპი სისხლისა და სამოქალაქო სამართალწარმოებაში და შემდეგ კი დაწვრილებით გადმოსცემდა სახალხო მსაჯულთა უფლებამოსილებას, როგორც ამ პრინციპის განხორციელების გარანტიას.

და კიდევ ერთი: წიგნის სტრუქტურის სრულყოფის თვალსაზრისით 231-ე გვერდზე, მეცხრე პარაგრაფში, რომელიც „სხვა დანაშაულების" სახელწოდებას ატარებს, ავტორს აქვს მცირედი შენიშვნა. იგი წინ უძღვის სხვა დანაშაულების განხილვას, სადაც ავტორი ასაბუთებს, თუ რატომ ვერ ჩათვალა შესაძლებლად ზოგიერთ დანაშაულთა ჯგუფის, თუ კონკრეტული დანაშაულის განხილვა. ვფიქრობთ, რომ ეს დათქმა ავტორს იქ უნდა მოეთავსებინა, სადაც იგი იწყებდა სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის განხილვას (გვ. 209).

გასაგებია, რომ წიგნის ფორმატის სიმცირის გამო, ავტორი ვერ შეძლებდა ყველა დანაშაულის განხილვას, თუ გნებავთ, ჩამოთვლასაც კი, მაგრამ ალბათ აუცილებელი იყო, რომ სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის სისტემა, მისი გვარეობითი ობიექტის გათვალისწინებით მაინც ყოფილიყო გადმოცემული. ამით, თავიდან ავიცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებდით ზოგიერთ მნიშვნელოვან დანაშაულთა ჯგუფის უგულებელყოფას.

აქვე მინდა შევნიშნო, რომ ქვეთავში, „სხვა დანაშაულები", მხოლოდ სამი დანაშაულია განხილული: სპეკულაცია, მყიდველთა და დამკვეთთა მოტყუება და ფიქტიური ქორწინება და განქორწინება. ამას ავტორი იმით ხსნის, რომ იგი განიხილავს ზოგიერთ გავრცელებულ დანაშაულს, რომელიც პრაქტიკაში ხშირად გვხვდება და რომელთა გამოყოფა ცალკე პარაგრაფად არ მოხერხდა. ვფიქრობთ, რომ განხილულ დანაშაულებთან ერთად (თუმც არ მიმაჩნია, რომ ფიქტიური ქორწინება ან განქორწინება ესოდენ გავრცელებულ დანაშაულს წარმოადგენდეს) მოკლედ მაინც უნდა თქმულიყო ბუნების დაცვის სფეროში ჩადენილ დანაშაულზეც, რომლის საზოგადოებრივი საშიშროება და ფართო გავრცელება საყოველთაოდ არის ცნობილი, ან წამატებებზე და სხვა დამახინჯებებზე გეგმის შესრულების ანგარიშგებაში.

ნაშრომის მესამე თავში ავტორი ეხება სამართალდამცავ სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. ურიგო არ იქნებოდა, რომ აქვე ორიოდე სიტყვით გადმოგვეცა შინაგან საქმეთა ორგანოების საქმიანობაც, რომელთა წვლილი დანაშაულთან ბრძოლის საქმეში საკმაოდ მაღალია.

და ბოლოს, მომაჩნია, რომ ისეთი სახის ნაშრომაში, როგორც სახალხო მსაჯულის წიგნია, სადავო და პრობლემური საკითხების დასმა საჭირო არ არის. თუმცა, ცხადია, ეს საკითხები თავისთავად მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესოა.

დასასრულს მინდა ერთხელ კიდევ გავუსვა ხაზი ნაშრომის მაღალ დონეს და მისი გამოცემის დროულობას. მართალია, ეს წიგნი სახალხო მსაჯულებს ეძღვნებათ, მაგრამ იგი მხოლოდ მათ როდი დაეხმარება მუშაობაში. წიგნი დაინტერესებს, აგრეთვე, ფართო საზოგადოებრიობასაც, რომლის სამართლებრივი დონე თანდათანობით მაღლდება. ავტორმა კვლავ უნდა განაგრძოს მუშაობა ამ ხფეროში და მალე მოგვაწოდოს მსაჯულის წიგნის ახალი გამოცემა საბჭოთა კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით.

მზია ლეკვეიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილია—ელისაბედ ჭავჭავაძის მეუღლე

ვახტანგ ჟვანია,
საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი

ილიას პუბლიცისტური, სამეცნიერო, სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ საქველმოქმედო მოღვაწეობა ყოველად წარმოუდგენელია ამ დიდი იურიდიული ხასიათის საკონსულტაციო საქმიანობის გარეშე, რომელსაც სისტემატურად ეწეოდა იგი, როცა თავისი ახლობლების ქონებრივ, თუ სხვა უფლებრივ ინტერესებს იცავდა.

„დიმიტრი ვეზიროვს უთხარი, — წერდა ილია თავის დას, ელისაბედ ჭავჭავაძე-საგინაშვილისას. — რომ თქვენი ქადალდები, ვლადიკავკასიდან რომ ჩამოვედი, მაშინ მივიღე-თქო. ესეც უთხარი, რომ მინამ სრულის გადაწყვეტილების კოპიოს არ გამოგზავნის, მანამდინ მაგის საქმეზედ ვერაფერს რჩევას ვერ მივცემ...“[1]

ილიას პირად მიმოწერაში, თუ სხვა დოკუმენტებში ანალოგიურ საკითხებს ხშირად ვხვდებით, მაგრამ მკითხველს ამჯერად, უნდა ვაუწყოთ ერთი უცნობი დოკუმენტის შესახებ, რომელიც ოფიციალურ მეურვეობას ეხება, ილიამ რომ განახორციელა ელისაბედ ჭავჭავაძისადმი.[2]

ილიას უმცროსი და, ელისაბედი, ორჯერ დაქვრივდა და ამის გამო ბევრჯერ მოუხდა სამოქალაქო დავები. განსაკუთრებით გამწვავდა მისი სამემკვიდრეო უფლებების განხორციელება, რადგან მეუღლეთა მიერ დატოვებული ქონებისათვის აქტიურად იბრძოდნენ აგრეთვე მათი სხვა ნათესავები.

ელისაბედმა პირველ მეუღლესთან, ნიკოლოზ ორბელიანთან, მხოლოდ 9 წელი იცხოვრა. იგი 1867 წელს დაქვრივდა, როცა მისი ქმარი უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპა ყოფილი ბარიატინსკის (ამჟამად ჯორჯაძის) ქუჩაზე. ნიკოლოზი კუმისის წმინდა სამების ეკლესიის გალავანშია დასაფლავებული[3].

ელისაბედი და ნიკოლოზი ცხოვრობდნენ „ორბელიანების აულად“[4] წოდებულ უბანში. მათი სახლის ერთი ნაწილი ეკუთვნოდა აგრეთვე, ნიკოლოზის ძმას, მარტოხელა ალექსანდრეს. ნიკოლოზს და ელისაბედს შვილი არა ჰყოლიათ. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ელისაბედი საცხოვრებლად იმავე სახლში დარჩა დედამთილთან, მარინე სულხანიშვილთან ერთად. როგორც ჩანს, ნიკოლოზის გარდაცვალების შემდეგ რძალ-დედამთილის ურთიერთობა დაიძაბა, ხოლო როცა ელისაბედის მაზლმა, ალექსანდრემ 1870 წელს მაიკოფალავანდიშვილი შეირთო ცოლად, იგი უფრო გამწვავდა. ამის შემდეგ ელისაბედმა ამ სახლში მხოლოდ ორი წელიღა იცხოვრა.

1872 წელს ელისაბედ ჭავჭავაძე ხელმეორედ გათხოვდა. ამჯერად იგი ცოლად გაჰყვა ასევე ქვრივს, ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილს[5], რომელიც იქვე მეზობლად, ორბელიანის აულის № 12 სახლში ცხოვრობდა. გათხოვების შემდეგ ელისაბედი საცხოვრებლად მეუღლესთან გადავიდა. სწორედ ეს სახლი გახდა შემდეგ დავის საგანი, რაშიც

---

1 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრული კრებული, „საბჭოთა საქართველო“, 1961, ტ. X, გვ. 62.

2 მასალა მოგვაწოდა ვ. გურგენიძემ, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ (ვ. ჟ.).

3 ამ ეკლესიამ ჩვენს დრომდეც მოაღწია, თუმცა მხოლოდ კედლები და დამწვარი სახურავიღაა შემორჩენილი. იგი მდებარეობს მარნეულის გზიდან 200-250 მეტრის დაშორებით, თელეთის ქორწინების სახლის მოპირდაპირე მხარეს და მისი კონტურები კარგად ჩანს ცენტრალური საავტომობილო გზიდან.

4 „ორბელიანების აულად“ იწოდებოდა 26 კომისრის სახელობის ბაღის ქვედა მხარე, მტკვრის მარჯვენა ნაპირამდე და კიროვის რაიონის დახურული ბაზრის ტერიტორია.

5 ალექსანდრე საგინაშვილი გენერალ-ლეიტენანტი იყო.

აქტიურად ჩაერია პირადად ილია ჭავჭავაძე.

ალექსანდრე საგინაშვილმა ანდერძით მეუღლეს, ელისაბედ ჭავჭავაძეს მხოლოდ ის სახლი დაუტოვა, რომელშიც ცოლ-ქმარი ერთად ცხოვრობდა, საკმაოდ დიდი უძრავ-მოძრავი ქონება კი ძმისშვილს, ივანე ორბელიანს, უანდერძა.

ალექსანდრე საგინაშვილის ასეთმა გადაწყვეტილებამ დიდად გაანწყენა არა მარტო მისი მეუღლე, არამედ ნათესავებიც. ამან რა თქმა უნდა, უთანხმოება გამოიწვია და იგი შემდგომში ფართო საზოგადოებრიობის მსჯელობის საგანიც გახდა.

გარდაცვალებული სიძის გადაწყვეტილებით ილიაც არ იყო კმაყოფილი, მაგრამ მან ისიც კარგად იცოდა, რომ ანდერძის შეცვლა არ შეიძლებოდა და დავას არავითარი აზრი არ ჰქონდა. ამიტომ მან შესძლო ელისაბედის დარწმუნება და შეთანხმება მოდავეებთან. ამის შემდეგ ელისაბედმა დათმო სახლი და მის სანაცვლოდ მინიმალური საფასური, ორმოციათასი მანეთი მიიღო.

ილია ჭავჭავაძემ ამ ფულით ელისაბედს ნიკოლოზის ქუჩაზე (ყოფილი ავჭალის ქუჩა, ამჟამად კალინინის ქ. № 7), მდებარე გრუზინსკების კუთვნილი სახლი შეუძინა, რომელიც იმ ხანად საჯარო ვაჭრობით გაიყიდა. ეს სახლი შემდგომ კაპიტალურად გადაკეთდა.

ამ სახლის გადაკეთებასთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი დოკუმენტი, რომელიც პირადად ილია ჭავჭავაძის მიერ არის შედგენილი. ილია აქ გამოდის როგორც ელისაბედის ოფიციალური რწმუნებული და თხოვნით მიმართავს ქალაქის მმართველობას, რომ მიეცეს უფლება ელისაბედ გრიგოლის ასულ საგინაშვილს ავჭალის ქუჩის მე-9 უბანზე მდებარე საკუთარ სახლს მიაშენოს სამ სართულიანი ქვის სახლი ფლიგელით და არსებული სახლის წინა მხარის (ფასადის) გადაკეთებით.

რა ბედი ეწია ილია ჭავჭავაძის ამ თხოვნას, ცნობილი არ არის, მაგრამ სინამდვილეში სამსართულიანი ქვის სახლის მიშენება არ განხორციელებულა. მოხდა მხოლოდ სახლის მნიშვნელოვანი გადაკეთება და კეთილმოწყობა. გრუზინსკების სახლი ორსართულიანი იყო და ჰქონდა სარდაფი, თითქმის ის მოცულობა, როგორმაც ჩვენამდე მოაღწია. მანამდე ილია ჭავჭავაძე ცხოვრობდა ახალ ბებუთოვის (დღევანდელი ცხაკაიას) ქუჩაზე. ელისაბედისათვის სახლის შეძენისა და მისი გადაკეთების პერიოდში კი რამდენიმე თვე იგი ფრეილინის ქუჩაზე იმყოფებოდა. 1889 წელს, როცა იგი ელისაბედის სახლში გადავიდა, შენობის სარდაფით დაინტერესდა და იქ „ივერიის" სტამბა მოაწყო. თვითონ ოჯახთან ერთად სახლის მესამე სართულზე მოთავსდა. ამ სახლში ილიამ 1901 წლამდე იცხოვრა, ვიდრე ერთსართულიან სახლს შეიძენდა ანდრეევის ქუჩაზე (ორჯონიკიძის ქ. № 22), სადაც ამჟამად მისი სახლ-მუზეუმია მოწყობილი.[6]

არქივში დაცულია ილიას ხელით დაწერილი ხელშეკრულება. იგი ეხება ელისაბედის სახლის კაპიტალურ რემონტს და გადაკეთებას. ხელშეკრულება დადებულია ვინმე ოსეფა შახნაზაროვთან და შეიცავს 29 პირობას. „ამას გარდა, რაც სხვა რამ შეკეთება მოუნდეს და გამოჩნდეს, — ვკითხულობთ ხელშეკრულების ბოლო მუხლში, — სულ ყოველისფერი მე უარის უთქმელად უნდა გავაკეთო.... თუ რამ ჩემი გაკეთებული.... ერთი ორი კაცისაგან დაწუნებული იქნას, ან ვადაზედ, რომელიც ორი თვე არის, არ შევასრულო, მაშინ ყოველი ზარალი ერთიორად უზღო... სახლის პატრონსა, მე ოსეფა შახნაზაროვმა...

მე ილია ჭავჭავაძემ ყოველ ამ ზემოხსენებულის საქმისათვის უნდა მივაცე ოსეფა შახნაზაროვს ასსამოცდათხუთმეტი თუმანი თეთრი ფული... ორმოცი თუმანი მაშინ, როცა მუშაობას დაიწყებს და მასალას შეამზადებს, სამოცი თუმანი 15 სექტემბრამდე და დანარჩენი სახლის გაქირავების დროს... თუ მეც, ილია ჭავჭავაძემ, ეს პირობა არ შევასრულე, მე ზარალი ერთი ორდ უზღო...."

ხელშეკრულებას ხელს აწერენ: ი. ჭავჭავაძე, ო. შახნაზაროვი და მოწმეები.

ამავე ხელშეკრულებით ირკვევა, რომ ო. შახნაზაროვთან ანგარიშსწორება ევალებოდა ფ. ჩიკვაიძეს, რომელიც ქალაქის მმართველობაში მუშაობდა და ითვლებოდა ელისაბედ საგინაშვილის ქონების გამგებლად. ხელშეკრულებას აქვს მინაწერები, რომ პირობის ძალით ჩიკვაიძემ ნაწილ-ნაწილ გადაუხადა ო. შახნაზაროვს მთელი კუთვნილი თანხა და 1 თებერვლიდან, სახლის პირველი სართული გააქირავა დოქტორ დავრიშევზე, რაშიც წინასწარ მიიღო ექვსი თვის ხაზლაური ოცდაორთუმანნახევარი[7].

არქივებმა შემოგვინახა აგრეთვე ელისაბედის სამემკვიდრეო საქმეთა წარმოებისა და

---

6 ა. ლაისტი, „საქართველოს გული", 1963, „საბჭოთა ხელოვნება", გვ. 6 და 19.

7 ამ საკითხზე დეტალურად იხილეთ: ი. გაჩეჩილაძე, „მასალები ი. ჭავჭავაძის ბიოგრაფიისათვის", ი. ჭავჭავაძე, საიუბილეო კრებული, 1957, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, გვ. 365-368.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისდამი მეურვეობის სხვა დოკუმენტები, რომელშიც ი. ჭავჭავაძე მონაწილეობდა. აქ უურადღებას იქცევს დავები იმ ქონებაზე, რომელიც ელისაბედს პირველი მეუღლის, ნიკოლოზ ორბელიანის გარდაცვალების შემდეგ დარჩა. განსაკუთრებით გართულებულა ელისაბედისა და მისი მაზლის, ალექსანდრე ორბელიანის ურთიერთობა.

საინტერესოა ილიას მიერ მიწერილი წერილი ელისაბედის მაზლისადმი, იოსებ ორბელიანისადმი[8], „საყვარელო ძმაო იოსებ! — ვკითხულობთ ილიას წერილში — თქვენი წიგნი მივიღე და ძალიან ვწუხვარ, რომ ამჟამად არას გზით არ შემიძლიან მანდ ჩამოსვლა. ხომ მოგეხსენებათ, სამსახურის კაცი ვარ და დრო ყოველს ჟამს ჩემს ხელთ არ არის... ან რა საჭიროა...! თქვენი სახელი და პატიოსნება იმის თავდებია, რომ თქვენს ჩემს დას ჩემზედ მომეტებულს ძმობას გაუწევთ და არც ერთ მხარეს უსამართლობას არ უზამთ. მე დიდად მოხარული ვარ, რომ ჩემს დას თქვენის შუამავლობით, შემწეობით და მფარველობით დაუწყვია თავისი საქმე თავის მაზლთან"[9].

აქვე ილია ანალიზს უკეთებს იმ პირობებს, რომლებიც სანდრო (ალექსანდრე) ორბელიანს შეუთავაზებია, რაზეც მსჯელობა ყოფილა იოსებ ორბელიანის მიერ ილიასადმი მიწერილ წერილში და მიუთითებს: „...თუ სანდრო გულწრფელად მოწადინებულია და შინაურულად უნდა გათავება ამ საქმის, აღარ უნდა ისურვოს რომ ბოლოს ეს საქმე ისევე სადავიდარაბო გახდეს..." ილიას სჯერა, რომ არც იოსები ისურვებს საქმის სადავოდ დატოვებას და იურიდიულად ასაბუთებს თუ რატომაა მიუღებელი სანდროს მიერ წამოყენებული პირობები. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იგი უვადო ვექსილებს, რომლის მიცემაც შეუთავაზებია ელისაბედისათვის ალექსანდრე ორბელიანს. ილიას აზრით ასეთი პირობით მხარეთა შორის წამოჭრილი დავის გადაწყვეტა შეუძლებელია, რადგან იმის პირობა იქმნება, როდესაც „ლიზა (ელისაბედი) „იძულებული გახდება საჩივარში წავიდეს, კვლავ ატყდება დავიდარაბა, რომელსაც ეხლა ისე ვერიდებით თქვენცა და ჩვენც"...

ამ წერილში ილიამ წამოაყენა ხუთ პუნქტიანი პირობა, რასაც კანონის შესაბამისად უნდა დაეცვა ქვრივის უფლებები ისე, რომ არ შებღალულიყო აგრეთვე ალექსანდრე ორბელიანის ინტერესები.

ილია წერილს ასე ამთავრებს: „ვერც ამაზედ მეტს და ვერც ნაკლებს, ჩემის ფიქრით, ვერ მოვსთხოვთ, ვერც სანდროს და ვერც ჩემს დას. ჩემს დას ამასთანავე ვწერ წგნს, და რაც თქვენთვის მომიხსენებია, იმასაც იმას ურჩევ"...

—•—

8 იოსებ კონსტანტინეს ძე ორბელიანი, გენერალი, ელისაბედ ჭავჭავაძის უფროსი მაზლი.

9 ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. X, გვ. 75-77. წერილზე აღნიშნულია თარიღი „15 იანვარი", წელი მითითებული არ არის. ელისაბედის დავებს ხანგრძლივი ისტორია ჰქონდა და კონკრეტული მასალები ამ წერილთან დაკავშირებით ჯერჯერობით მოპოვებული არ არის. ამიტომ, პ. ინგოროყვამ, რომელმაც წერილს გაუკეთა პუბლიკაცია, კომენტარში სავარაუდო წელიც არ დაასახელა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ქმნა მართლისა სამართლისა...“

ედუარდ ყიფიანი, თამაზ შავგულიძე

ოპერაცია „ინტელიგენტი“.

მზე კარგა გვარიანად გადაიწვერა. ბიძინამ რამდენჯერმე გახედა ჭიშკარს. მაინც მოუულოდნელად წამოადგნენ თავს ბაბუა და შვილიშვილი.

— რა იყო, ბიჭო, რას შემოგვიჩნდი, — კონვერტიანი ხელი შემართა მამიამ, — ჩვენი იურისტებად აღზრდა ხომ არ გადაწყვიტე?!

— შენი აღზრდა უკვე, მგონი, დაგვიანებულია.

— ამისი? — გოჩასკენ გადაიქნია თავი მამიამ.

— მაგისი ჯერ კიდევ შეიძლება, მაგრამ... უარს ამბობს და რაღას იზამ, აწი!

— მთელი ღამე არ გვიძინია ბაბუა-შვილიშვილს, გადავყევით ამის კითხვას. კარგია!

— ხომ მიხვდი, ახლა, იმ აფთიაქის გამგეს, ხუციბერიძეს მოსამართლე კი არ მოუქრთამავს, თავის დაცვის უფლება ჰქონია?!

— რა ვიცოდი ამდენი სამართალი!

მამია აივანზე ავიდა და კონვერტი მაგიდაზე დადო.

— არაფერია, აწი გეცოდინება. გოჩას გუშინდელი შეკითხვის საპასუხოდ გამოგიჩხრიკეთ ერთი ჩანაწერი, — გოჩას მიხედა ბიძინამ, — თუ მზად ხართ, დავიწყოთ!

ბიძინამ საქაღალდე აიღო და სავარძელში მოკალათდა.

— გოჩა, ჩაი არ დავლიოთ?

— ახლავე ჩავრთავ.

— მოსამართლედ ახალი არჩეული ვიყავი. ერთი საკმაოდ სახიერი კაცი შემოვიდა და გამეცნო. სასამართლო შენობა ძველი იყო და მისი ძირფესვიანი შეკეთება მიმდინარეობდა. სამუშაოთა მწარმოებელი ვარ, თქვენთან სათხოვარი მაქვსო. მოკლედ მომიყვა, რაც შემთხვეოდა მის შვილს — ზურაბ შავდიას. ბიჭი, თურმე, სკოლაში კარგად სწავლობდა, ინსტიტუტშიც მოწყობილა, სამშენებლო ფაკულტეტი დაუმთავრებია. დაოჯახებულა, შვილიც შეძენიათ. ერთ დღეს, როცა ზურაბის შვილი სამი წლის შესრულდა, სტუმრები დაუპატიჟიათ. ზურაბის ცოლი აივანზე გასულა ღვინის შემოსატანად. ზურაბიც თან გაჰყოლია, უტაცია ცოლისთვის ხელი და ძირს გადაუგდია. შავდიები მეოთხე სართულზე ცხოვრობდნენ. ქალი იქვე გარდაცვლილა. ჩატარდა გამოძიება. მკვლელობის მოტივს ვერ მიაკვლიეს. სამედიცინო ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ზურაბ შავდია დანაშაულის ჩადენისას შეურაცხად მდგომარეობაში იყო. შიზოფრენიის ნიშნები აღმოაჩნდა. სასამართლომ მას ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იძულებითი მკურნალობა შეუფარდა. შვილის უბედურებას დედამ ვეღარ გაუძლო და მალე გარდაიცვალა. ერთ წელიწადში მთელი ოჯახი განადგურდა: კაცს რძალი მოუკლეს, ვაჟიშვილი „საგიჟეთში“ მოათავსეს, ცოლი გარდაიცვალა. დარჩნენ ბაბუა და შვილიშვილი. წარმოიდგინეთ, რა დღეში ვარო. შემეცოდა, რა თქმა უნდა, რით დაგეხმარო-მეთქი. განცხადება დამიდო წინ, სადაც ყველაფერი დაწვრილებით იყო მოთხრობილი. ბოლოს ეწერა, გთხოვთ შვილი მე გადმომცეთ სამეურვეოდო. განცხადებას თან ერთვოდა სამკურნალო დაწესებულების დასკვნა, სადაც ნათქვამი იყო, რომ ზურაბ შავდია გამოჯანმრთელდა, საზოგადოებისათვის საშიში აღარ არის და ამ პირის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ყოფნა მიზანშეუწონელია, მისი სამეურვეოდ გადაცემა შეიძლება, მაგრამ საექიმო მეთვალყურეობაც აუცილებელიაო.

— მერე, რა ჰქენი?

— შევცდი!

რანაირად?

(გაგრძელება. დასაწყისი ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“ № 1, 2, 3, 1986 წ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სამკურნალო დაწესებულების დასკვნის საფუძველზე სასამართლომ განჩინება გამოიტანა; ზურაბ შავდია აღარ არის საზოგადოებისათვის საშიში და სამეურვეოდ მამას გადაეცესო. იმ სასამართლოს თავმჯდომარე მე ვიყავი.

— მერე, რა არის აქ შეცდომა?

— ექვსი თვის შემდეგ ზურაბ შავდიამ საკუთარი მამაც გადმოაგდო იმ აივნიდან.

— აუჰ! — აღმოხდა მამიას, — მოკლა, კაცი?!

— აბა!

— შეცდომა შენ კი არა, იმას მოსვლია, ვინც გამოჯანმრთელების ცნობა მისცა!

— კი, — დაიქნია თავი ბიძინამ, — მაგრამ მეც შევცდი. ექსპერტიზა ცნობას იძლევა, სასამართლომ კი უნდა გადაწყვიტოს, კაცი გაანთავისუფლოს თუ არა. მას, შეუძლია, არ გაიზიაროს ასეთი დასკვნა. ჰო! რატომ მოგიყევით ახლა ეს ამბავი! სასამართლომ მხოლოდ ჭკუათმყოფელ კაცს უნდა გამოუტანოს სასჯელი, ისიც გარკვეული ასაკის შემდეგ. შეურაცხად კაცს არ შეუძლია გაიზიაროს საკუთარი მოქმედება, ან წარმართოს იგი. ამიტომ ჰქვია შეურაცხადი! მას ვერც პასუხისმგებლობას დააკისრებ. თუ ასეთი კაცი კანონით აკრძალულ, საზოგადოებრივად საშიშ მოქმედებას ჩაიდენს, სასამართლომ მას იძულებითი მკურნალობა უნდა შეუფარდოს.

— კი, ბატონო, გიჟი თავისუფალია! — თქვა მამიამ, — თუ ასეა, რატომ დასაჯეთ სანდრო?

— ვინ სანდრო?

— გოქაძის ბიჭი.

— რა ქნა?

— ჩხუბი ატეხა კინოში, მილიციასაც შემოჰკრა. სასამართლომ ის საქციელი ხულიგნობად ჩაუთვალა და დასაჯა.

— რა, არ უნდა დაესაჯათ?

— ისეთი მთვრალი იყო, პატრონს ვერ ცნობდა! იმ წუთში ვერც ის ითვალისწინებდა თავის ნამოქმედარს... ესე იგი, არ იცოდა, რას სჩადიოდა. საერთოდ, არ არის ურიგო ბიჭი.

— მთვრალი სხვა არის და სულიერად დაავადებული სხვა! სიმთვრალე არათუ ათავისუფლებს კაცს პასუხისმგებლობისგან, არამედ, პირიქით, ამძიმებს დანაშაულს. რამდენჯერ ვინმე დათვრება და დანაშაულს ჩაიდენს, პასუხი თუ არ აგო, სად წავა! თუმცა, ეს არ არის მთავარი, მთავარია ის, რომ მთვრალი სულით ავადმყოფი არ არის... თუ დაგვრჩა დრო, ამაზე შემდეგ ვისაუბროთ, როცა სამართლის და დანაშაულის საკითხებში უკეთ გავერკვევით. რა იყო, გოჩა? — ბიძინამ შენიშნა, ბიჭს რაღაცის კითხვა სურდა.

— ბატონო, ბიძინა! — წამოიწყო გოჩამ, — ბიჭები ამბობენ, ვიდრე სრულწლოვანი არ გახდება კაცი, მანამდე დანაშაულზე პასუხს არ აგებსო, მართალია?

— სრულწლოვანი თვრამეტი წლის შემდეგ არის კაცი, თექვსმეტი წლიდან მოყოლებული კი ნებისმიერი დანაშაულის გამო აგებს პასუხს, თოთხმეტიდან თექვსმეტამდე მხოლოდ ზოგი მათგანის გამო.

— მაგალითად?

— მაგალითად, თოთხმეტი წლიდან ადამიანი პასუხს აგებს ისეთი დანაშაულისათვის, როგორიცაა მკვლელობა, ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, ვინმეს დაშავება, გაუპატიურება, ბოროტი ხულიგნობა, სხვისი ქონების განზრახ დაზიანება, იარაღის გატაცება... კიდევ, ისეთი რამის ჩადენა, რასაც შეუძლია, მატარებლის მარცხი გამოიწვიოს.

— აგაშენა ღმერთმა! — გაიცინა მამიამ, — რაღა დარჩა!

— კიდევ ბევრი დარჩა,— ბიძინა წამოდგა და დარბაზიდან სხვა საქაღალდე გამოიტანა.

— აბა, დამიდექით! — მხიარულად შესძახა მან.

— აქა ვართ!

— გოჩა, ჩაი!

— ახლავე! — წამოხტა ბიჭი. ჩაი ჩამოასხა. მამიამ ფრთხილად აიღო ჩაის ჭიქა.

— მისმინეთ! — თქვა ბიძინამ, — ამ პატარა ამბავს „ოპერაცია ინტელიგენტი“ ვუწოდე. ერთი ქურდობის შესახებ არის აქ მოთხრობილი და მთლიანად წაგიკითხავთ.

„ოთახში მრგვალ მაგიდას ოთხი კაცი უჯდა. საუბარს შუახნის მელოტი წარმართავდა.

— ყველაფერი მზად არის! — თქვა მან,— მაგრამ ვიდრე საქმეს შევუდგებოდეთ, წინასწარ უნდა ვიცოდე, ვინ რაში დახარჯავს ფულს, რადგან კაცი უფრო ხშირად, საქმეში კი არა, ხარჯვისას იწვება, — იგი მხარმარჯვნივ მჯდარ ბრგე, მაგრამ სულელური გამომეტყველების ახალგაზრდას მიაჩერდა:

— თქვი, ტროყი!

ტროყია უხერხულად შეიშმუშნა და ძლივს ამოღერღა: — „პრისტავკა“ მაქვს.

— რამდენი?

— ათი ათასი.

მელოტი უსიამოდ დაიჯღანა. ახლა შუაში მჯდარს მიაპყრო მზერა:

— პავლე, ბატონო!

— მე საქმის კაცი ვარ. ასეთ რამეზე პირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველად და უკანასკნელად მივდივარ. მშრალზე დამსვეს. ისევ საქმეში უნდა გავიდე. ჩემგან დაწვა არ იქნება! — დარწმუნებით წარმოსთქვა პავლემ.

— გივი, შენ?

— უკანვე უნდა დავუბრუნო, — ხმადაბლა თქვა მან.

— ბუხრაშვილს?! — გაიოცა მელოტმა.

— ორჯერ ვაბარებდი იმ ინსტიტუტში, ორივეჯერ ქულა დამაკლდა.

— რამდენი უნდა.

— ოცი.

— ვინ გიკეთებს საქმეს?

— ბალახაშვილი.

— აფერისტია! — ისევ დაიჯღანა მელოტი.

— ხანდახან მართლა აკეთებს. მე გამიკეთებს!— გაიღიმა გივიმ.

მელოტი მცირე ხანს დუმდა. შემდეგ საზეიმოდ წარმოსთქვა:

— ოპერაცია „ინტელიგენტი“ იწყება! ჩემი კლიჩკაა „ინტელიგენტი“, პავლესი „საქმოსანი“, გივისი „სტუდენტი“, ტროყაისი... — მელოტი დაფიქრდა, — ტროყაისი ტროყია დარჩეს. თქვენ მე არ მიცნობთ, მე თქვენ არ გიცნობთ. როცა საჭირო იქნება, მე თვითონ გნახავთ, — მაჯის საათზე დაიხედა, — თხუთმეტი წუთის შემდეგ მიხვალ ინსტიტუტის წინ, — მიმართა „სტუდენტს“, — იქ თეთრი „ვოლგა“ იქნება, ნომერი შვიდიანები. პატრონს ახლა თათბირი აქვს, — „ინტელიგენტმა“ მანქანის გასაღები ამოიღო ჯიბიდან და გივის დაუგდო, — სიგნალიზაცია ჯერ არ დაუყენებიათ, გარაჟში მიიყვანე. როგორც კი დაძრავს მანქანას, — ახლა ტროყიას მიმართა, — შენი მანქანით კვალში ჩაუდექი და უკან მიჰყევი, შენ კი, — ახლა პავლეს შეხედა, — ქუჩის გადაღმა ტელეფონია, დამირეკე, მე არ მიკითხო. ყველაფერი დაწვრილებით მომიყევი! ნომერი: 99-02-19. ერთად არ გახვიდეთ! ნახევარ საათში ყველაფერი დამთავრდება! წადით!

— „ინტელიგენტი“ მარტო დარჩა. საათი შეიხსნა და ტელეფონი მიიჩოჩა. ოც წუთში ტელეფონის ზარი გაისმა. „ინტელიგენტმა“ ყურმილი აიღო.

— „საქმოსანი“ არ მოვიდა! — მოისმა აღელვებული ტროყიას ხმა.

— „სტუდენტი“ რას შვრება?

— წაიყვანა მანქანა.

— შენ? — იყვირა მელოტმა, — შენი საქმე გააკეთე!

დაფეთებული ტროყია ტელეფონის ჯიხურიდან გამოვარდა, „ჟიგულში“ ჩაჯდა და თეთრი „ვოლგის“ კვალს დაედევნა. მალე წამოეწია. „სტუდენტს“ ნელა მიჰყავდა მანქანა. თხუთმეტი წუთის შემდეგ გარეუბანში ერთ-ერთ გარაჟს მიადგნენ. ტროყია დაწინაურდა, მანქანიდან გადავიდა და გარაჟის კარი გააღო, „სტუდენტმა“ „ვოლგა“ გარაჟში შეიყვანა. ბიჭი ჯერ გადმოსულიც არ იყო, რომ ტროყიამ „ვოლგის“ ჩხრეკა დაიწყო.

— ტროყი! მანქანაში არაფერი არ არის!— გარაჟის ბნელი კუთხიდან გამოვიდა „ინტელიგენტი“, — დღეს რაც მოხდა, დაივიწყეთ,— განაგრძო მან, — დღეის სწორს, ორი კვირის შემდეგ, საღამოს ცხრა საათზე... შენ!— ტროყიას ანიშნა, — თან გქონდეს ჩაქუჩი, სატეხი, ქაფჩა, ერთი პარკი მშრალი ბეტონი და სამი ლიტრი წყალი, გასაგებია?

— კი, გასაგებია, — დააქნია თავი ტროყიამ.

— შენ! — „სტუდენტს“ მიუბრუნდა „ინტელიგენტი“, — იმავე დღეს, დღის თორმეტ საათზე აქ იყავი! მანამდე ერთმანეთს არ ვიცნობთ, „საქმოსანი“, ჩვენთვის აღარ არსებობს; ადრე არასდროს გინახავთ! გასაგებია?

* * *

დავით ბუხრაშვილმა ორი კვირა იბობოქრა, ქალაქის მილიცია ფეხზე დააყენა, ყველა დათათხა, მაგრამ მანქანას მაინც ვერ მიაგნო.

ორი კვირის შემდეგ „სტუდენტმა“ გარაჟს მიაკითხა. იქ „ინტელიგენტი“ დახვდა. მან მანქანის გასაღები მისცა ბიჭს.

— ეს „ვოლგა“ წაიყვანე და საცა იდგა, იქვე დააყენე; შეეცადე, არავინ შეგამჩნიოს. რვა საათზე ტროყიასთან ერთად აქ იყავი. ზუსტად რვაზე დმირეკეთ! ტელეფონის ნომერი ხომ გახსოვს?

— მახსოვს.

— მიხედე საქმეს!

* * *

დავით ბუხრაშვილი ინსტიტუტის შენობიდან გამოვიდა. მისი შოფერი და კიდევ ორი კაცი თეთრ „ვოლგას“ ათვალიერებდნენ. მანქანა დაკეტილი იყო. გაკრიალებულ მანქანას არაფერი ჰქონდა გაფუჭებული.

— სიმონიჩ! — ბუხრაშვილს მიმართა გაკვირვებულმა შოფერმა, — ვინ მოიყვანა ეს?!

დავითმა პასუხი არ გასცა. ჯიბიდან გასაღები ამოიღო, მანქანის კარი გააღო და ჩაჯ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და. იქვე, გვერდით, სავარძელზე დადებული კონვერტი მოხვდა თვალში. აიღო, წერილი გამოაძრო, თვალი გადაავლო. თავისთვის, ხმადაბლა წაიკითხა:

— „ბატონო დავით! უღრმეს ბოდიშს მოგახსენებთ. ერთმა ჩვენმა კოლეგამ მიუტეევებელი შეცდომა ჩაიდინა, თითქოს სხვა მანქანა არ იყოს ქალაქში. დანაშაულის გამოსასყიდად (თუ ასეთი დანაშაულის პატიება შეიძლება) გთხოვთ, ეს ერთი ყუთი კონიაკი მიიღოთ ჩვენგან. ვითვალისწინებთ რა დანაშაულის მთელ სიმძიმეს, ამას ვუმატებთ ფილარმონიის ოთხ ბილეთს თქვენი ოჯახის წევრთათვის. დღეს რიხტერის გასტროლები იწყება. კონცერტს მეც დავესწრები. პატივისცემით — თქვენი ყოფილი სტუდენტი“. დავითმა მანქანაში მიმოიხედა; კონიაკი არ ჩანდა. კონვერტი გახსნა, ოთხი ბილეთი მართლაც იდო შიგ.

მანქანა ადგილიდან დაიძრა და წყნეთისაკენ აიღო გეზი.

* * *

ბუხრაშვილების ოჯახი თითქმის მზად იყო. მხოლოდ დიასახლისი ამთავრებდა მორთვას, მოსამსახურე გოგო თავს დასტრიალებდა.

— დაგვაგვიანდა, ეკასაც უნდა გავუაროთ. ჟორა სად არის? — ჰკითხა ქმარს.

— მამაშენი აპირებდა სოფლიდან ჩამოსვლას. დასახვედრად გავგზავნე. შენ არ მითხარი?!

— ჰო, ჰო! ქეთოს ამარა როგორ დავტოვოთ ამხელა სახლი ტყეში?!

— არაფერი უჭირს, ცეცხლს არავინ წაუკიდებს.

— მე დავრჩები! — წამოიძახა ვასომ.

— წადი, ჩაჯექი მანქანაში! — დაუტია შვილს, — შენ კი ყურადღებით იყავი გოგო! ხომ ხედავ, შენს ამარა ვტოვებთ აქაურობას.

მანქანაში ჩასხდნენ და წავიდნენ.

რვა საათზე ტროყია და „სტუდენტი“ დათქმულ ადგილას შეხვდნენ ერთმანეთს.

— დაურეკე! — დაეჯღანა ტროყია ბიჭს.

„სტუდენტმა“ ჯიბეები მოიქექა, ორკაპიკიანი მოძებნა, ჯიხურში შევიდა.

— გისმენთ! — მოესმა ყურმილში მელოტის ხმა.

— გარაჟთან ვართ! — მოახსენა „სტუდენტმა“.

— ტროყია სად არის?

— აქ არის.

— მანქანით?

— დიახ.

— ყურადღებით მისმინეთ! — დაიდინჯა ხმა მელოტმა, — მიდი გარაჟთან. მოიცა! გარაჟის კარებში გასაღების აცმაა. გამოიღეთ და წადით წყნეთში, ბუხრაშვილების სახლში. გასაგებია?

— დიახ.

— მანქანა შორს დააყენეთ, მოსახვევამდე. დიდი გასაღებით გააღებთ ჭიშკარს, მეორეთი სახლის კარებს... შინ არავინ არ არის, გოგო გაყვანილია. არ იჩქაროთ, შედით სახლში და იქიდან დამირეკეთ! გასაგებია!

— დიახ.

— წადით, ოცდაათი წუთის შემდეგ ტელეფონის ზარს ველოდები.

„სტუდენტმა“ ყურმილი ჩამოკიდა.

* * *

ბუხრაშვილების სარკმელს მერაბმა მიუკაკუნა. მინის გადაღმა ქეთო გამოჩნდა. გოგომ ჯერ შეიცხადა, ბევრი იჭოჭმანა, მაგრამ, ბოლოს, მაინც დაუქნია თავი. მერაბი მეზობელ სახლში შევიდა. მალე ქეთო ღობის ღრიჭოში გაძვრა და მერაბის სახლისკენ გაქანდა.

* * *

ათიოდე წუთის შემდეგ ბუხრაშვილების სახლს „სტუდენტი“ და ტროყია მიადგნენ. ტროყიას ხელში დიდი ჩანთა, „სტუდენტს“ კი ძველი პორთველი ეჭირა. თამამად მიადგნენ ჭიშკარს — ორივეს ხელოსნის სპეცტანსაცმელი ეცვათ.

„სტუდენტმა“ ჭიშკარი გააღო, მიიხედ-მოიხედეს, დინჯად მიუახლოვდნენ სახლს, სადარბაზო კარი გააღეს. ფეხაკრებით შევიდნენ წინაკარში. „სტუდენტმა“ იქვე, მაგიდაზე, ტელეფონი შენიშნა. მაშინვე წასწვდა და დარეკა.

— აქ ვართ! — ხრინწგარეული ხმით ჩასძახა ყურმილს.

— ნუ ღელავ! — მოესმა „ინტელიგენტის“ ხმა, — წინაკარში იატაკი იხდება. ახადეთ, ჩადით სარდაფში. სინათლე აანთეთ, სარკმელი არა აქვს. მოპირდაპირე კედლის მარჯვენა კუთხესთან მიდი. იატაკიდან ერთი მტკაველის სიმაღლეზე კედელი გამოანგრიე, ოცი სანტიმეტრის დიამეტრით. გასაგებია?

— დიახ.

— კედელი აგურისაა. იმას ოც წუთს მოუნდებით. ნუ იჩქარებთ, დრო გაქვთ. შემდეგ, დამირეკეთ!

„სტუდენტმა“ ყურმილი დადო. მოძებნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იატაკის ღრიჭო და თითები ამოსდო. იატაკის ნაწილი მართლაც აიხადა. გამოჩნდა კიბე. სარდაფში ჩავიდნენ, სინათლე აანთეს. მოზრდილი საკანი თითქმის ცარიელი იყო, „სტუდენტი“ გულდაგულ მივიდა მარჯვენა კუთხესთან და ჩაიმუხლა.

— იარაღი მომეცი! — ხელი გაუწოდა ტროყიას.

ტროყიამ უბიდან ნაგანი ამოიღო და ხელისგულზე დაუდო. ბიჭი შეკრთა.

— ეს რა არის, ხომ გვითხრა შეფმა, იარაღი არ წაიღოთო!

— ე... ე! — დაიჭყანა ტროყია, — ასეთ საქმეზე უამისოდ როგორ წამოვსულიყავი, სულელი ვარ?!

„სტუდენტი“ კედლის ნგრევას შეუდგა. მალე იმდენი გამოტეხა, ხელი შეეტეოდა. ტროყიას გულმა არ მოუთმინა, ხვრელში ხელი შეჰყო და მოაფათურა. ყუთს წაეტანა, მაგრამ ვერ გამოატია. გაგულისებულმა აგურს მოსდო თითები და ისე ღონივრად მოსწია, მოანგრია. პატარა ყუთი გამოათრია. თავი მოხადა. შიგ ფული და საალროს წიგნაკები ეწყო. ტროყიამ ისევ შეჰყო ხელი, ახლა უფრო მომცრო კოლოფი გამოიღო. იგი ვერცხლის იყო, ჩაკეტილი, შიგ რაღაც რაჩხუნობდა.

ორივე წინკარში აბრუნდა. „სტუდენტმა“ ტელეფონზე დარეკა:

— ვნახეთ!

— რა არის? — მოისმა მელოტის ხმა.

— ფული, წიგნაკები გამომტანის სახელზე და ვერცხლის დაკეტილი კოლოფი.

— ქუჩის კუთხეში, თბილისის მხარეს, „ნივა“ დგას, 38-90. გასაღები ადგილზეა. იმით წამოდი. ტროყია დარჩეს. გამონგრეული ადგილი ისევ ამოლესოს. ყველაფერი დაასუფთაოს. არ იჩქაროს. დრო ოცი წუთი აქვს. თავისი მანქანით დაბრუნდეს. გარაჟთან შევიკრიბებით.

„სტუდენტმა“ ყურმილი დასდო და დანაბარები ტროყიას შეატყობინა, ნადავლი პორტფელში ჩააწყო და გარეთ გავიდა.

ტროყია სარდაფში ჩაბრუნდა.

* * *

ქეთო და მერაბი მეზობელი სახლის ერთ-ერთ ოთახში ტახტზე წამოგორებულიყვნენ და საუბრობდნენ.

— დამპირდნენ, ორ წელიწადში უმაღლესში მოგაწყობთო, — დაამთავრა თხრობა ქალმა.

— ხომ არ გატყუებენ?

— ჩემამდე ერთი ჩვენებური გოგო ჰყავდათ. მართლა მოაწყვეს. რაღა ჩემზე გადაბრუნდება ქვეყანა! თუ მიმტყუნეს, მიყურონ რასაც ვიზამ, ისეთები ვიცი მაგათზე...

ქეთომ სიტყვა გაწყვიტა, მიაყურა, ბუხრაშვილების სახლიდან ყვირილი ისმოდა. გოგომ შეჰკივლა, ფეხზე წამოიჭრა, ერთ წამში გადაიცვა კაბა და გარეთ გაიჭრა.

წინაკარიდან ღრიალი ისმოდა. ქეთო თავახდილ სარდაფს წაადგა.

ვიღაც ხანშიშესული კაცი მხრებში ჩაფრენოდა ახალგაზრდას და ყვიროდა, მიშველეთო.

ქეთო ანგარიშმიუცემლად დაეშვა კიბეზე. კაცის ღრიალს მისი კივილიც შეუერთდა. კაცმა დრო იხელთა, ზემოთ ამოვარდა და ხალხი იხმო საშველად.

შეიყარნენ მეზობლები. სარდაფისკენ გაქანდნენ. იქ უკვე სიჩუმე იდგა. თავგაჩეხილი ქეთო ბეტონის იატაკზე ეგდო. ტროყია იქვე ჩაცუცქულიყო, ცახცახებდა, ტუჩებზე დუჟი მოსდებოდა. ხალხის დანახვაზე უაზროდ დაეცეცებინა თვალები.

* * *

ბიძინამ საქაღალდე დახურა და ფეხზე წამოდგა. მუხლი გამართა, ერთხანს მდუმარედ სცემდა ბოლთას.

მთვარიანი ღამე იყო. გრილოდა. დროდადრო ძაღლები ეხმიანებოდნენ ერთმანეთს.

— დეტექტივია პირდაპირ, — ჩაილაპარაკა მამიამ, — ის გოგო დაიღუპა?

— კი.

— ის კაცი ვინ იყო?

— ის კაცი ბუხრაშვილის სიმამრი იყო. „ინტელიგენტმა“ არ იცოდა, რომ იგი მაინცდამაინც იმ დღეს აპირებდა ჩამოსვლას. მძღოლმა წყნეთში აიყვანა და დატოვა. თან უთხრა, კონცერტზე არიან, მალე მოვლენო. ქეთოც შინ ეგულებოდა. სიმამრი შევიდა სახლში მშვიდად, წინკარში იატაკი დახვდა ახდილი, ჩაიხედა და ვიღაც უცხო კაცი დაინახა, კედელს ლესავდა. მოხელე ეგონა, ჩავიდა, დამფრთხალი ტროყია წამოვარდა და იარაღი იშიშვლა. სიმამრი ძლიერი კაცი აღმოჩნდა. ვიდრე ქურდი რევოლვერის ფეხზე შეყენებას მოასწრებდა, ეძგერა. დაბნეულმა ტროყიამ იარაღის ტარით ლავიწის ძვალი ჩაუმტვრია, თავიც გაუხეთქა, მაგრამ ვერ მოიცილა. ამ ამბავს ქეთო წაესწრო და მიშველება სცადა, მაგრამ მასაც ნაგანის ტარი მოხვდა საფეთქელში.

— რა მიუსაჯეს ტროყიას? — იკითხა მამიამ.

— ის საქმე მე გავარჩიე, — ბიძინამ საქაღალდე აიღო ხელში, — აგერ მაქვს განაჩენის ასლი: „სერგო ივანეს ძე სიკინჭალაშვილს, იგივე „ტროყიას“, ბინაში შეღწევით ქურდობისათვის საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის III ნაწილით მიესაჯა ათი წლით თავისუფლების აღკვეთა...

— მოიცა! შეაჩერა მამიამ, — „ბინაში შეღწევა“ რას ჰქვია?

— ბინაში შესვლა და ქურდობა უფრო მკაცრად ისჯება, ვიდრე, ვთქვათ, ქუჩაში ქურდობა. თუმცა, ჯობია ეს მუხლი წაგიკითხოთ, უფრო კარგად გაერკვევით. — ბიძინამ ახლა კოდექსი გადაშალა, — „მუხლი 150“. ქურდობა. ქურდობა, ესე იგი, მოქალაქეთა ქონების ფარულად გატაცება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, ან გამასწორებელი სამუშაოებით ამავე ვადით. ქურდობა ჩადენილი განმეორებით ან პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, ან პირის მიერ, რომელიც თავს არიდებს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, ანდა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა დაზარალებულს, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ხუთ წლამდე ქონების კონფისკაციით ან უამისოდ. ქურდობა ბინაში შეღწევით ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ათ წლამდე. ქურდობა ჩადენილი განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ათ წლამდე ქონების კონფისკაციით“. გასაგებია?

— რეციდივისტი რა არის? — იკითხა გოჩამ. მამიამ მწყრალად გადახედა შვილიშვილს.

— არა, კი ვიცი, მაგრამ... არ შემეშალოს-მეთქი.

— მართალი ხარ! — დაეთანხმა ბიძინა,— სამართლებრივი ტერმინი, და სერთოდ, ყოველგვარი ტერმინი, მიახლოებით კი არა, ზუსტად უნდა იცოდე. რეციდივისტი ეს არის საშიში, ძნელად გამოსასწორებელი დამნაშავე. ამის გადაწყვეტის უფლება მხოლოდ სასამართლოს აქვს და სხვას არავის. ეს დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენჯერ და რა სიმძიმის დანაშაული აქვს ჩადენილი კაცს. თუ ვინმე რეციდივისტად სცნეს, გარკვეული უფლებები ეზღუდება და უფრო მკაცრად ისჯება.

— „სტუდენტს“ რა მიუსაჯეთ, — მოუთმენლობა დაეტყო გოჩას.

— ჯერ ტროყიას საქმე მოვრჩეთ! მან ქურდობის გარდა კიდევ რამდენიმე დანაშაული ჩაიდინა.

— კაცი მოკლა! — შეაგება მამიამ.

— მანამდეც „ნაგანის“ სისტემის რევოლვერი ჰქონდა. ეს თავისთავად დანაშაულია. მოიცათ! — ისევ კოდექსს დასწვდა ბიძინა,— 238-ე მუხლს წაგიკითხავთ: „ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა სანადირო გლუვლულიანისა) საბრძოლო მასალის ან ფეთქებად ნივთიერებათა სათანადო ნებართვის გარეშე შენახვა, შეძენა, დამზადება ან გასაღება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე. პირი, რომელმაც ნებაყოფლობით ჩააბარა ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა ან ფეთქებადი ნივთიერება, რომლებიც მას სათანადო ნებართვის გარეშე ჰქონდა, თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან.

ხანჯლის, ფინური დანის ან სხვა ცივი იარაღის სათანადო ნებართვის გარეშე ტარება, დამზადება ან გასაღება გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს მოქმედება დაკავშირებულია რეწვის, სამსახურის ან საყოფაცხოვრებო პირობებთან, აგრეთვე, როდესაც იარაღი ეროვნული ტანსაცმელის სამკაულს წარმოადგენს, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან ჯარიმით ას მანეთამდე“. სიკინჭალაშვილს ქურდობისათვის ათი წელი მივუსაჯეთ, ხოლო იარაღის უნებართვოდ ტარებისათვის — ხუთი წელი. კაცს რომ ლავიწის ძვალი გაუტეხა და თავიც გაუხეთქა, ეს სხეულის მძიმე დაზიანებაა. ამისათვის კი 110-ე მუხლის პირველი ნაწილით რვა წელი მივუსაჯეთ...

— ქალი რომ მოკლა?! — შეახსენა გოჩამ.

— მაგაზე — დახვრეტა.

— აუჰ, შველებია იმ კაცს! — წამოიძახა მამიამ, — კიდევ კარგი, თხუთმეტ წელს არ დასჯერდით, თვარა, ქურდობის ათ წელს დაუმატებდით, იარაღის ტარების ხუთს და კაცის დაშავების რვა წელს. სულ რამდენია, ბიჭო? — შვილიშვილს გადახედა მამიამ.

— ოცდათვრამეტი.

— ოცდათვრამეტ წელიწადს ციხეში ჯდომას, დახვრეტა არ ჯობია?!

— არც ასეა საქმე! — დაამშვიდა ბიძინამ — რაც შენ თქვი, მამია, ამას „რამდენიმე დანაშაულის ჩადენის დროს სასჯელის დანიშნა“ ჰქვია. ყველაზე მკაცრი სასჯელი ნაკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებად მკაცრს შთანთქავს. მათი შეკრებაც ხდება მთლიანად ან ნაწილობრივ...

აგვიხსენი, თუ კაცი ხარ!

— მაგალითად, ტროყიასათვის დახვრეტა რომ არ მიგვესაჯა, თხუთმეტ წელიწადზე მეტს ვერ მივცემდით... იმაზე მეტს ვერ მიუსჯი კაცს, რასაც ყველაზე მძიმე დანაშაული ითვალისწინებს... დაგვათენდა თავზე.

— არსად წამსვლელები არ ვართ, სანამ სხვების ბედსაც არ გაგვაგებინებ: „სტუდენტი“, „ინტელიგენტი“...

ბიძინამ ხელები გაშალა, აქაოდა, სხვა რა გზა მაქვსო.

— ეს დანაშაული თანამონაწილეობით მოხდა. თანამონაწილეობა მაშინ არის, თუ ორი ან რამდენიმე პირი განზრახ ერთად ჩაიდენს დანაშაულს. ჯგუფური დანაშაული უფრო საშიშია ხოლმე და ამიტომ ერთპიროვნულად ჩადენილ დანაშაულზე უფრო მკაცრად ისჯება. რა ხდება ჯგუფური დანაშაულის დროს?! როლებს ინაწილებენ ხოლმე, ხომ? შენ ეს ჰქენი, მე იმას ვიზამ, და ასე შემდეგ. დანაშაულის სულისჩამდგმელს, ხელმძღვანელს ორგანიზატორი ჰქვია.

— მელოტი! — წამოიძახა გოჩამ.

— ჰო „ინტელიგენტი“, იგივე მელოტი, ის იყო დანაშაულის ორგანიზატორი. ვინც უშუალოდ დანაშაულს სჩადის, დანაშაულის აღმსრულებელი ჰქვია. ამ შემთხვევაში ვინ იყვნენ აღმსრულებლები? — გოჩას გახედა ბიძინამ, — ტროყია და „სტუდენტი“, ხომ?

— გივის არავინ მოუკლავს, — ჩაერთო მამიაც.

— ტროყია და გივი, იგივე „სტუდენტი“ ქურდობის აღმსრულებლები იყვნენ, — განაგრძო ბოლთის ცემა ბიძინამ, — თანამონაწილეობის დროს ყველაზე მკაცრად ორგანიზატორები და აღმსრულებლები ისჯებიან. იმ საქმეში სხვაც იღებდა მონაწილეობას. მერაბი, ქეთო რომ გაიტყუა ისიც თანამონაწილე იყო. ასეთ თანამონეწილეს დამხმარე ეწოდება. კანონით დამხმარეა ყველა, ვინც დანაშაულის ჩადენას ხელს უწყობს რჩევით, მითითებებით, საშუალების მიცემით ან დაბრკოლების მოხსნით, აგრეთვე, ვინც წინდაწინ დაპირდება დამნაშავეს, რომ მას ან დანაშაულის კვალს დაფარავს. პავლეც ხომ გახსოვთ?! ის კაცი, ვიდრე „საქმოსანი“ გახდებოდა, მამას ეხმარებოდა კალატოზობაში. მან და მამამისმა ააშენეს ბუხრაშვილების აგარაკი. იმ საიდუმლო სარდაფის შენებისას, პავლე მიხვდა, რომ ნიშა განძეულის შესანახად კეთდებოდა. შემდეგ გაუჭირდა, „მშრალზე“ დარჩა, ის სამალავი გაახსენდა და ქურდს მიაკითხა.

— მელოტს! — ჩაურთო გოჩამ.

— ჰო! იგი გოგი სურმავა აღმოჩნდა, „ინტილიგენტად“ წოდებული. პავლემ საქმე მისცა და წილში გასვლა სთხოვა. მოლაპარაკების მიხედვით ისიც აღმსრულებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ბოლოს შეშინდა, დაკრა ფეხი და ვიღაც ქალთან ერთად სოჭში გადაფრინდა.

— ესე იგი, გადაურჩა ციხეს? — იკითხა მამიამ.

— ისე გადარჩა ჩემი მტერი! ის კაცი წამქეზებელიც იყო და დამხმარეც.

— დროზე რომ უტია იმ ამბავს?!

— მოიცა, მივყვეთ! ქურდობის ორგანიზატორს, გოგი სურმავას, მელოტს, როგორც განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტს, სასამართლომ ათი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა ქონების კონფისკაციით.

— გივის? — დაინტერესდა გოჩა.

— სასამართლომ გაითვალისწინა, რომ გივი ბედია ადრე არ იყო გარეული ცუდ საქმეში, შემთხვევით ასცდა გზას. ამიტომ, ოთხი წელი ვაკმარეთ. მერაბ ლეკიშვილს სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, ხოლო პავლეს, მისი გვარი აღარ მახსოვს, ოთხი წელი ერგო.

— კი, მაგრამ... — შეინძრა მამია, — ვთქვათ, შეცდა კაცი, წამოიწყო რამე იმნაირი, მაგრამ დროზე მიანება თავი... არა აქვს მნიშვნელობა, ბოლომდე მიიყვანს თუ არა დანაშაულს?!

— როგორ არა! განზრახ ჩადენილმა დანაშაულმა შეიძლება რამდენიმე საფეხური გაიაროს. დანაშაულის ჩასადენად საშუალების გამოძებნა, იარაღის მომარჯვება ან რაიმე პირობის განზრახ შექმნა, კანონის მიხედვით, დანაშაულისათვის მზადებაა. დანაშაულის ჩასადენად უშუალოდ მიმართული მოქმედება მცდელობაა, თუ დამნაშავისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ბოლომდე არ განხორციელდა დანაშაული. დანაშაულის მომზადება და მცდელობა ისჯება, მაგრამ თუ კაცი ნებაყოფლობით აიღებს ხელს დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე, მაშინ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლდება.

— რას ერჩოდით, მერე იმ პავლეს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მეთვრამეტე მუხლს წაგიკითხავთ და მიხვდებით, —ბიძინამ კოდექსი გადაშალა, — „იმ პირს, ვინც ნებაყოფლობით ხელს აიღებს დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ აქტიურად ჩადენილი ქმედობა შეიცავს სხვა დანაშაულის შემადგენლობას. ეს მუხლი ვრცელდება, აგრეთვე ორგანიზატორებზე, წამქეზებლებსა და დამხმარეებზე, რომლებმაც ნებაყოფლობით მიიღეს ზომები დანაშაულის ასაცდენად, თუ, ამასთან დანაშაული ბოლომდე არ იყო მიყვანილი“. გაიგეთ?

ბაბუა-შვილიშვილს აშკარად ეტყობოდათ, რომ მოსმენილი კარგად ვერ გაიგეს:

— მამია! ვთქვათ, ჩემი მოკვლა ჩაიფიქრე. საამისოდ შეიძინე ნაგანი, ბოლოს შეგეცოდე და აღარ მომკალი. შენ ნაგანის შეძენისთვის დაისჯები და არა მკვლელობის მომზადებისათვის.

— ნაჯახით რომ დამეპირებინა?

— მაშინ, საერთოდ არავითარ პასუხს არ აგებდი. ნაჯახის შეძენა არ არის დანაშაული. პავლემ საკუთარ წამოწყებაზე ხელი აიღო, მაგრამ საქმე უიმისოდ გაგრძელდა. მან ხელი არ შეუშალა დანაშაულის ჩადენას, არავითარი ზომები არ მიიღო საამისოდ.

— ჰო, გასაგებია! — ხელი აიქნია მამიამ,— დროზე რომ ეთქვა მავანისთვის და ის საქმე არ მომხდარიყო, პასუხს აღარ აგებდა.

— მართალი ხარ!

— ერთი შეკითხვა კიდევ და მივდივარ დასაძინებლად...

— ბრძანე!

— დანაშაულის ორგანიზატორს ათი წელი მისცეს, აღმსრულებელს კი დახვრეტა!

ის, რა ჰქვია... მელოტი რომ არ ყოფილიყო, არც ის მკვლელობა მოხდებოდა, ალბათ.

— იმ კაცს ქურდობა ჰქონდა განზრახული, ქურდობისათვის კი ათ წელზე მეტი არ არის.

— კაცი რომ შეეწირა?

— კაცი ტროყიამ მოკლა. ამიტომ, მკვლელობისათვის მხოლოდ მან აგო პასუხი. ასეთ შემთხვევებს სისხლის სამართლის თეორიაში აღმსრულებლის ექსცესი ეწოდება.

მამია ფეხზე წამოდგა:

— კიდევ დამრჩა გაურკვეველი რაღაც, მაგრამ შემდეგ იყოს; ღვთის მადლით, წასვლას არსად აპირებ, წავიდეთ! — შეუძახა შვილიშვილს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინფორმაცია

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მორიგი პლენუმი, რომელსაც თავმჯდომარეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. კარანაძე.

მოხსენება — „სკკპ XXVII და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობების გადაწყვეტილებათა შესასრულებლად მართლმსაჯულების განხორციელებისა და კანონიერების განმტკიცებისათვის რესპუბლიკის სასამართლოების საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ“ — გააკეთა ა. კარანაძემ.

სასამართლოების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესება და სრულყოფა — თქვა მომხსენებელმა — ძირითადად მოსამართლეთა პასუხისმგებლობის ყოველმხრივ ამაღლებაზეა დამოკიდებული. როგორც წესი, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეები უნდა იხილებოდეს მხოლოდ კანონის მოთხოვნილებათა შესაბამისად, დადგენილ ვადებში და მაღალ პროფესიულ დონეზე. განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს სასამართლო პროცესების ორგანიზაცია და მათი კულტურა, რადგან სწორედ მაღალ იდეურ და ზნეობრივ დონეზე ჩატარებულმა სასამართლო პროცესმა უნდა შეუწყოს ხელი კანონიერებისა და სოციალისტური ცხოვრების წესების განმტკიცებას.

პარტიის მიერ დასახული ამოცანების უყოყმანოდ აღმსრულებელმა სასამართლოებმა მკაცრად უნდა დაიცვან საბჭოთა მართლმსაჯულების დემოკრატიული პრინციპები, სასამართლო საქმეების განხილვაში აუცილებლად ჩააბან შრომითი კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, უზრუნველყონ სასამართლო პროცესების საჯაროობა, ფართოდ და დროულად გამოიყენონ ბეჭდვითი ორგანოები, რადიო, ტელევიზია და სხვ.

რესპუბლიკის სასამართლოების საქმიანობა — თქვა ა. კარანაძემ — ბოლო წლებში ბევრად გაუმჯობესდა. ამაღლდა სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის ხარისხი, უფრო მეტი ყურადღება მიექცა სამართალდარღვევათა გამომწვევი მიზეზებისა და პირობების გამოვლინებას, გაუმჯობესდა ჩატარებული სასამართლო პროცესების კულტურა და ორგანიზაცია, გაძლიერდა პროფილაქტიკურ-აღმზრდელობითი ღონისძიებები.

აქვე მომხსენებელმა მკაცრად ილაპარაკა რესპუბლიკის სასამართლოების საქმიანობაში ჯერ კიდევ არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე და მოიყვანა კონკრეტული მაგალითები. ყურადღება გაამახვილა ისეთ შემთხვევებზე, როდესაც მოსამართლეები ყოველმხრივ და ობიექტურად არ იკვლევენ საქმის ფაქტიურ გარემოებებს, აუცილებელ მომთხოვნელობას არ იჩენენ მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ხარისხისადმი, მთელი სიზუსტით არ ამოწმებენ მათ მიერ შეგროვილ მასალებს, არ ავლენენ დანაშაულის ყველა მონაწილეს და სხვ. ყველაზე სამწუხარო კი მაინც ის არის, რომ ხშირია ქმედობის არასწორი კვალიფიკაციის შემთხვევები და რაც მთავარია, ამის შედეგად ირღვევა კანონის მოთხოვნა სასჯელის დანიშვნისადმი მკაცრი ინდივიდუალური მიდგომის შესახებ.

სკკპ XXVII ყრილობის იმ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, რომლებიც ჩვენი ქვეყნის შემდგომ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას ითვალისწინებენ, მოსამართლეებმა მნიშვნელოვნად უნდა გააუმჯობესონ ისეთი სისხლის სამართლის საქმეების განხილვა, როგორიცაა სოციალისტური საკუთრების გატაცება, უხარისხო პროდუქციის გამოშვება, მიწერები, სპეკულაცია, მექრთამეობა და სხვა. ეს საქმეები ისე უნდა წარიმართოს, რომ მთლიანად და დროულად ანაზღაურდეს სახელმწიფოსათვის მიყენებული მატერიალური ზარალი.

სასამართლოებმა — განაგრძო მომხსენებელმა — მკაცრად უნდა დაიცვან აგრეთვე სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი და დამნაშავეს სასჯელი შეუფარდონ ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხისა და ხასიათის მიხედვით, პასუხისმგებლობის დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებათა გათვალისწინებით. რა თქმა უნდა, აუცილებელია კანონით გათვალისწინებული მკაცრი ღონისძიებების გამოყენება იმ პირთა მიმართ, რომელთაც მძიმე დანა-

შაული აქვთ ჩადენილი, ადრეც არიან სამართალში ნამყოფნი და ჯიუტად არ სურთ დაადგნენ პატიოსანი ცხოვრების გზას. მაგრამ უნდა გვახსოვდეს კანონის მოთხოვნილებანი მაშინაც, როდესაც ვსჯით იმათ, ვინც პირველად ჩაიდინეს ისეთი სახის დანაშაული, რომელიც თავისი ხასიათით არ არის საზოგადოებრივად საშიში ქმედობა. ასეთ დროს სასამართლოებმა უნდა იმსჯელონ აგრეთვე თავისუფლების აღკვეთის პირობითად მისჯის, მსჯავრდადებულის შრომაში სავალდებულო ჩაბმის ან განაჩენის აღსრულების გადიდების შესახებ. ამ გარემოებებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოზარდებისათვის სასჯელის დანიშვნის დროს, რადგან კანონის თანახმად არასრულწლოვანობის დროს დანაშაულის ჩადენა ითვლება პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად.

განაჩენის აღსრულების გადიდების ან პირობითი მსჯავრის შეფარდების დროს სასამართლოებმა ფართოდ უნდა გამოიყენონ კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობა და მსჯავრდადებულთა გამოსწორებისა და ხელახალი აღზრდის საქმეში ჩაებან შრომითი კოლექტივები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ცალკეული პირები.

საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესმა სასამართლოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და თბილისის საქალაქო სასამართლოებმა განუხრელად უნდა იხელმძღვანელონ სკკპ XXVII და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობების გადაწყვეტილებებით, მათგან გამომდინარე დირექტიული მითითებებით და იმგვარად წარმართონ მუშაობა, რომ მართლმსაჯულების დონე რესპუბლიკაში ყოველნაირად პასუხობდეს პარტიისა და კანონის მოთხოვნებს.

განხილულ საკითხზე კამათში მონაწილეობდნენ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე ვ. მარგიევი, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე შ. მახარაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრები თ. გერსამია, შ. ფაფიაშვილი, ა. ღულუნიშვილი და ნ. ნასარიძე.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე — „სასამართლოების მიერ განქორწინების საქმეებზე კანონმდებლობის გამოყენების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1980 წლის 28 ნოემბრის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე“ — მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი ბ. ცირამუა.

„განქორწინება — თქვა მომხსენებელმა — ისეთი ფაქტია, რომ თავისთავად იგი მოსამართლეთა განსაკუთრებულ ყურადღებას, გულისხმიერებას და სიფაქიზეს მოითხოვს. განქორწინების დროს საქმე გვაქვს ოჯახურ ურთიერთობასთან და დაუფიქრებელმა შეცდომამ შეიძლება ბევრი რამ არასწორად გადაწყვიტოს. აქ აუცილებელია გათვალისწინებული იყოს აგრეთვე ოჯახის შენარჩუნების, ბავშვებზე ზრუნვის, მათი მომავლის საკითხები, თვითონ ახალგაზრდა მშობლების შემდგომი ბედი. ამ საქმეთა სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ რესპუბლიკის მართლმსაჯულების ორგანოები, მართალია, ძირითადად სწორად წყვეტენ განქორწინების საქმეებს, მაგრამ ზოგჯერ მაინც შეიმჩნევა ზერელობა, აჩქარება და შეცდომები.

საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის თანახმად სახალხო მოსამართლეებმა უპირველესად კანონი უნდა განუმარტონ სასამართლოში განცხადებით მოსულ მოქალაქეებს და თუ არ ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები, თანახმანი არიან განქორწინებაზე, არ დავობენ ქონებაზე ან ურთიერთრჩენაზე, საქმის სასამართლოში განხილვის გარეშე უნდა მიმართონ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოს. სხვა შემთხვევებში სახალხო სასამართლომ უნდა მიიღოს მეუღლეთა სასარჩელო განცხადება განქორწინების შესახებ და განიხილოს ძალიან ყურადღებით, გულისხმიერად, უპირველესად კი იმას ეცადოს, რათა აღადგინოს დანგრეული ოჯახი, შეარიგოს განაწყენებულები და არ დაუკარგოს პატარებს მშობლები.

სასარჩელო განცხადება განქორწინების შესახებ უნდა პასუხობდეს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 134-ე მუხლის მოთხოვნებს, კერძოდ უნდა აღინიშნოს თუ სად და როდის მოხდა ქორწინების რეგისტრაცია, შეეძინათ თუ არა ბავშვები, შეთანხმდნენ თუ არა მეუღლეები მათ რჩენასა და აღზრდაზე, აქვე უნდა დასაბუთდეს განქორწინების მიზეზები და სხვა. განცხადებას თან უნდა დაერთოს ქორწინების მოწმობა, ბავშვების დაბადების მოწმობების ასლები, ცნობა მეუღლეთა ხელფასისა და სხვა შემოსავლის შესახებ და ა. შ.

განქორწინების საქმის სრულყოფილად მომზადების შემდეგ მოსამართლე გამოიძახებს მოპასუხეს, გაარკვევს მის დამოკიდებულებას სასარჩელო განცხადებისადმი, თუ შესაძლებელია მიიღებს ზომებს მათ შესარიგებლად, განუმარტავს კანონს და მხოლოდ ამის შემდეგ განიხილავს არსებითად. ამასთან აუცილებელია ოფიციალურად დაინიშნოს მეუღლეთა შერიგებისათვის დაწესებული ვადა. ერთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ან ორივე მეუღლის ფორმალური, უსაფუძვლო უარი ქორწინების გაგრძელებაზე, არ არის განქორწინების საკმარისი საფუძველი. სასამართლომ მხოლოდ მაშინ უნდა დააკმაყოფილოს მოთხოვნა განქორწინებაზე, როცა დეტალურად შეისწავლის საქმეს და საბოლოოდ დაადგენს, რომ ოჯახის შენარჩუნება და მეუღლეთა ერთად ცხოვრება მართლაც შეუძლებელია.

განქორწინების საქმეთა სასამართლო სხდომის ოქმი უნდა შედგეს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლის შესაბამისად. მასში უნდა აისახოს სასამართლო განხილვის ყველა ძირითადი მომენტი. მონაცემები მოსარჩელესა და მოპასუხეზე, ბავშვების წლოვანება, დაწვრილებითი განმარტება სარჩელის მოთხოვნაზე, მოწმეთა ჩვენებები, სხვა მტკიცებულებები, რომელიც სასამართლომ გამოარკვია და აგრეთვე ის ღონისძიებები, რაც მეუღლეთა შესარიგებლად ჩატარდა.

რესპუბლიკის მართლმსაჯულების ორგანოებმა, საქართველოს ყველა რაიონისა და ქალაქის სახალხო სასამართლოებმა მკვეთრად უნდა აამაღლონ განქორწინების საქმეთა განხილვის ხარისხი. ჩატარებულმა პროცესებმა ხელი უნდა შეუწყოს საბჭოთა ოჯახის განმტკიცებას, უზრუნველყოს მეუღლეთა და მათი არასრულწლოვანი შვილების კანონიერი ინტერესები.

ამ საკითხზე გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ გ. დევდარიანმა, აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ გ. ბორჩხაძემ, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ ლ. ჩორგოლაშვილმა, ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ ვ. ალანიამ, ქ. ქუთაისის ავტოქარხნის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ ი. აფრიდონიძემ, საქართველოს სსრ პროკურატურის სასამართლოებში სამოქალაქო სამართლის საქმეთა განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსმა მ. ძურდაძემ.

აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ გ. ბორჩხაძემ და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა თ. დონჯაშვილმა პლენუმს მოახსენეს იმის თაობაზე, თუ როგორ ასრულებს აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1984 წლის 7 ივლისის დადგენილებას „სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს კანონების ზუსტად დაცვის შესახებ“.

პლენუმმა მოისმინა აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრების ა. ხონიაკინასა და გ. ბახტაძის ინფორმაციები საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის ზოგიერთი დადგენილების გაუქმებისა და ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილებები.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ პროკურორის პირველი მოადგილე ვ. შარაშენიძე, საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილე რ. გილიგაშვილი, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე ა. კვიწინია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების ინსტრუქტორი ა. პაპუაშვილი, საქართველოს სსრ ადვოკატთა პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. როინიშვილი, ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ მთავარი რედაქტორი ლ. თალაკვაძე.

იურიდიული სამსახურის სრულყოფისათვის

იურიდიული სამსახური, როგორც მართვის მექანიზმის განუყოფელი ნაწილი, მოწოდებულია დაიცვას სოციალისტური საკუთრება, შრომისა და სახელშეკრულებო დისციპლინა, სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდით ხელი შეუწყოს სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური შედეგების გაუმჯობესებას.

სწორედ ამ მოთხოვნათა მიხედვით წარიმართა იურიდიული სამსახურის მუშაკთა თათბირ-სემინარი, რომელიც აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტრომ და სახელმწიფო არბიტრაჟმა მოაწყეს.

თათბირ სემინარი გახსნა აჭარის სსრ იუსტიციის მინისტრმა ჯ. ბაჯელიძემ.

მოხსენებები გააკეთეს აჭარის ასსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილემ გ. შაინიძემ და სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარმა არბიტრმა ი. ბაბაიანმა.

თათბირ-სემინარზე სიტყვებით გამოვიდნენ და კონკრეტული წინადადებები წარმოადგი-

ნეს იურიდიული სამსახურის მუშაკებმა **ე. კვანტრიშვილმა** (სავაჭრო ნავსადგური), **დ. დიდმანიძემ** (წინსვლის კოლმეურნეობა), **ა. ფალავამ** (ვაჭრობის სამინისტრო), **შ. ჩამბამ** (№ 5 საამშენებლო ტრესტი), **ხ. ზარანდიამ** (საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი ქარხანა), **რ. მხატვარმა** (ადვოკატი), **ი. გაბაიძემ** (აჭარის ასსრ პროკურორის უფროსი თანაშემწე), **ნ. მალულარიამ** (აჭარის ასსრ სახელმწიფო ზედამხედველობის სტანდარტებისა და ხარისხის ლაბორატორიის უფროსის მოადგილე).

აღინიშნა, რომ იურიდიული სამსახურის მუშაკთა მიერ გაწეული მუშაობის მიუხედავად, სახალხო მეურნეობაში მაინც დაბალია სამართლებრივი მუშაობის დონე და იგი ჯერ კიდევ ვერ პასუხობს სადღეისო მოთხოვნებს. არ წარმოებს ყოველდღიური და მიზანმიმართული მუშაობა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დაცვის, სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცების, პროდუქციის ხარისხის ამაღლების და წარმოება-დაწესებულებების სამართლებრივი უზრუნველყოფისათვის. მართალია, საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროებმა შესაბამისი რეკომენდაციები დაუგზავნეს იურისკონსულტებს, მაგრამ ადგილებზე მაინც არ იგრძნობა იურისტების გავლენა. განსაკუთრებით ხშირია უხარისხო და უსტანდარტო პროდუქციის გამოშვება, მაგრამ ყოველთვის არ დგება საკითხი ამ მიზეზით მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ. აქვე ყურადღება გამახვილდა აჭარის ასსრ აგროსამრეწველო კომპლექსებში დასაქმებული იურიდიული სამსახურის მუშაკთა გააქტიურებაზე, მიწათსარგებლობის წესების დაცვაზე, კონტროლის გაძლიერებაზე და სხვ.

თათბირ-სემინარის მონაწილეებმა შეიმუშავეს სათანადო რეკომენდაციები.

მარლენ დოლიძე,
ადვოკატი.

შეხვედრა დეპუტატთან

პარტიის ადიგენის რაიკომის სხდომათა დარბაზში რაიონის მშრომელებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავიანთ დეპუტატს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგეს **ნიკოლოზ ივანეს ძე ხავინკინს.**

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ადიგენის რაიკომის პირველმა მდივანმა **ჯ. ნაკაშიძემ.**

დეპუტატს მიესალმნენ: რაიონის სანეპიდსადგურის მთავარი ექიმი **ლ. ზახაროვა,** სანატორიუმ „არაზინდოს“ მთავარი ექიმი **ა. მარტიროსოვი,** სსრკ 50 წლისთავის სახელობის თბილისის საწარმოო გაერთიანების მუშა **ნ. მარტიაშვილი,** არლის სასოფლო ბიბლიოთეკის გამგე **ხ. დგებუაძე.**

შეხვედრის მონაწილეებს გულთბილი მადლობა გადაუხადა დეპუტატმა **ნ. ხავინკინმა.**

შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **გ. ენუქიძე,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე **ვ. ბაქრაძე,** საქართველოს სსრ უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გენერალ-მაიორი **ნ. მაისურაძე,** ადიგენის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ტ. პეტაშვილი,** რაიონის პარტიული და სხვა ხელმძღვანელი ამხანაგები.

შ. აბულაძე,
რესპუბლიკის დამსახურებული პროპაგანდისტი.

კლეოპატრას საყურეები

ოთახში დაბალი, მსუქანი მამაკაცი შემოვიდა აჩქარებული ნაბიჯით, სწრაფად მიმოიხედა ირგვლივ და ხულმოუთქმელად იკითხა:

— სად არის გვამი?

— აქ არავითარი გვამი არ არის, — ღირსეული თავდაჭერილობით უპასუხა ლორდმა ვერნონმა.

— აბა, რისთვის გამაღვიძეთ ამ შუაღამისას?

— თუ შეიძლება, დაბრძანდით და ახლავე ყველაფერს აგიხსნით. ხომ არ დალევდით რაიმეს?

— გმადლობთ, გამომძიებლები მუშაობის დროს არა ვსვამთ.

— მართალი ბრძანდებით, — მიმართა ლორდმა, — მაშ პირდაპირ საქმეს შევუდგეთ. დღეს, საღამოს, სტუმრები მყავდა: ჩემი დისწული მისტერ სეიმური მეუღლით, ჩვენი ოჯახის ძველი მეგობარი მისტერ დეილი თავისი საცოლით, მისს ტომპსონით და ჩემი საქმეთა მმართველი მისტერ პარკერი.

ვახშმის შემდეგ ჩემმა დისწულმა მთხოვა სტუმრებისათვის კლეოპატრას ოქროს საყურეები მეჩვენებინა, რომლებიც უკვე 570 წელია ჩვენს ოჯახს ეკუთვნის. ეს უდიდესი განძია, თითოეული საყურე 250 გრამს იწონის.

— არც თუ ისე ნაზი ყურები ჰქონია კლეოპატრას, — შენიშნა ჰობსონმა.

— გამოვიტანე საყურეები და მაგიდაზე დავაწყე. აღფრთოვანებას ვერავინ მალავდა. უცებ სინათლე ჩაქრა. მსახურს ვუბრძანე სანთლები მოეტანა, მაგრამ როცა ავანთეთ...

— საყურეები აღარ იყო...

— როგორ მიხვდით?

— ჰობსონისათვის საიდუმლო არ არსებობს.

— სად არ ვეძებეთ, მაგრამ ამაოდ, ბოლოს მისტერ დეილმა მირჩია, ყველა სტუმარი სათითაოდ გავჩხრიკოთო. ეს მეტისმეტად უხერხული იყო, მაგრამ სხვა გზა არ გვქონდა. საყურეები მაინც ვერ ვიპოვეთ. ახლა მთელი იმედი თქვენზეა!

— რამდენი მოსამსახურე გყავთ?

— ამჟამად მხოლოდ სამი: პირისფარეში, მზარეული და ჭურჭლის მრეცხავი.

— გმადლობთ, ახლა კი ამ მონაცემების მიხედვით სათანადო დასკვნების გამოსატანად საჭიროა მარტო დამტოვოთ.

როცა ყველანი გავიდნენ, ჰობსონი ბუხართან სავარძელში ჩაჯდა და ჩაფიქრდა. სამწუხაროდ, ვერაფერი მოიფიქრა. გადაწყვიტა ძებნა დაეწყო. თითქმის მთელი სახლი გაჩხრიკა, მაგრამ კვალსაც ვერ მიაგნო. დიდხანს ეძებდა ბიბლიოთეკაშიც. ბოლოს მისი მზერა ერთ წიგნზე შეჩერდა, რომელიც ამობრუნებული იყო.

...საინტერესოა! რატომ მაინც და მაინც ეს ერთი წიგნია ამობრუნებული? სასწრაფოდ გადმოიღო იგი და თარო შეათვალიერა. წიგნების კარადის უკანა კედელზე ღილაკი შენიშნა. როგორც კი ხელი დააჭირა, გაიღო პატარა კარი და ჰობსონმა სიხარულისა და გაოცებისაგან შეჰყვირა. იქ კლეოპატრას საყურეები იყო. ყვირილზე ყველანი ოთახში შემოცვივდნენ.

— დაწყნარდით, ცოტა მოითმინეთ და ქურდიც გამოჩნდება — მშვიდათ თქვა ჰობსონმა.

— საჭირო არ არის, ქურდი მე ვარ, — ყველასათვის მოულოდნელად განაცხადა ლორდის დისწულმა სეიმურმა, — ნუ გამიჯავრდებით, ბიძაჩემო, მე მოვიპარე საყურეები.

— კარგი, მაგრამ როგორ გაჩნდა საყურეები სასადილოდან ბიბლიოთეკაში? — ჰკითხა ჰობსონმა.

— პირისფარეში ჯეიმსი და ჭურჭლის მრეცხავი დამეხმარნენ. სინათლე რომ გამოირთო, სიბნელეში საყურეები ავიღე და ჯეიმსს ჩავუდე ხელში, რომელიც თქვენ სანთლებისათვის გაგზავნეთ, სანთლები ხომ ბიბლიოთეკაშია?

ორი კვირის შემდეგ გამომძიებელმა ჰობსონმა წერილი მიიღო:

„ძვირფასო მისტერ ჰობსონ!

დიდ მადლობას მოგახსენებთ იმისათვის, რომ დაგვეხმარეთ მოგვეპარა კლეოპატრას საყურეები. უთქვენოდ ჩვენ მას ვერ მივაგნებდით.

ნამდვილი ლორდი ვერნონი ახლა ამერიკაშია და, რაღა თქმა უნდა, არ ესიამოვნება, როცა გაიგებს, რომ თქვენ მონაწილეობა მიიღეთ ჩვენს საქმიანობაში. ყველა მოქმედი პირი — სტუმრებიცა და მსახურებიც ცნობილი ბანდის „შავი ობობას“ წევრები იყვნენ, რომლის მეთაურიც მე გახლავართ.

თქვენ კი გასამრჯელოდ მიიღეთ ახი გირვანქა. შეგიძლიათ დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, ჩეკი ყალბია!“.

თარგმნა ლილი მაისურაძე-მორგოშიამ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

«САБЧОТА САМАРТАЛИ» («Советское право»), № 4, 1986 (на грузинском языке) Двухмесячный, научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Министерства внутренних дел ГССР Прокуратуры ГССР, Верховного Суда ГССР.

Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 103, тел.: 95-88-49, 95-58-87.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии Тбилиси, ул. Ленина, 14.

6100/153

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ.

ინდექსი 76185